www.24saati.ge
# 24 საათი
The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 25 დეკემბერი, 2009 წელი. №282 (2320) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲛ ᲫᲘᲐᲜ ᲫᲔᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲡᲪᲐ

A8



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

A10



გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A4

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA
HYUNDAI

# ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ

*ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების ლიდერი საქართველოსა და უკრაინას სამხედრო აგრესიით ღიად დაემუქრა. ოფიციალური მოსკოვი ფორმალურად ამ მუქარებს გაემიჯნა. თუმცა, სერგეი ლავროვმა საქართველო საომარ გეგმებში და აგრესიისთვის მზადებაში ისევ დაადანაშაულა. მან ისევ არ დამალა, რომ კრემლი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას უჭერს მხარს.*

დასავლელ ჟურნალისტებთან საუბრისას რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დასავლეთის მიერ **"რუსეთისთვის კავკასიის წართმევის"** და რუსეთის დაშლის მცდელობა იყო.

**"საქართველო, სამხრეთ ოსეთი, უკრაინა - ეს რუსეთის მუდმივი დაავადებაა. რატომ უმდა ვიტანჯებოდეთ, როდესაც ამის ლიკვიდირება ერთხელ და სამუდამოდ შეგვიძლია? ჩვენ დიდი სახელმწიფო ვართ და ყველაფერი გვაქვს - ჯარიც და ტექნიკაც. შეტევაზე უნდა გადავიდეთ,"** - განუცხადა რამზან კადიროვმა დასავლელ ჟურნალისტებს.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ



*რამზან კადიროვი ჩეჩენი ხალხის დამპყრობ გენერლებთან მეგობრობს*

## ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

*ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს ახალ სტრატეგიას გუშინ დეპუტატები საქართველოს პარლამენტში სამი კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის ერთობლივ სხდომაზე ეცნობოდნენ. სტრატეგია კანონმდებლებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა წარუდგინა.*

მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფოს ახალი სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა პარტნიორ ქვეყნებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დევნილებთან, პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობითა და მათი კონსულტაციების გათვალისწინებით მოამზადა.

"სტრატეგიის მიზანია, ხელი შეუწყოს გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული მოსახლეობის ურთიერთობების აღდგენას და საქართველოს ყოველი მოქალაქისთვის, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებთათვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და პრივილეგიების თანაბრად მინიჭებას. საქართველო ილტვის ისეთი მომავლისკენ, როცა მისი ყოველი მოქალაქე შეძლებს, ისარგებლოს დემოკრატიული მმართველობის, წარმატებული, გლობალურად ინტეგრირებული ეკონომიკისა და ტოლერანტული, მრავალეროვნული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი უპირატესობებით. ასეთi მიდგომა ევროპელი ერების მიერ გაზიარებულ ერთობლივ პრინციპებსა და საერთო ფასეულობებს ეფუძნება, რომელიც ჰელსინკის ფინალურ აქტში აისახა", - ნათქვამია დოკუმენტის პრეამბულაში.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

## ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

### უნდა დაიდოს თუ არა საქართველოსა და რუსეთს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულება (რის შესახებაც ამერიკელ სენატორ ლუგარის მოხსენებაშია საუბარი)?

***არჩილ გეგეშიძე,*** *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტი:*

მსგავსი ტიპის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის ნამდვილად უნდა დაიდოს. ამ მხრივ, ფაქტობრივად, ვაკუუმი არსებობს, რაც ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემას უქმნის.

საქართველოს სჭირდება, რომ რუსეთს ჰქონდეს საერთაშორისო ვალდებულება ძალის გამოუყენებლობაზე.

ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მხრიდან მსგავსი ტიპის ხელშეკრულების გაფორმება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. სამწუხაროდ, აღნიშნული რეგიონები ვერ გახდებიან საკუთარი ტერიტორიებიდან ცეცხლის განუახლებლობის გარანტორები, ვინაიდან იქ რუსეთის ჯარი დგას.

სწორი გზაა ხელშეკრულების დადება საქართველოსა და რუსეთს შორის. თუმცა ორ ქვეყანას შორის დოკუმენტი ისე უნდა გაფორმდეს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ყოფნის ლეგალიზაცია გამოირიცხოს.

ყველამ იცის, რომ რუსეთი არ არის სანდო ქვეყანა და ხშირად არღვევს დღემდე არსებულ ხელშეკრულებებს თუ შეთანხმებებს. სასურველია, თუკი საქართველო-რუსეთს შორის მომავალში გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებას გარანტორად დაუდგება მესამე მხარე - ეუთო, გაერო ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია.

***კახა გოგოლაშვილი,*** *ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:*

ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება მხოლოდ გარკვეული პირობებით დაიდოს. მიმაჩნია, რომ უპირველესი პირობაა, რუსეთმა დაიწყოს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულება. მინიმუმ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციები შეუშვას და ამ ტერიტორიების დემილიტარიზაცია განახორციელოს.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

## რიგგარეშე სხდომები პარლამენტში

*იანვრის შუა რიცხვებში პარლამენტში მორიგი რიგგარეშე სხდომა გაიმართება. ამის შესახებ გუშინდელ ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის სხდომის ზუსტი დღის წესრიგი და არც მისი მოწვევის კონკრეტული მოტივი. სავარაუდოა, რომ დეპუტატებს იანვარში მოუხდებათ იმ 75 კანონპროექტის ნაწილის გადატანა, რომელთა განხილვაც ამჯერად დღევანდელი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგშია შესული.*

დღევანდელი რიგგარეშე სხდომის დანიშვნა იმ მიზეზით გადაწყდა, რომ პარლამენტმა გამოყოფილ ვადაში ინიცირებულ კანონპროექტთა განხილვა სრულად ვერ მოასწრო. ამიტომ პრეზიდენტის განკარგულებით დეპუტატები დღეს იკრიბებიან. წინასწარი ინფორმაციით, ისინი იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე დაასრულებენ მუშაობას, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში პარლამენტის დღის წესრიგში იდგა. კერძოდ, დასრულდება მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობის და მასთან დაკავშირებით ინიცირებული საკანონმდებლო წინადადებების გარშემო.

გარდა ამისა, პარლამენტი III მოსმენით მიიღებს პრეზიდენტის ინიციატივას, რომელიც მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის და მათ საქმიანობაში ჩარევის შემთხვევებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს.

ამასთან, რიგგარეშე სხდომაზე I მოსმენით პრეზიდენტის საკონსტიტუციო ინიციატივა გადის, რომლის თანახმად, ახალი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების შემოღება ან მათი გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით მოხდება.

კანონმდებლებს დღეს სულ 75 კანონპროექტზე მოუწევთ მუშაობა. სხდომა 12:00 საათისათვის არის დანიშნული.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ცხინვალის რეჟიმი ახალგორის საზღვრის ჩაკეტვას არ გამორიცხავს

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ახალგორის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვას არ გამორიცხავს.

როგორც სააგენტო "რეგნუმის" ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება, ამის შესახებ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა, ბორის ჩოჩიევმა განაცხადა.

ამის მიზეზად ჩოჩიევი ქართული მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე "ტერორისტული აქტების მზადებას ასახელებს".

მისივე თქმით, ცხინვალის რეჟიმს აქვს ინფორმაცია, რომ თბილისი ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ახალგორის მცხოვრებლების სპეციალურ ჯგუფებს ამზადებს. ჩოჩიევის განმარტებით, იგი იმ ადამიანებს გულისხმობს, რომელთაც ახალგორის რაიონიდან "საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადასვლა შეუძლიათ".

"საზღვარზე შესაძლოა, საკონტროლო-გამშვები რეჟიმი გამკაცრდეს, როგორც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დაცვის, ისე - უსაფრთხოების მიზნით. შესაძლოა, საზღვარი საერთოდ ჩაიკეტოს", - განაცხადა ჩოჩიევმა.

ჩოჩიევის პასუხად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ ახალგორის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვაზე ქართულ მხარეს მკაცრი რეაქცია ექნება

"იმედი გვაქვს, საერთაშორისო თანამეგობრობასაც ასეთივე მკაცრი რეაგირება ექნება ამასთან დაკავშირებით", - აღნიშნავს კალანდაძე.

მეუღლე ნონა ლომიძე, შვილები აკაკი, საბა, ნიკა, ელენე შელიები, რძალი ნინო ცინცაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ შელია**

პანაშვიდები: 25, 26 დეკემბერს, 4 საათზე; გამოსვენება - კვირას, 27 დეკემბერს, 14 საათზე. მისამართი: ზალდასტანიშვილის ქ. №10.

# პარლამენტი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს ახალ სტრატეგიას ეცნობა

პირველი გვერდიდან

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი გამყოფ ხაზებს შორის რეგულარული ავტობუსის დანიშნვასა და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასაც ითვალისწინებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ რეგიონებსა და საქართველოს დანარჩენ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ვაჭრობის გაფართოებას და ამისთვის ყველა საჭირო პირობის შექმნასაც გეგმავს - როგორც ლოჯისტიკური, ასევე სამართლებრივი მიმართულებით. სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი ასევე გულისხმობს სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის დარგებში წარმოების აღდგენას, სოციალური ურთიერთობების წახალისებას, ერთობლივი ბიზნესსაქმიანობისთვის წამახალისებელი პირობების შექმნას და სხვ.

"დროა, დასრულდეს პრობლემა, როცა ადამიანებს პროდუქტი ენგურის ხიდზე ურიკებით გადააქვთ. მნიშვნელოვანია, განვითარდეს ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც არა მთავრობა, არამედ ხალხი გააკეთებს," - აცხადებს თემურ იაკობაშვილი, რომლის განმარტებითაც, "სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავდა იმ სულისკვეთებით, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს საზოგადოების და მისი მომავლის განუყოფელი ნაწილია."

ახალი სტრატეგიული დოკუმენტი მოჰაჯირებთან ურთიერთობების აღდგენასაც ითვალისწინებს. იაკობაშვილის თქმით, "საქართველოდან გადასახლებული მოჰაჯირები თურქეთის პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და აქვთ სურვილი, აღადგინონ კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსთან, ამიტომ სახელმწიფოს ახალი სტრატეგია ამ ურთიერთობების აღდგენისთვის ხელშეწყობასაც ითვალისწინებს." მისივე მტკიცებით, მოჰაჯირების აფხაზეთში მასობრივად ჩამოსახლებაში საშიშროება არ არსებობს.

მინისტრისვე თქმით, ასეთი სტრატეგიის შემუშავება განსაკუთრებით აუცილებელი გახდა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ.

"რუსეთის ფედერაციის მტრულმა პოლიტიკამ, ისევე როგორც მისმა პროვოკაციებმა, კულმინაციას მიაღწია 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი შემოჭრით, რამაც გამოიწვია საქართველოს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი დაზიანება და ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. საქართველოში შემოჭრის შემდეგ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. როგორც სამხედრო შემოჭრა, ასევე შემდგომი აღიარება მოხდა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ურღვევობის პრინციპის უხეში დარღვევით," - განმარტა იაკობაშვილმა და აქვე დაამატა, რომ რუსეთი კვლავ რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რითიც ართულებს საქართველოს ხალხთა შერიგების, აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონების საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში რეინტეგრაციის პროცესს.

სტრატეგიის შესახებ გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც გააკეთეს კომენტარი. ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრ ნიკა ლალიაშვილის შეფასებით, "ეს არის ყველაზე ხარისხიანი დოკუმენტი, რაც კი ქვეყანაში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ შექმნილა." ლალიაშვილმა პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ ნაკლებად კრიტიკულები იყვნენ.

თემურ იაკობაშვილმა კი შეხვედრაზე განაცხადა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს ახალი სტრატეგიის განხორციელების დეტალური გეგმა ექვს თვეში - 2010 წლის 31 ივნისისთვის იქნება მზად. სტრატეგიის განხორციელების დეტალური სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბებს კონკრეტულ მექანიზმებს, საჭირო ქმედებებსა და პროცედურებს, ასევე საკანონმდებლო ინიციატივებს დასახული ამოცანების განსახორციელებლად. მინისტრის თქმით, გეგმის გაწერის შემდეგ ამ თემაზე კონფერენცია გაიმართება და შეიძლება, მისი უწყების რეორგანიზაციის საკითხიც დადგეს.

# მზადება ლარსის გახსნისთვის

**ნათია მსხილაძე**

*რუსეთსა და საქართველოს შორის ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, სავარაუდოდ, 2010 წლის მარტში გაიხსნება. საზღვრის გახსნის შესახებ ოფიციალურ ოქმს ხელი ორ კვირაში მოეწერება. დოკუმენტში გაიწერება ცალკეულ საკითხებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება.*

ლარსის საბაჟო პუნქტის შესაძლო გახსნაზე პირველი ინფორმაცია გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. **"ქართული მხარის აზრით, თავდაპირველად რუსულ მხარეს იმედი ჰქონდა, რომ, თუ მსგავს შეთავაზებაზე მკაცრ პირობებს დააყენებდა, საქართველო უარს იტყოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ქართული მხარე მზად არის ამ კუთხით სომხეთს დაეხმაროს და ხელი გაუწოდოს, უკვე ნათელი გახდა, რომ მსგავსი შეზღუდვების დაწესებას აზრი არ ექნებოდა,"** - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

ლარსის შესახებ ინფორმაცია "რია ნოვოსტიმაც" გაავრცელა. სააგენტო იუწყება, რომ 23 თებერვალს, ყაზბეგში, საქართველოში შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, რუსი და ქართველი ექსპერტების შეხვედრა გაიმართა. შვეიცარია საქართველოში რუსეთის ინტერესებს და რუსეთში საქართველოს ინტერესებს მას შემდეგ წარმოადგენს, რაც ორმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვიტა. **"მხარეთა დელეგაციები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია რუსეთსა და საქართველოს შორის საერთაშორისო მიმოსვლის აღდგენა, რაც 2010 წლის 1 მარტიდან იგეგმება,"** - იტყობინება "რია ნოვოსტი" რუსეთის სახელმწიფო საზღვრის კეთილმოწყობის ფედერალური სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით.2006 წლის ივლისში საქართველოსა და რუსეთს შორის სახმელეთო მიმოსვლა რუსეთის მიერ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან ერთად შეწყდა, რადგან დანარჩენი ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშია განლაგებული. მაშინ რუსეთმა საზღვრის ჩაკეტვის მოტივად ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის საჭიროება დაასახელა. თუმცა საზღვრის ჩაკეტვა საეჭვოდ დაემთხვა საქართველოსათვის დაწესებულ სანქციებსა და ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანის აკრძალვას. ეს სატრანზიტო გზა შესაბამისად დაიხურა სომხეთისთვისაც.

სამი წლის თავზე რუსეთის ხელისუფლებამ, შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეატყობინა, რომ რუსულმა მხარემ დაასრულა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მზად არის, მოლაპარაკებები გამართოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის "ტექნიკურ საკითხებზე". ოფიციალურმა თბილისმა მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა მას შემდეგ არანაირი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ლარსის გახსნის საკითხი ისევ აქტუალური გახდა. ნოემბრის თ დასაწყისში რუსულმა ელექტრონულმა მედიასაშუალებებმა, საზღვრის მოწყობაზე მომუშავე რუსეთის ფედერალურ სააგენტოზე დაყრდნობით, გავრცელეს ინფორმაცია, რომ ყაზბეგი-ზემო ლარსის სახმელეთო საზღვრის გახსნის საკითხზე ერევანში რუსულ და ქართულ დელეგაციებს შორის სამუშაო შეხვედრა შედგა. **"ერევანში შეხვედრაზე ქართულ მხარეს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე კახა ჩიტაია, ხოლო რუსულ მხარეს - სასაზღვრო სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე იური მალცევი. მხარეებმა დაადასტურეს ამ გამშვები პუნქტიდან მოძრაობის სწრაფად აღდგენით პრინციპული დაინტერესება. სამუშაო შეხვედრის შედეგები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელმძღვანელობას წარედგინებათ,"** - იუწყებოდა საზღვრის მოწყობაზე მომუშავე რუსეთის ფედერალური სააგენტო. მაშინ ქართულმა მხარემ უარყო რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებები, თუმცა ამ თემაზე სომხეთთან ტექნიკური მოლაპარაკებების არსებობა დაადასტურა.

რაც შეეხება ზოგადად სომხური მხარის პოზიციას, სომეხი ექსპერტები ლარსის გახსნაში ურთიერთსარგებელს ხედავენ. **"საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნა ერთნაირად სჭირდება როგორც სომხეთს, ისე საქართველოს,"** - აცხადებს სომხური ორგანიზაცია "ევროპული ინტეგრაციის" თავმჯდომარე კარენ ბეკარიანი.

ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის შესახებ კი საქართველოს ხელისუფლებაში შენიშნავენ, რომ პროცესი ქვეყნის მთავრობის კონტროლის ქვეშ და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს, რათა რუსეთმა ეს პროვოკაციისთვის არ გამოიყენოს. თავად საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე თავიდანვე აფიქსირებდა პოზიციას, რომ ყაზბეგი-ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა საფრთხეს არ წარმოადგენს. **"კანონიერად იქნება გახსნილი ყაზბეგი-ლარსის გამშვები პუნქტი თუ არა, რუსული აგრესიისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს,"** - აცხადებს ვაშაძე.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# კრემლი კადიროვის პირით იმუქრება

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთის პრეზიდენტის განცხადებას რეაქცია თბილისიდანაც მოჰყვა და კიევიდანაც.

**"ეს იმ ადამიანისა და პოლიტიკური ლიდერის განცხადებაა, რომელიც საბჭოთა კავშირის აღდგენის მომხრეა და მზად არის, ამისთვის ყველაფერზე, მათ შორის შეიარაღებულ აგრესიაზე წავიდეს. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ იდეის პროპაგანდა ასეთი ღია და აშკარა გახდა,"** - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში კადიროვის განცხადებებს **"ღიად აგრესიული დ არსებითად მილიტარისტული"** უწოდეს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმირ ხანდოგი რუს კოლეგა გრიგორი კარასინს ტელეფონით დაუკავშირდა და განმარტებები მოსთხოვა. კარასინი ჩეჩნეთის ლიდერის განცხადებებს გაემიჯნა.

თავად რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გუშინ ის მოიმიზეზა, რომ კადიროვის ინტერვიუს არ გასცნობია. თუმცა განმარტა, რომ **"რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია სხვა სახელმწიფოებზე თავდასხმას არ გულისხმობს." "ჩვენი საგარეო პოლიტიკა შემტევი და ინიციატივიანი უნდა იყოს და ასეც არის,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

მან ასევე შენიშნა, რომ ვერ ხედავს სამხედრო საფრთხეს უკრაინის მხრიდან. თუმცა, მისი თქმით, საქართველოს მხრიდან "აგრესიის" საფრთხე ნამდვილად არსებობს. სერგეი ლავროვმა ამის დასტურად ქართული ჯარის ინტენსიური აღდგენა მოიყვანა.

**"ვწუხვართ, რომ საქართველოში კვლავ რევანშისტული განცხადებები ისმის. ის ფაქტი, რომ დასავლელი სპონსორები საქართველოს არმიის აღდგენაში ეხმარებიან, ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა,"** - განაცხადა მან.

ლავროვის თქმით, ქართველები რუსეთისთვის "მეგობარი ხალხია" და რუსეთი მათ "თანაუგრძნობს". **"ჩვენ ძალიან გვინდა, საქართველოში მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს უპასუხებს და როგორსაც ქართველი ხალხი იმსახურებს,"** - განაცხადა ლავროვმა. ქართველ ხალხზე ზრუნვის მაგალითად კი მან ზემო ლარსის გამშვები პუნქტის მომავალი გახსნა დაასახელა.

კადიროვის სკანდალური განცხადებები მოჰყვა ამერიკელ სენატორ რიჩარდ ლუგარისა და "რესპუბლიკელ" სენატორთა მოთხოვნას საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების გადაცემის შესახებ, ასევე მათ შეშფოთებას რუსეთისთვის ფრანგული საბრძოლო ხომალდის მიყიდვის გეგმების გამო. შეიარაღების თემა სერგეი ლავროვისთვისაც განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. თუმცა, მთავარმა რუსმა დიპლომატმა ამჯერადაც ვერ შეიკავა თავი იმის აღიარებისგან, რომ საქართველოში კრემლის მთავარ მიზანს პრორუსული ხელისუფლების მოყვანა წარმოადგენს.

# დღის შეკითხვა

პირველი გვერდიდან

უზრუნველყოს დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში მშვიდობიანი დაბრუნების და მათი საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიები.

სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების დადებას აზრი არ ექნება, ვინაიდან რუსეთმა უკვე წაგვართვა ყველაფერი და საქართველოზე ხელახალი თავდასხმა აღარ სჭირდება.

პირობების გარეშე ახალი ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია ოკუპანტთან და ვეთანხმებით იმ სატუს კვო-ს, რომელიც რუსეთმა შექმნა.

მე იმას არ ვამბობ, რომ ძალის გამოყენებაზე უნდა ავილოთ გეზი. მაგრამ იმ დროს, რომ როდესაც შენს ტერიტორიაზე დამპყრობელია, ამგვარ დოკუმენტზე (გარკვეული პირობების გარეშე) ხელმოწერა კაპიტულაციის ტოლფასია.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო შეარბილებს საერთაშორისო დაძაბულობას, მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას დააწყნარებს და ეტყვის, რომ მას (საქართველოს) პრობლემები არ აწუხებს.

არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთი დღემდე არ ასრულებს უკვე გაფორმებულ დოკუმენტებს, მათ შორის - ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებულ შეთანხმებას.

გარდა ამისა, რუსეთს პროვოცირების დიდი უნარი გააჩნია. ის ყოველთვის მოძებნის მიზეზს, ამტკიცოს, რომ პირველად ცეცხლი საქართველომ გახსნა და იტყვის - მე საპასუხო შეტევაზე გადავდივარ.

მაგალითად, დღეს რუსეთი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე აცხადებს, რომ საქართველო მის წინააღმდეგ ტერორისტებს ამზადებს. რუსეთში მომხდარი ნებისმიერი აფეთქებისას მოსკოვს შეუძლია საქართველოს დაადოს ხელი და მეორე დღეს შემოიყვანოს ჯარი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. და ეს იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება მოხდეს, თუ ორ ქვეყანას შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულება იქნება გაფორმებული.

მოკლედ, ამგვარი ხელშეკრულების დადება გარკვეული პირობების გარეშე საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდება.

***ანდრო ბარნოვი,*** *პოლიტოლოგი:*

მსგავსი ტიპის დოკუმენტის საჭიროებაზე ჩვენი ხელისუფლება დიდი ხანია, საუბრობს; განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსეთი გვიკიჟინებს, რომ საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას. ჩვენი ხელისუფლების პასუხი ასეთია: კი, ბატონო, ოღონდ ეს მოხდება არა უკანონოდ აღიარებულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, არამედ თავად რუსეთთან.

ამგვარი მიდგომა რუსეთს ხელს არ აძლევს. მიუხედავად ამისა, თუკი უცხოელი პარტნიორები მხარს დაგვიჭერენ, შეიძლება მივაღწიოთ საქართველო-რუსეთს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. ამით ჩვენ ორივე რეგიონში შევამცირებთ კონფლიქტის რესურსებს. სამართლებრივი მექანიზმის არსებობის პირობებში იქ შესაძლებელი გახდება მონიტორინგის ჩატარება.

სულაც არ მაქვს იმის ილუზია, რომ რუსეთი ნებაყოფლობით მოიქცევა კარგად, მაგარამ ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების გაფორმება მაინც წინწადგმული ნაბიჯი იქნება. მაგალითისთვის გავიხსენოთ სტამბულის ხელშეკრულება. რუსეთი წლების განმავლობაში არ ასრულებდა ჯარების გაყვანის ვალდებულებას. ბოლოს და ბოლოს, მან ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. მართალია, წელიწადნახევარში თავისი ჯარი უკან შემოიყვანა, მაგრამ ამ შეთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივი მექანიზმის საჭიროებაზე, ბერკეტების შექმნაზე, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

*ვერიკო თევზაძე*

# დიმიტრი მედვედევმა 2009 წელი შეაფასა

"რუსულმა არმიამ დაამტკიცა, რომ ქვეყნის ინტერესებისა და მოქალაქეების დაცვა შეუძლია," - ეს სიტყვები დმიტრი მედვედევმა გუშინ სამი ფედერალური ტელეარხის - "პირველი არხის", "როსიასა" და "ენ-ტე-ვე"-ს პირდაპირ ეთერში წარმოთქვა. პრეზიდენტმა პროგრამა "წლის შეფასებაში" 2009 წლის მოვლენები შეაჯამა.

"რუსეთის არმიამ აჩვენა, რა შეუძლია, მათ შორის - ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, კერძოდ - სამხრეთ ოსეთში", - განაცხადა მედვედევმა.

მანვე რუსული არმიის სამი პრობლემაც დაასახელა - მოძველებული სამხედრო ტექნიკა, არასაკმარისი ხელფასი და ცუდი ორგანიზება.

მედვედევის განცხადებით, 2009 წელს ყველა აუცილებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და ზოგიერთი მტკივნეულიც იყო. ამჟამად ყველა ქვედანაყოფი და შენაერთი მუდმივ მზადყოფნაშია, მომდევნო 10 წლის განმავლობაში კი არმიის სრული გადაიარაღება იგეგმება. პრეზიდენტის თქმით, 2012 წლისთვის რუსი სამხედროების ხელფასები დასავლური არმიების ანაზღაურებას გაუტოლდება.

რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მიერ გამოცხადებული რუსეთის არმიის მოდერნიზაცია ძალისმიერი მეთოდებით არ განხორციელებულა. ასე უპასუხა მედვედევმა იმ ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა - სჯერა თუ არა მას, რომ შეიძლება რუსეთი შეიცვალოს ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორებსაც ახორციელებდნენ "პეტრე პირველი, რომელიც ადამიანებს წვერს პარსავდა და თავებს ჭრიდა და იოსებ სტალინი, რომელმაც მილიონობით ადამიანი ბანაკებში გააცამტვერა."

"ჩვენი ხალხი ძლიერი და ჭკვიანია და მზად არის ცვლილებებისთვის. ეს არის მათი ამოცანა და შინაგანი მიზანი. ჩვენი მეზობელი ქვეყნების უმეტესობამ პრაქტიკულად ასეთივე გზა გაიარა. თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს. ზოგში უფრო მეტი დიქტატურა იყო, ზოგში - ცოტა, ზოგი მდორედ ვითარდებოდა, ზოგი - დრამატულად, მაგრამ მთლიანობაში მათ საკუთარ თავში იპოვეს ძალა და განვითარდნენ თავიანთი მიზნების გავლენით, იმირათა ყოფილიყვნენ მძლავრები და დამოუკიდებლები," - განაცხადა მედვედევმა და რიტორიკულად იკითხა - "რა, ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია?" ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა შენიშნა, რომ მოდერნიზაცია, რომელიც რუსეთში ძალადობრივი გზით გატარდა, წარსულს ჩაბარდა. **"მოდერნიზაცია უნდა ეყრდნობოდეს საზოგადოებაში ცვლილებების სურვილს,"** - დასძინა მან.

ტელეეთერში გამოსვლისას პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთი სტრატეგიული შეტევითი იარაღის განვითარებას აგრძელებს.

**"ჩვენი ბირთვული ფარი გვეხმარება ყველა იმ ამოცანის გადაჭრაში, რომლებშიც უნდა გვეხმარებოდეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვავითარებთ ახალ სისტემებს, მათ შორის მიწოდების სისტემებსაც. ეს ნორმალურია და ამას მთელი მსოფლიო აკეთებს,"** - შენიშნა მედვედევმა.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ ბირთვული იარაღის შემცირებაზე აშშ-სთან ერთად ხელმოსაწერი დოკუმენტი მზადდება, რუსეთი სტრატეგიული შეტევითი იარაღის გაძლიერებას მაინც გააგრძელებს.

**"ამის გარეშე ჩვენი ქვეყნის დაცვის შესაძლებლობა არ არსებობს. ეს ჩვენც გვესმის და ამერიკელებსაც. ეს ცხოვრების კანონია,"** - განაცხადა მედვედევმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## რუსეთი "აირზენას" ფრენების განხორციელებაზე ინფორმაციას ითხოვს

რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელობას სთხოვს, ოფიციალურად დაადასტურონ, რომ ავიაკომპანია "Georgian Airways"-ს ფრენების განხორციელებზე ლიცენზია აქვს.

ამის შესახებ "რია ნოვოსტის" რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროში აცნობეს.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს აუცილებელი პირობაა, რათა ქართულმა ავიაკომპანიამ რუსეთში 10 ჩარტერული რეისის შესრულების უფლება მიიღოს.

აქვე ხაზგასმულია, რომ რუსული მხარე ლიცენზიას საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ 2003 წლის 8 დეკემბერს ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე ითხოვს.

ქართულმა ავიაკომპანიამ საახალწლოდ რუსეთში ჩარტერული რეისების განხორციელების შესახებ განაცხადი რამდენიმე დღის წინ გააკეთა და პასუხი ჯერ არ მიუღია.

საქართველოს ერთიანმა სატრანსპორტო ადმინისტრაციამ რუსულ მხარეს ავიაკომპანია "აირზენა-საქართველოს ავიახაზების" შესახებ ინფორმაცია გუშინ სარამოსვე მიაწოდა.

## სერგეი ივანოვი საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს

სერგეი ივანოვი საქართველოს ხელიუსფლებას "თალიბანის ფასეულობების" გაზიარებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ "რია ნოვოსტის" ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება.

რუსეთის ვიცე-პრემიერის აზრით, ქუთაისში "დიდების მემორიალის" აფეთქება ბარბაროსობაა, ხოლო ამის ჩემდენი საქართველოს ხელისუფლება არა დასავლური, არამედ მოძრაობა "თალიბანის" ღირებულებების გამზიარებელია.

"საქართველოს ხელისუფლება ბარბაროსულად მოექცა ძეგლს, რომელიც "იუნესკოს" კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია", - განაცხადა ივანოვმა.

ქუთაისში "დიდების მემორიალის" აფეთქების თემას რუსეთის ხელისუფლება ბოლო დღეებში აქიტურად ეხმაურება. პუტინის ინიციატივით, მერაბ ბერძენიშვილის ძეგლის ანალოგის აღმართვა მოსკოვში იგეგმება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით კი, მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტი "იუნესკოს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის.

ძეგლი დემონტაჟის მიზნით, 19 დეკემბერს ააფეთქეს. აფეთქების დროს დედა-შვილი ჯინჭარაძეები დაიღუპნენ.

## სახელმწიფო საწარმოების შემოწმება მომავალ წელსაც გაგრძელდება

კონტროლის პალატა სახელმწიფო საწარმოებში არსებული ვითარების შემოწმებას მომავალ წელსაც გააგრძელებს.

როგორც კონტროლის პალატაში განმარტავენ, შემოწმდება, რა საწესდებო კაპიტალი აქვთ აღნიშნულ საწარმოებს, რა ქონებას განკარგავენ, რა შემოსავალი აქვთ და რა დივიდენდებს აძლევენ ისინი სახელმწიფოს.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, უკვე დასრულების პროცესშია აუდიტის აქტები საწარმოთა მართვის სააგენტოს, "საქნავთობ სამგორის", "ნავთობგეოფიზიკური სერვისის", სს "გუდაურის", საქაერონავიგაციის, "საქსპეცტრანსის" და "ავტობაზის" შემოწმებასთან დაკავშირებით.

ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, საწარმოთა მართვის სააგენტოთი კონტოლის პალატა ორი თვის წინ დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა სავალალოა და სახელმწიფო საწარმოებში ბევრი პრობლემა დაგროვდა.

"ორი თვის განმავლობაში ჩვენ 3-4 მლნ ლარის დამატებით საბიუჯეტო შემოსავლის მობილიზება მოვახდინეთ ამ საწარემოებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ რესურსი საკმაოდ დიდია. ეს რესურსი უნდა მიიმართებოდეს არა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად დირექტორების ან თანამდებობის პორების, არამედ ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს", - აღნიშნავს ბეჟაშვილი.

მისი თქმით, საქართველოში სულ 1400-ზე მეტი სახელმწიფო საწარმოა, აქედან, დაახლოებით, 700 საწარმოზე ინფორმაციაც კი არსებობს ეკონომიკის სამინისტროსა და საწარმოთა მართვის სააგენტოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი არც ბიზნეს გეგმები და არც ადმინისტრაციული ხარჯები არ მტკიცდებოდა. ისინი მაქსიმალურად თავისუფლები იყვნენ და სახელმწიფოს მიერ მისაღები დივიდენდები მცირდებოდა.

# სურსათის ინსპექტირებისათვის მზადება უკვე დაწყებულია

ნინო ნარჩემაშვილი

*რამდენად უვნებელია სურსათი, რომელსაც მომხმარებელი საქართველოში შეიძენს? - ამ შეკითხვაზე ჯერ-ჯერობით პასუხი არ არსებობს, და, როგორც ჩანს, აუხლოესი რამდენიმე წლის მანძილზე არც იარსებებს, რადგან კანონის მუხლები, რომლებიც სურსათის მწარმოებელი კომპანიების ინსპექტირებას ითვალისწინებს და ძალაში 2010 წლის იანვრიდან უნდა შესულიყო, რამდენიმე წლით ისევ გადაიდება. მიუხედავად ამისა, ექსპერტები სურსათის მწარმოებელ კომპანიებს შემოწმებების დაწყებამდე არსებული დროის ეფექტიანად გამოყენებას ურჩევენ. დაიწყეთ მზადება დღესვე - ასეთია მათი რეკომენდაცია.*



**- რომელი სასურსათო პროდუქტი მოწმდება დღეს საქართველოში და როგორ?**

- სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი ძალაში 2006 წლიდან შევიდა, თუმცა მისი რიგი მუხლების მოქმედება მაშინვე შეაჩერეს. ეს არის მუხლები, რომლებიც საწარმოებში რისკის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპების დანერგვას და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის ზედამხედველობას, ანუ საწარმოების ინსპექტირებას ეხება. ამ მუხლების შეჩერების მიზეზი ის იყო, რომ არც სახელმწიფო და არც საწარმოები არ აღმოჩნდნენ მზად ამ პროცესების განსახორციელებლად. სათანადო ცოდნის გარდა, ეს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებასაც საჭიროებს.

კანონის ეს მუხლები ძალაში 2010 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად უნდა შესულიყო, თუმცა, იგივე მიზეზის გამო, მათი ამოქმედება კვლავაც რამდენიმე წლით გადაიდება.

ამ ეტაპზე (2006 წლიდან დღემდე), სასურსათო პროდუქტების მონიტორინგი შეზღუდული რაოდენობით ხორციელდება, რაც ითვალისწინებს მხოლოდ სარეალიზაციო ქსელში გასაყიდად გამოტანილი (მაღაზიები, ბაზრობები, მარკეტები, სუპერმარკეტები) პროდუქტის ნიმუშების აღებას და ლაბორატორიული კვლევის ჩატარებას. სახელმწიფო პროგრამით, მიმდინარე წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 1500 დასახელების პროდუქტის ლაბორატორიული კვლევა იყო გათვალისწინებული. თავისთავად ცხადია, რომ ეს რაოდენობა საკმაოდ დაბალია ქსელში არსებული პროდუქტის უვნებლობაზე სრული სურათის შესაქმნელად.

ექსპერტების შეფასებით, სურსათის ასეთი, შეზღუდული მონიტორინგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის ბევრ ქვეყანაში დამკვიდრებული თანამედროვე სისტემებისგან.

**- როგორ ხდება სურსათის უვნებლობის კონტროლი სხვა ქვეყნებში?**

- დასავლეთის ბევრ ქვეყანაში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს რისკის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა. HACCP მეთოდოლოგია პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს და მას შემდეგ იგი ფართოდ გამოიყენება ევროპაში.

საწარმოში HACCP-ის დანერგვის მიზანს სურსათის წარმოშობასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული რისკის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს. HACCP-ის შემოღება იცავს ამ პროდუქციას წარმოებისა და გადამუშავების ყველა ეტაპზე გარემოდან ან სხვა წყაროებიდან ყოველგვარი დაბინძურებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სურსათის მწარმოებელ კომპანიებს, სახელმწიფო HACCP-ის პრინციპების დანერგვას არ ავალდებულებს, საქართველოში ამჟამად არის ოცდაოთხამდე ქართული საწარმო, რომელთაც ნებაყოფლობით დანერგეს ეს პრინციპები და საერთაშორისო სერთიფიკატებიც აიღეს, ანუ საერთაშორისო დონეზე აკრედიტირებულმა მასერთიფიცირებელმა ორგანოებმა მათზე გასცეს სერთიფიკატი, რომ ისინი უვნებელ პროდუქციას აწარმოებენ.

იმ ქართული საწარმოების პროდუქციას, რომლებმაც ნებაყოფლობით დანერგეს ეს სისტემა, შესაბამისი ეტიკეტირება აქვს (HACCP, ISO 22000:2005). ამ გზით დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია ადვილად ამოიცნოს ეს პროდუქცია.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსის მაია მეტრეველის თქმით, "ზოგადად, " HACCP-ის" სისტემის დანერგვით უზრუნველყოფილია უვნებელი სურსათის წარმოება. მომხმარებლის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საწარმოში აღნიშნული სისტემის დანერგვის შემდეგ გაცილებით დიდია ალბათობა, რომ ის მიიღებს უვნებელ პროდუქტს. მეწარმეს კი გაცილებით ნაკლები ეკონომიკური დანახარჯებით შეუძლია ხარისხიანი და უვლებელი სურსათის წარმოება. გარდა ამისა, ექსპორტზე ორიენტირებულ მეწარმეს ევროპულ ბაზარზე დამკვიდრების ბევრად მეტი შანსი აქვს".

**- როგორ უნდა მოემზადოს სურსათის მწარმოებელი კომპანია შემოწმებისთვის და როდის ჯობია ამ სამზადისის დაწყება?**

- ექსპერტები სურსათის მწარმოებელ კომპანიებს შემოწმებებისათვის მომზადების დაწყებას ახლავე ურჩევენ, რადგანაც ეს პროცესი გარკვეულ დროს საჭიროებს.

საქმე ის არის, რომ HACCP-ის დანერგვამდე, აუცილებელია საწარმოში დაინერგოს სანიმუშო საწარმოო პრაქტიკა (GMP), რაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას გულისხმობს, და სანიმუშო ჰიგიენური პრაქტიკა (GHP), რაც სანიტარულ-ჰიგიენური პრინციპების დაცვას გულისხმობს. ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური ხასიათის მოთხოვნებს.

მხოლოდ ამის შემდეგ არის მზად კომპანია იმისთვის, რომ შეუმუშავოს სტანდარტული სამუშაო პროცედურები, სადაც გაწერილი იქნება ისეთი წინასწარი აუცილებელი პროგრამები, როგორიცაა ნედლეულის კონტროლი, მომსახურე პერსონალის ჰიგიენისა და ქცევის წესები, დასუფთავება, რეცხვა, დეზინფექცია, მავნებლების კონტროლი და სხვ. მას შემდეგ, რაც კომპანიაში ეს პროგრამები დაინერგება, შესაძლებელია HACCP-ის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება.

"HACCP" არის პრევენციული სახის სისტემა, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვროს ყველა მოსალოდნელი პრობლება და დაგეგმოს საჭირო ქმედებები. ამ სისტემის დანერგვა უვნებელი პროდუქციის წარმოების საფუძველია," აცხადებს საქართველოს ბიზნესის ხელშეწყობის და განვითარების ცენტრის დირექტორი თამარ ლაბარტყავა. ცენტრის ერთ-ერთი მიმართულებაა ქართული კომპანიების დახმარება საერთაშორისოდ აღიარებული მართვის სისტემების დანერგვაში. ლაბარტყავას თქმით, "ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეს არის კანონმდებლობით მოთხოვნილი სისტემა, რათა მოსახლეობისათვის პროდუქცია იყოს უვნებელი. აღსანიშნავია, რომ აქ არ არის საუბარი პროდუქციის ხარისხზე, საუბარია მის უვნებლობაზე." ექსპერტები ხშირად ხაზგასმით მიუთითებენ პროდუქციის ხარისხსა და უვნებლობას შორის არსებულ განსხვავებაზე. თამარ ლაბარტყავას თქმით, "უვნებელი სურსათი ნიშნავს მასში რისკის იმ მისაღები დონის არსებობას, რომელიც ზიანს არ მიაყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და მის სიცოცხლეს, ხოლო ხარისხი კი არის უვნებელი სურსათის დამატებითი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია გემოსათან, სუნთან, წონასთან და ა.შ."

თუკი, დღეისათვის ხდება ნიმუშების აღება მხოლოდ სავაჭრო ქსელიდან, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს გარკვეული რისკი, კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედების შემდეგ, ინსპექტორს უფლება ექნება შევიდეს საწარმოში და მთლიან საწარმოო პროცესს დააკვირდეს.

**- რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანაში სურსათის ინსპექტირება სირთულეების გარეშე დაიწყოს?**

- ექსპერტების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედება 2010 წელს არ იწყება, სურსათის ინსპექტირების მზადება ინსპექტორებმაც და მეწარმეებმაც ახლავე უნდა დაიწყონ. ამაში მათ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პროექტი ეხმარება. IFC ტრეინინგებს უტარებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებს სურსათის უვნებლობის თანამედროვე პრინციპებთან დაკავშირებით.

საქართველოში IFC-ს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პროექტის მენეჯერი ირინა კოკაია აღნიშნავს, რომ "ტრეინინგების მეშვეობით დაინტერესებული პირები ეცნობიან სურსათის უვნებლობის პრინციპებს, იმაღლებენ ცოდნას სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტების შესახებ, რაც წარმოების სანიმუშო პრაქტიკის მოთხოვნებს, წინასწარ აუცილებელ პროგრამებს და სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემების შემოღებას მოიცავს. ეს კი სურსათის მწარმოებელ კომპანიებს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტულობის ამაღლებასა და საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაში ეხმარება. დაინტერესებული პირები, აგრეთვე, ეცნობიან საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემას; იღებენ ინფორმაციას სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000:2005-ის შესახებ.".

IFC-ის პროექტის ფარლებში უკვე ჩატარდა სემინარები კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. ასევე, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სტაჟორების და თანამშრომლებისთვის. სემინარები კვლავაც გაგრძელდება, რადგან სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონის სრულ ამოქმედებამდე საფუძვლიანი ნიადაგის მომზადებაა საჭირო. და თუკი საფუძვლის ჩაყრა დღესვე დაიწყო, რამდენიმე წელიწადში მაკონტროლებელიც და სურსათის მწარმოებელიც პრობლემების გარეშე შეხვდება.

# "მაგთიკომი" მერსედესს მაისამდე გაათამაშებს

მანანა ვარდიაშვილი

"მაგთიკომი" მერსედესის გათამაშების უფლებას მომავალი წლის მაისამდე შეინარჩუნებს. მერსედესის წამახალისებელი გათამაშების კანონიერებაზე ფინანსთა სამინისტრომ სპეციალური მოკვლევა ჩაატარა და გათამაშების პირობებში დარღვევები აღმოაჩინა: წამახალისებელი გათამაშება ლიცენზიის პირობებს არ შეესაბამებოდა. თუმცა, სამინისტრომ გათამაშების გაუქმებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

მერსედესის გათამაშების კანონიერებაზე ახსნა-განმარტება ფინანსთა სამინისტროსგან შპს "საქართველოს ლატარიის კომპანიამ" მოითხოვა. ამ კომპანიას ლატარიის ჩატარებასა და ორგანიზებაზე ექსკლუზიური უფლება აქვს. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძე განმარტავს, რომ ""მაგთიკომის" წამახალისებელი გათამაშების პირობებში დარღვევები აღმოჩნდა. გათამაშება ლიცენზიის მოთხოვნებს ბოლომდე არ შეესაბამებოდა. იმის გამო, რომ წამახალისებელი გათამაშების გაუქმება მძიმე ფინანსურ შედეგებს გამოიწვევდა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა, "მაგთიკომთან" თანამშრომლობის საფუძველზე წამახალისებელი გათამაშების პირობები ლიცენზიის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს". როგორც სამინისტროში აცხადებენ, "მაგთიკომმა" წამახალისებელი გათამაშების პირობებში კორექტივები უკვე შეიტანა და აბონენტს ზარის სანცვლოდ გარკვეულ მომსახურებას - პროოსკოპის 7 ერთეულის გაგზავნას სთავაზობს.

კანონით "ლატარიების და აზარტული თამაშების შესახებ", რომელიც 2004 წელს მიიღეს, ლატარიის ჩატარების ექსკლუზიური უფლება ტენდერზე იყიდება. ასეთი ტენდერი პირველად 2008 წელს ჩატარდა, თუმცა - უშედეგოდ. 2009 წელს კი ტენდერში შპს "საქართველოს ლატარიის კომპანიამ" გაიმარჯვა და ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე 10-წლიანი ექსკლუზიური უფლება მიიღო. კომპანია ლატარიის ჩატარებისთვის სპეციალურად განსაზღვრულ გადასახადსაც იხდის - გადასახადი შემოსავლების 21,5 პროცენტს შეადგენს (ეს თანხა კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერიცხება).

შპს "საქართველოს ლატარიის კომპანიის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ "მაგთიკომმა" მათი კომპანიის ექსკლუზიური უფლება დაარღვია და ახსნა-განმარტება იმის გასარკვევად, შეესაბამება თუ არა "მაგთიკომის" გათამაშება წამახალისებელი გათამაშების პირობებს, ფინანსთა სამინისტროსგან მოითხოვა. "საქართველოს ლატარიის კომპანიაში" აცხადებდნენ, რომ "მაგთიკომის" მიერ მერსედესის გათამაშება ლატარიის პირობებს იმეორებს.

როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტეს, ლატარიასა და წამახალისებელ გათამაშებას შორის დიდი განსხვავებაა. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება კონკრეტული საფასურის გარეშე უნდა ხდებოდეს, რადგანი ამგვარი გათამაშება პროდუქციის ან მომსახურეობის წახალისების მიზნით ტარდება, ლატარეაში კი თამაში წინასწარ გამოქვეყნებული წესების მიხედვით მიმდინარეობს. ლატარეასა და წამახალისებელ გათამაშებას შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ წამახალისებელი გათამაშების დროს ბილეთი აუცილებლად უფასოდ უნდა გაიცეს, ლატარეაში კი ბილეთს თავისი ღირებულება აქვს. "მაგთიკომის" წამახალისებელ გათამაშებაში აქამდე ზარი ფიქსირდებოდა. იმისთვის, რომ ტელეფონის ნომერს გათამაშებაში მონაწილეობა მიეღო, აბონენტი 50 თეთრს იხდიდა. "საქართველოს ლატარიის კომპანიაში" აცხადებდნენ, რომ გათამაშებაში ამ პრინციპის გამოყენებით ბილეთის ყიდვა ხდებოდა და არა მომსახურების გათამაშება.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ "მაგთიკომმა" წამახალისებელი გათამაშების ნებართვა მანამ აიღო, ვიდრე ბაზარზე ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი გაჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროში განმარტეს, რომ თუ მოკვლევა "მაგთიკომის" წამახალისებელ გათამაშებაში ლატარიის პირობებს აღმოაჩენდა, მაშინ ფინანსთა სამინისტროს სანქციების ამოქმედება ან გათამაშების საერთოდ შეჩერება მოუწევდა.

"მაგთიკომმა" მერსედესის წამახალისებელი გათამაშების უფლება ფინანსთა სამინისტროსგან 2009 წლის მაისში მიიღო. გათამაშება ძალაში მომავალი წლის მაისამდე უნდა იყოს. კომპანიამ მერსედესის გათამაშებაში კორექტივები უკვე შეიტანა. "მაგთიკომში" განმარტავენ, რომ მერსედესის გათამაშება წამახალისებელია და მას ლატარეასთან საერთო არაფერი აქვს: "ჩვენი პროექტი წამახალისებელი გათამაშებაა. აბონენტს ზარის სანაცვლოდ ჩვენ აბონენტს ჰოროსკოპის მომსახურებას ვუგზავნით. ეს ლატარეა არ არის. ლიცენზია, კი რომელზეც "საქართველოს ლატარიის კომპანიას" 10-წლიანი მონოპოლია აქვს, წამახალისებელ გათამაშებას არ ეხება".

# სახელმწიფო საწარმოების შემოწმება მომავალ წელსაც გაგრძელდება

კონტროლის პალატა სახელმწიფო საწარმოებში არსებული ვითარების შემოწმებას მომავალ წელსაც გააგრძელებს.

როგორც კონტროლის პალატაში განმარტავენ, შემოწმდება რა საწესდებო კაპიტალი აქვთ აღნიშნულ საწარმოებს, რა ქონებას განკარგავენ, რა შემოსავალი აქვთ და რა დივიდენდებს აძლევენ ისინი სახელმწიფოს.

უკვე დასრულების პროცესშია აუდიტის აქტები საწარმოთა მართვის სააგენტოს, "საქნავთობ სამგორის", "ნავთობგეოფიზიკური სერვისის", სს "გუდაურის", საქაერონავიგაციის, "საქსპეცტრანსის" და "ავტობაზის" შემოწმებასთან დაკავშირებით.

ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, საწარმოთა მართვის სააგენტოთი კონტროლის პალატა ორი თვის წინ დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა და სახელმწიფო საწარმოებში ბევრი პრობლემა დაგროვდა.

"ორი თვის განმავლობაში ჩვენ 3-4 მლნ ლარის დამატებით საბიუჯეტო შემოსავლის მობილიზება მოვახდინეთ ამ საწარმოებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ რესურსი საკმაოდ დიდია. ეს რესურსი უნდა მიიმართებოდეს არა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად დირექტორების ან თანამდებობის პირების, არამედ ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს", - აღნიშნავს ბეჟაშვილი.

მისი თქმით, საქართველოში სულ 1400-ზე მეტი სახელმწიფო საწარმოა, აქედან დაახლოებით 700 საწარმოზე ინფორმაცია კი არსებობს ეკონომიკის სამინისტროსა და საწარმოთა მართვის სააგენტოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი არც ბიზნეს გეგმები და არც ადმინისტრაციული ხარჯები არ მტკიცდებოდა. ისინი მაქსიმალურად თავისუფლები იყვნენ და სახელმწიფოს მიერ მისალები დივიდენდები მცირდებოდა.

*ინტერპრესნიუსი*


# „გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომი" თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი" ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.




### მანდარინი ექსპორტზე 10 ქვეყანაში გავიდა

აჭარის რეგიონში მოსული მანდარინი ექსპორტზე 10 ქვეყანაში გავიდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ ეტაპზე უკვე რეალიზებულია 80 000 ტონა მანდარინი. გასულ წელთან შედარებით გაზრდილია საექსპორტო ბაზრები. მიმდინარე წელს ათვისებულია ახალი ბაზრები - ქუვეითი, ჩეხეთი და მოლდოვა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მიმდინარე სეზონს წარმატებულად აფასებს.

*ინტერპრესნიუსი*

### ახმეტაში ბუნებრივი გაზის მიღების საშუალება 1 000 აბონენტს ექნება

კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზის" მიერ ახმეტაში გაზის ქსელების მშენებლობის შედეგად, ბუნებრივი გაზის მიღების საშუალება 1 000 აბონენტს ექნება.

კომპანიამ გაზის ქსელების მშენებლობა ახმეტის 11 ქუჩაზე დაასრულა.

გაზის ქსელის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ღონისძიება დღეს გაიმართა, რომელსაც ენერგეტიკის მინისტრი ალექო ხეთაგური, კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გიორგი ღვინიაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორი ანარ მამადოვი დაესწრნენ.

"სოკარ ჯორჯია გაზის" მიერ დაგეგმილი გაზიფიკაციის 3 წლიანი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზიფიცირებულ იქნება 150 000 აბონენტი.

ქვეყნის გაზიფიცირების მიზნით "სოკარ ჯორჯია გაზმა" საქართველოში 30 გაზგამანაწილებელი კომპანია შეიძინა, რომელიც აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზით მარაგდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და "სოკარ ჯორჯია გაზს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზიფიცირების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად. აშენებულია გაზსადენები - საგარეჯოს რაიონის სოფელ იორ-მუღანლოში, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში, მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში, დმანისის რაიონის სოფელ ტნუსში, ქალაქებში - ზუგდიდი, დუშეთი და ხაშური.

*ინტერპრესნიუსი*

### "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მომავალ წელსაც გაგრძელდება

პროექტი - "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მომავალ წელსაც გაგრძელდება. ამის შესახებ დღეს გამართულ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა, გიგი უგულავამ განაცხადა.

მისივე თქმით, სამშენებლო კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, ძველი უბნების ავარიულ სახლებში მაცხოვრებელთა დაინტერესების შემთხვევაში სამშენებლო პროექტების დაფინანსებაზე თებერვლამდე მერიაში განაცხადი შეიტანონ.

დედაქალაქის მერის განცხადებით, პროექტი - "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მომავალ წელსაც ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება და ხელს შეუწყობს მშენებლობებზე ადამიანების დასაქმებას, ასევე, სამშენებლო სექტორის გამოცოცხლებას, რაც უკვე შეიმჩნევა. მერმა აღნიშნა, რომ თბილისის ეკონომიკაში სამშენებლო სექტორს 20-25% უკავია.

პროექტი - "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ისტორიული უბნების რეაბილიტაციასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდას ითვალისწინებს. ახალი პროექტი თბილისის მერიამ ივნისის თვეში წარადგინა. პროექტთან დაკავშირებით სამშენებლო დეველოპერული კომპანიებისთვის კონკურსი აგვისტოს თვეში გამოცხადდა. კონკურსში 11-მა დეველოპერულმა სამშენებლო კომპანიამ 13 საკონკურსო პაკეტი წარადგინა, ზოგიერთმა რამდენიმე წინადადებებით. სულ განაცხადების შედეგად 26 წინადადება შევიდა. მერიამ გამარჯვებულები სექტემბრის ბოლოს გამოავლინა და ყველა სამშენებლო კომპანიის პროექტი დააფინანსა.

*ინტერპრესნიუსი*

## ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტური გაიმართება

“საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტური 27 დეკემბერს გაიმართება. "ადვოკატთა ასოციაციის" ინფორმაციით, ადვოკატთა საერთო კრება სპორტის სასახლეში 12 საათზე განახლდება.

თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას პირველ ტურში გასული ორი კანდიდატი - ქეთი ქვარცხავა და ზაზა ხატიაშვილი მიიღებენ.

"20 დეკემბერს შემდგარი არჩევნების შედეგად არჩეულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 11, ეთიკის კომისიის 15 და სარევიზიო კომისიის 5 წევრი. ახლა კი მეორე ტურში თავმჯდომარის არჩევა იგეგმება," - აცხადებენ ადვოკატთა ასოციაციაში. **პირველი**

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრები 33 წლის რამაზ ხოსიტაშვილი დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ხოსიტაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით თანასოფლელ დავით ბაბუნაძეს მრავლობითი ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

*პირველი*

## ნოტარიატის შესახებ კანონი ამოქმედდა

ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა. თუმცა, კანონით გათვალისწინებული ძირითადი სიახლეები მომავალი წლის აპრილიდან ამოქმედდება. ახალი კანონის მიხედვით, 2010 წლის გაზაფხულიდან ნოტარიუსს უფლება ექნება, გასცეს სააღსრულებო ფურცლი, როგორც დაგირავებული, ასევე იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის საფუძველზე. ანუ მოქალაქეს შეუძლია, ნოტარიუსთან იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სააღსრულებო ფურცელი მოითხოვოს, რაც თავიდან აარიდებს იპოთეკის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავასა და გაჭიანურებულ სასამართლო პროცესს. აქამდე ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს მხოლოდ დაგირავებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის საფუძველზე გასცემდა.

მომავალი წლის აპრილიდან შეიცვლება სამკვიდრო მოწმობის ასაღებად განცხადების შეტანის პრინციპიც. თუკი აქამდე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადების შეტანა მოქალაქეს მხოლოდ საკუთარ უბანში მდებარე სანოტარო ბიუროში შეეძლო, ამიერიდან საშუალება ექნება, სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადება ნებისმიერ ნოტარიუსთან შეიტანოს. საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში დაიწყო პალატის სანოტარო არქივში განთავსებული მემკვიდრეობის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ანდერძის თაობაზე არსებული მონაცემების ელექტრონულ ბაზაში აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს კანონის აღნიშნული ნაწილის ამოქმედებას.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ახალი მინისტრის მიზანი პატიმრებზე ზრუნვაა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ახლად დანიშნულმა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებთან პირველი შეხვედრა გამართა.

როგორც შეხვედრის შემდეგ მინისტრმა განაცხადა, დაწესებულებების ხელმძღვანელებისგან მიიღო ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობაა სასჯელაღსრულების სისტემაში. მინისტრის თქმით, მათი მიზანია თითოეულ პატიმარზე ზრუნვა, რომ მათ საზოგადოებისგან თავი გარიყულად არ იგრძნონ. დაწესებულებების ხელმძღვანელებს მინისტრმა საკუთარი პრიორიტეტები გააცნო და აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმები მათთან კოორდინირებული მუშაობით, მაქსიმალურად მოკლე ვადაში და წარმატებით უნდა დასრულდეს.

ხათუნა კალმახელიძის თქმით, მთავარი ამოცანა მხოლოდ დამნაშავის დასჯა არ არის, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულები საზოგადოებას სრულყოფილ წევრებად დაუბრუნდნენ.

*ინტერპრესნიუსი*

# ევროსაბჭო აფხაზეთის ციხეებში არსებულ მდგომარეობას აკრიტიკებს

*ევროსაბჭოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის კომიტეტმა აფხაზეთის ციხეებსა და დროებითი დაკავების იზოლატორებში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.*

ევროსაბჭოს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ანგარიში საქართველოს ხელისუფლების თხოვნით გამოქვეყნდა.

კომიტეტის წევრებმა აფხაზეთის ციხეებში არსებული მდგომარეობა ადგილზე შეისწავლეს - 27 აპრილიდან 4 მაისამდე. ანგარიშში შესულია აფხაზეთის სოხუმის, გალის, ტყვარჩელის, დრანდის ციხეებში, ასევე დრანდის სამედიცინო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტში დაწვრილებით არის მიმოხილული იქ არსებული პირობები, რასაც ევროსაბჭოს ექსპერტების რეკომენდაციებიც ახლავს.

ევროსაბჭოს კომიტეტის წევრები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ციხეებში მძიმე ყოფითი და ჰიგიენური პირობებია, პატიმრებს არ აქვთ საკმარისი საკვები, არ არის დაცული მათი უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და სხვა უფლებები, ზოგ ციხეში არ არის ელექტროენერგია. ასევე არ არის დიფერენცირებული პატიმრების განთავსება.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ციხეებში უკიდურესად დაუცველია უსაფრთხოების სტანდარტები, პატიმართა წერილები კი, მათ შორის ადვოკატებთან მიმოწერა მკაცრად კონტროლდება.

ევროსაბჭოს ექსპერტები, რომელთაც აფხაზეთის საპატიმრო ადგილების მონიტორინგი ჩაატარეს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების რეკომენდაციებს იძლევიან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ტყვარჩელის დროებითი დაკავების იზოლატორი, იქ არსებული გაუსაძლისი პირობების გამო საერთოდ უნდა დაიხუროს.

ევროსაბჭოს კომიტეტის შეფასებით, პატიმართათვის შედარებით უკეთესი სოციალური და ყოფითი პირობები გალის იზოლატორშია.

**“ჩვენ ვერ დავუშვებთ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ევროპაში “შავი ხვრელის” წარმოქმნას,”** - განაცხადა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორნბიორნ იაგლანდმა, რომლის თქმითაც, **"ადამიანის უფლებების საკითხის პოლიტიზირება არ შეიძლება. ჩვენ ევროპის ყველა რეგიონში უნდა ვიყოთ,"** - განაცხადა მან.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მუხროვანის ამბოხის საქმის განხილვა სრულდება

*2009 წლის 5 მაისს, მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარი სამხედრო ამბოხის საქმის შვიდთვიან განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლო უკვე ასრულებს. ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობაში, ამბოხების მომზადება-განხორციელებაში, სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანების დაუმორჩილებლობაში, დანაშაულის დაფარვაში, დანაშაულის არშეტყობინებაში, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში ბრალდებულებს მოსამართლე განაჩენს ამ უახლოესი სამი დღის განმავლობაში გამოუტანს.*

საქმეში, თავდაპირველად 41 განსასჯელი იყო. საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე პროკურატურის მოთხოვნით, საპროცესო გარიგება ჯერ 13 განსასჯელთან, მოგვიანებით კი 7 მათგანთან გაფორმდა. მათი საქმეები ცალკე სისხლის სამართლის საქმის წარმოებად გამოიყო და მათ პატიმრობის ვადა ერთიდან სამ წლამდე განესაზღვრათ. მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განაჩენს საბოლოოდ 21 განსასჯელს გამოუცხადებს.

სასამართლო პროცესი მხარეთა კამათის ეტაპზე ისე გადავიდა, რომ განსასჯელთა ნაწილს სასამართლოსთვის ჩვენება არ მიუცია. ზოგიერთმა მათგანმა ბოლომდე დუმილის უფლებით ისარგებლა და მხოლოდ ის განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ვიდრე მხარეთა კამათის ეტაპი დაიწყებოდა, მუხროვანის ამბოხის საქმის საამართლო განხილვა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. პროცესების დახურვის მიზეზი საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოქვეყნება გახლდათ. საუბარია ფარულ ვიდეო და აუდიომასალებზე. განსასჯელების ინტერესების დამცველები ამ მასალების ღია პროცესზე გამოქვეყნებას მოითხოვდნენ, თუმცა მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და სასამართლო პროცესები დაიხურა.

“საქმეში დევს ოპერატიული მასალები, რომელთა საჯაროობაც მიზანშეწონილი არ იქნება,” - ასეთი იყო პროკურატურის არგუმენტი, რასაც მოსამართლეც დაეთანხმა. ჩვენი ინფორმაციით, პროცესზე გამოქვეყნდა ისეთი ვიდეომასალაც, რომელიც მანამდე გახმაურებული არ ყოფილა.

სახელმწიფო ბრალმდებლებმა პროცესზე საბრალდებო სიტყვა უკვე თქვეს და საქმეში დარჩენილი 21 განსასჯელისთვის სხვადასხვაგვარი სასჯელის ზომა მოითხოვეს. ბრალდების მტკიცებით, განსასჯელებისთვის წარდგენილი ბრალდებები დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებებით. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, სახელმწიფო ბრალმდებლებმა კობა ოთანაძისა და შალვა გოგიაშვილისთვის 30-წლიანი პატიმრობა მოითხოვეს, ლევან ამირიძისთვის - 29-წლიანი, კობა კობალაძისთვის კი - 13-წლიანი. რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, რომლებიც მუხროვანის საქმეში ფიგურირებენ და რომლებსაც ბრალი ედებათ ამბოხებასა და იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაში, პროკურატურამ მათთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

დღევანდელი სასამართლო პროცესი ადვოკატების დაცვითი სიტყვით განახლდება. საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დასადასტურებლად თითოეულ ადვოკატს ნახევარსაათიანი ვადა ექნება.

*საკუთარი ინფორმაცია*

# პრობლემები დროებითი მოთავსების იზოლატორში

*სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენა და რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მან უზრუნველყოს თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული პრობლემების მოგვარება.*

რამდენიმე დღის წინ ომბუდსმენი და მისი აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდნენ, დეტალურად გაეცნენ იქ არსებულ მდგომარეობას, გაესაუბრნენ დაკავებულებს და შესაბამისი დასკვნაც დადეს. ომბუდსმენის თქმით, რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირებისთვის, რომლებსაც ადმინისტრაციულ სასჯელად შეფარდებული აქვთ პატიმრობა.

ომბუდსმენისა და მისი აპარატის წევრების დასკვნით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას პატიმართა გასეირნების უფლების უგულვებელყოფა წარმოადგენს. არადა, დროებითი მოთავსების იზოლატორს აქვს სასეირნო ეზო, რომლის გამოყენებაც, გიორგი ტუღუშის განმარტებით, დანიშნულებისამებრ არ ხდება.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორში საპირფარეშოები განთავსებულია საკნებში და ერთ მხარეს გამოყოფილია დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის კედლით. საპირფარეშოს თავზე, დაახლოებით 20-30 სმ-ზე, კედლიდან დაახლოებით 5 სმ დიამეტრის მილი გამოდის. ე.წ. ონკანიდან პატიმრები დასალევ წყალს იღებენ. წყლის მიწოდება დამოკიდებულია ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე, რადგან ონკანი დამონტაჟებულია საკნის გარეთ. ადმინისტრაციის მიერ წყლის მიწოდება კი დღის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე ხდება. გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საკნების მდგომარეობა და იქ არსებული პირობები, რიგ შემთხვევაში, არის არადამაკმაყოფილებელი, ხოლო თავად საკნები კოსმეტიკურ რემონტს საჭიროებენ.

**“დროებითი მოთავსების იზოლატორს აქვს 14 საკანი, რომელთა უმეტესობაში საწოლებად ფიცარნაგი გამოიყენება. რამდენიმე საკანში ორსართულიანი რკინის საწოლი დგას, რომელზეც არ არის ლეიბი. დროებითი მოთავსების იზოლატორის ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, საკნებში დგას სპეციფიკური სუნი. პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ არ აქვთ საშუალება, შხაპი მიიღონ. შეკითხვას, თუ როდის გაირეცხა გადასაფარებლები ბოლოს, ადმინისტრაციამ პასუხი ვერ გასცა. დაკავებულ პირებს არ ეძლევათ პირადი ჰიგიენის ნივთები,”** - ნათქვამია ომბუდსმენის რეკომენდაციაში, რომლის ადრესატიც შინაგან საქმეთა მინისტრია.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, ასევე პრობლემად რჩება საკნებში ფანჯრების არარსებობა, ხელოვნური განათება კი არასაკმარისია.

**“ციხის ევროპული წესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციის პრინციპების თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილი ადამიანის მოპყრობა უნდა ხორციელდებოდეს მისი უფლებების პატივისცემის საფუძველზე. თავისუფლებააღკვეთილი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რომელიც კანონიერად არ ერთმევათ იმ გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზეც მათ სასჯელი მიესაჯათ ან პატიმრობა შეეფარდათ. ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი ადგენს, რომ ჰაერისა და საკმარისი განათების უქონლობა დამამცირებელი მოპყრობის პირობებს ქმნის,"** - ნათქვამია სახალხო დამცველის რეკომენდაციაში.

როგორც ომბუდსმენის აპარატი განმარტავს, განათება-ვენტილაციასთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-11 წესის მიხედვით, დაწესებულებებში, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები, ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს კითხვა და მუშაობა დღის შუქზე შეეძლოთ. იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა, საკანში მყოფ პატიმარს სუფთა ჰაერი უნდა მიეწოდებოდეს.

**"მე-13 წესის თანახმად, საბანაო მოწყობილობები და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული იბანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე და ისეთი სიხშირით, როგორც ამას ჰიგიენის საერთო პირობები მოითხოვს. ასევე, მე-15 წესის თანახმად, პატიმრებს მოეთხოვებათ, ყოველთვის სუფთად იყვნენ. ამისათვის საჭიროა მათი მომარაგება წყლით და ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად. სისუფთავის და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს შხაპით სარგებლობის და სხეულის სისუფთავის დაცვის საშუალება მიეცეს, რაც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობის და ღირსების შენარჩუნებისთვის. თეთრეულით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველი პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში სუფთა უნდა იყოს და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს,"** - ასეთია სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საქართველოს პროკურატურის ბალანსზე დაბა ხელვაჩაურში რიცხული შენობის (მისამართი: დაბა ხელვაჩაური თამარ მეფის ქ.№3; ფართობი 326 კვ/მ) სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.**

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

1. სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს: ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 თვის განმავლობაში.

2. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს დახურულ კონვერტში, **2009 წლის 25 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრის 15:00 საათამდე,** მე-7 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

3. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შსს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ინდივიდუალური მეწარმის ცნობა (არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შსს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფირმის ფინანსური მდგომარეობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ბოლო 3 წლის (2005, 2006 და 2007) საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული საწარმოს ბალანსები და მოგება-ზარალის უწყისები);
- პრეტენდენტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო, სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება სატენდერო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს არანაკლებ 1 000 000 ლარი;
- პრეტენდენტი უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

| № | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | მოდელი, ტიპი, მარკა | რაოდენობა | საკუთარი, იჯარით აღებული |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: პროექტის მენეჯერს უნდა ჰქონდეს მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- პრეტენდენტს ბოლო 3 წლის მანძილზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 500 000 ლარის ოდენობის წლიური ბრუნვა.
- ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

5. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-3 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

6. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**7.** შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის, რომელშიც მოცემულია შესყიდვის ობიექტის შესახებ დეტალური აღწერილობა, მიღება შეეძლებათ (მე-11 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) **2009 წლის 25 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრის 15:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **გორგასალის 24, თბილისი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა მე-2 სართული, ოთახი №214, სატენდერო კომისიის აპარატი.**

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეძლევა შესაძლებლობა სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. სატენდერო წინადადების გასნა მოხდება **2010 წლის 15 იანვრის 15:00 საათზე** პრეტენდენტთა თანდასწრებით შემდეგ მისამართზე: **გორგასალის 24, თბილისი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, პირველი სართული, ოთახი №123**.

10. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

11.სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის სატენდერო კომისიის აპარატში მე-7 პუნქტში მითითებულ მისამართზე წარმოდგენის შემდეგ.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:** მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302004000; **დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ გადახდის დანიშნულება** – სატენდერო მოსაკრებელი, სარემონტო სამუშაოს ტენდერი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

12. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ოთახი №214, ტელეფონი: 40-51-84, საკონტაქტო პირი – ეკატერინე ჭავჭავაძე.

**13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ორიგინალი დოკუმენტების სახით, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებულ თარგმანთან ერთად.**

***სატენდერო კომისია***

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (მდებარე ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N8-10-ი). “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს 2010 წლის პერიოდისათვის საწვავის შესყიდვაზე, დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

I. ლოტი 70000 ლიტრი “პრემიუმი-95 მარკის” ბენზინი

II. ლოტი 5500 ლიტრი “ევრო-დიზელი”

2. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ იურიდიულ პირებს. საწვავს უნდა გააჩნდეს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი, დამოწმებული შესაბამისი სპეციალიზირებული ლაბორატორიის მიერ და უნდა გააჩნდეს ავტოგასამართ სადგურთა ქსელი. ამასთან, ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს კუთვნილი ავტომანქანების შეუფერხებელი გამართვა მისი კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურებიდან, ტალონების ან პლასტიკური ბარათების მეშვეობით. ანგარიშსწორება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით, კონსიგნაციის გათვალისწინებით.

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს. ანგარიშსწორება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, ქართულ ენაზე, 2010 წლის 15 იანვარიდან - 2010წლის 18 იანვრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. N8-10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

5. საკვალიფიკაციო მონცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ
- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის
- ცნობა, გადხდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას.

შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მოახდინოს სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 ლარის ოდენობით, 2010 წლის 15 იანვრის ჩათვლით. საბანკო რეკვიზიტებია: ქ. თბილისი სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, მიმღები ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N20122900 (არასაგადასახადო შემოსულობები/ბათუმი), სახაზინო კოდი 300693174,

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N8-10, 2009 წლის 25 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

10. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2010 წლის 18 იანვარს 17 საათზე.

11. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

12. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სატენდერო კომისიის აპარატში, მე-8 მუხლში მითითებულ მისამართზე. ტელეფონი 895152255, 895225531, (888222) 74202. საკონტაქტო პირები: მერაბ ჯოჯუა, ცირა ხუხუნაიშვილი.

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს სატენდერო კომისია

## სენატი ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას ხმას აძლევს

ამერიკის სენატმა მხარი დაუჭირა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას, რომლის ღირებულება 871 მილიარდი დოლარია.

პრეზიდენტ ბარაკ ობამას საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეფორმას სენატორებმა 60 ხმით 39-ის წინააღმდეგ დაუჭირეს მხარი. რეფორმას ხმა მისცა 58 დემოკრატმა და ორმა დამოუკიდებელმა სენატორმა. "რესპუბლიკელები" ერთხმად გამოვიდნენ პროექტის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ კანონი საკონფერენციო კომიტეტის სხდომაზე გავა, რათა "რესპუბლიკელების" მიერ შემოთავაზებულ განსხვავებებზე მოხდეს შეთანხმება.

"ჩვენ საკმაოდ დიდი ხნის წინ გამოვაცხადეთ, რომ ჯანმრთლეობის დაცვა უფლებაა და არა პრივილეგია," - განაცხადა სენატის უმრავლესობის ლიდერმა ჰარი რეიდმა.

სენატორ მაქს ბაუკუს თქმით: "დღევანდელი დღე ყველა ამერიკელი ოჯახისთვის გამარჯვების დღეა. ამერიკელებმა გაიმარჯვეს".

სენატში გატანამდე რეფორმაში ცვლილებები შევიდა. მაგალითად, პრეზიდენტის მომხრეებმა უარი თქვეს თავდაპირველად შემოთავაზებულ გეგმაზე, რომელიც გულისხმობდა მთავრობის მიერ რეფორმის კონტროლს და ასევე შეიტანეს ცვლილებები რეფორმის დაფინანსების საკითხშიც.

აღნიშნული რეფორმა ობამას წინასაარჩევნო დაპირებაა. ამჟამად სამედიცინო დაზღვევა 31 მილიონ ამერიკელს არ გააჩნია. თუ ობამას მიერ შემოთავაზებული რეფორმა გავა, ფაქტობრივად, თითოეული ამერიკელი შეძლებს აღნიშნული დაზღვევით სარგებლობას. ამასთან სადაზღვევო კომპანიებს აეკრძალებათ, დახმარებაზე უარი უთხრან იმ პაციენტებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც მათთვის "მიუღებელი" იქნება.

რეფორმის კრიტიკოსები პროექტს ძალიან მაღალბიუჯეტიანს და ავტორიტარულს უწოდებენ.

## ობამა კოპენჰაგენის სამიტს ეხმაურება

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას აზრით, მათ, ვინც კოპენჰაგენის სამიტიდან შედეგი ვერ მიიღეს, ნამდვილად აქვთ იმედგაცრუების მიზეზი. ობამას თქმით, აღნიშნულ სამიტზე ადრე მიღწეული შეთანხმებების უგულებელყოფა მაინც არ მომხდარა, რაც ნამდვილად უკეთესი შედეგია, ვიდრე სამიტის მთლიანად ჩაშლა.

სამიტზე ვერ მოხერხდა კლიმატის საკითხზე შეთანხმების ხელმოწერა, რომელზეც ბუნების დამცველი აქტივისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ. სამიტის წევრებმა, უბრალოდ, ის აღნიშნეს, რომ აუცილებელია დედამიწის ტემპერატურა უახლოეს წლებში ორი გრადუსით შემცირდეს.

დიდი ბრიტანეთი ღიად ადანაშაულებდა ჩინეთს, რომ იგი განზრახ ბლოკავდა ფორუმზე სხვა მონაწილეების გამოსვლას, როცა საუბარი ერთიანი შეთახმების მიღწევას შეეხებოდა.

სამშაბათს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა აღნიშნულ ბრალდებებს უწოდა შეთქმულება იმ პოლიტიკური ლიდერების მხრიდან, რომლებიც საკუთარი ვალდებულებების სხვებზე დაკისრებას ცდილობენ.

## ერაყში აფეთქების შედეგად 25 პილიგრიმი დაიღუპა

ოფიციალური პირების განცხადებით, ერაყში აფეთქების შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა და 60 დაიჭრა.

ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, მსხვერპლი გზისპირზე და მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობების აფეთქებას მოჰყვა.

ბაბილის პროვინციაში მდებარე ქალაქ ჰილიში მომხდარ აფეთქებამდე ერთი დღით ადრე ბაღდადის ქუჩებში 7 პილიგრიმი მოკლეს და რამდენიმე დაჭრეს.

ბაღდადში და სამხრეთ ერაყის ქალაქ კარბალადან აშურიში ამ კვირას ათიათასობით პილიგრიმს ელოდებიან.

აშურა ზეიმობს ჰუსეინის მარტვილობის დღეს, რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილი იყო. ჰუსეინი 680 წელს კარბალას ომში დაიღუპა, რომელიც მუსლიმთა რელიგიის ორ უმსხვილეს მიმდინარეობას შიიტებისა და სუნიტებს შორის განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

# არგენტინამ ძიან ძემიანის დაპატიმრების ორდერი გასცა

თამთა კახაძე



არგენტინის სასამართლომ რელიგიური მოძრაობა "'ფალუნგუნის" წევრების დევნის გამო ჩინეთის ყოფილ ლიდერ ძიან ძემიანის და სპეცსამსახურების ყოფილ უფროს ლო განის დაპატიმრების ორდენი გასცა.

ამ პირებს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ედებათ ბრალი, მათ შორის გენოციდსა და წამებაში. არგენტინაში სასამართლო პროცესი "ფალუნგუნის" ადგილობრივი წარმომადგენლების ინიციატივით დაიწყო. არგენტინის კანონმდებლობის მიხედვით, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული საქმეების განხილვა იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება, როდესაც ეს დანაშაული სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეა ჩადენილი.

სასამართლო პროცესი ეხება რელიგიური მოძრაობის დევნას, რომელიც 1999 წელს ჩინეთმა სექტად გამოაცხადა და ქვეყანაში აკრძალა. ჩინეთის ხელისუფლების მიერ "ფალუნგუნის" აკრძალვისთანავე, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, მოძრაობის მილიონამდე მომხრე დააპატიმრეს. დევნის პროცესში მოძრაობის 3000-ზე მეტი მომხრე დაიღუპა. არსებობს აგრეთვე ეჭვი, რომ მოძრაობის წევრების სხეულის ორგანოებს ტრანსპლანტაციისთვის იყენებდნენ.

"ფალუნგუნის" წარმომადგენლები არგენტინაში მიესალმნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა დაამატეს, რომ ამას სიმბოლური ხასიათი აქვს და ძიან ძემიანის და ასევე გენოციდზე პასუხისმგებელი სხვა პირების დაპატიმრება, რომელთა მმართველობის პერიოდშიც აიკრძალა მოძრაობა, რეალურად ალბათ ვერ მოხდება. ადრე "ფალუნგუნის" წარმომადგენლებმა შეძლეს მსგავსი სასამართლო პროცესების გამართვა იტალიაში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში, თუმცა დამნაშავეთა დაპატიმრებადე საქმე არ მისულა.

"ფალუნგუნის" მოძრაობა 1992 წელს ჩინელმა ლი ხუნჭიჩიმ დააარსა. მოძრაობა დაფუძნებულია ციგუნის გიმნასტიკაზე და ბუდიზმისა და დაოსიზმის ელემენტებზე. 1999 წლიდან მოძრაობამ დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც რიგით ჩინელებში, ასევე ქვეყნის მმართველ "კომუნისტურ პარტიაშიც", რამაც გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან ჯერ მოძრაობის კრიტიკა, შემდეგ კი მისი საერთოდ აკრძალვა.

ძიან ძემიანი ჩინეთს 1993 წლიდან 2003 წლამდე მართავდა.

# თურქულ-სომხური ურთიერთობების ნორმალიზება და ირანი

მარიკა იაშვილი

ირანს ამჟამად თავისი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი აქვს: ქვეყანა საერთაშორისო სანქციების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთი და ჩინეთი ირანის მკაცრად დასჯას დათანხმდებიან, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, ვერ შეძლებენ, სრული იგნორირება გაუკეთონ აშშ-ს, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციას, რომელსაც ევროკავშირი და ნატო-ც დაუჭერენ მხარს.

მართალია, კეთდება შეფასება, რომ სანქციები ირანის ეკონომიკისთვის კატასტროფა არ იქნება და მხოლოდ 5-15 პროცენტიან ზარალს გამოიწვევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზარალიც საკმარისია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ირანი, ნავთობიდან მიღებული მოგების მიუხედავად, მწვავედ განიცდის სტრატეგიული ინსვესტიციების უკმარისობას. არსებობს მოსაზრება, რომ ირანს სანქციებზე მეტად რეგიონული და ფუნქციური ბლოკადა აშინებს. ირანმა მსგავსი რამ ერთხელ უკვე გამოსცადა, როდესაც აშშ-მ ბლოკადაში ჩართვაზე მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიულ-ფინანსური ცენტრების დათანხმება შეძლო.

ირანს კარგად ესმის, რომ შესაძლოა, მის წინააღმდეგ საკომუნიკაციო ბლოკადა დაიწყოს და ცდილობს, ეს პროცესი შეაჩეროს. ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო, რომელსაც მისთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლია, თურქეთია. საუდის არაბეთთან, ერაყთან და პაკისტანთან ერთად, თურქეთი შეძლებდა, რეგიონში წამყვანი, დასავლეთის პარტნიორის პოზიცია დაეკავებინა. ამავე დროს თურქეთის უარი ირანის ბლოკადაში მონაწილეობაზე მის ჩავარდნას გამოიწვევდა.

თუმცა სანქციები ირანის რეგიონული პოლიტიკის საკითხების მხოლოდ ნაწილია. თეირანი ყველაფერს აკეთებს, რათა საერთაშორისო იზოლაციას თავი აარიდოს. მიუხედავად იმისა, რომ ირანისა და თურქეთის ურთიერთობები თითქოს ახალ ეტაპზე გადავიდა, ისინი სტრატეგიული პარტნიორობისგან შორს დგას და ეს ორი ქვეყანა რეგიონში ერთმანეთის პოტენციურ პარტნიორად რჩება.

თეირანს ძალიან კარგად ესმის, რომ თურქეთი ახლო აღმოსავლეთსა და ევრაზიაში უფრო დიდი უპირატესობის მქონე პოზიციების დაკავებას ცდილობს, რაც ირანს, ასე თუ ისე, ზარალს მიაყენებს, თუმცა ჯერჯერობით მათი ურთიერთობები მხოლოდ "თაფლობისთვის" პერიოდშია და ეს არა მარტო აშშ-ს, არამედ მთელ ევროპას აღელვებს. ანალოგიურად ფასდება თურქეთის დაახლოება სირიასა და ერაყთანაც. დასავლეთი აქტიურად არის დაინტერესებული თურქეთის საგარეო პოლიტიკური ამბიციების შეზღუდვით.

რაც შეეხება თურქეთ-სომხური ურთიერთობების რეგულირების პროცესს, იგი ირანის ინტერესებისთვის მკვეთრად ნეგატიურ მომენტებს შეიცავს. ირანისთვის ეს ფორმატი, პირველ რიგში, იმიტომ არის მიუღებელი, რომ მას ამერიკული შინაარსი აქვს და ირანს ეს უკვე აშინებს. თუმცა ოფიციალურ თეირანს ისიც ესმის, რომ თურქეთი ცდილობს, აშშ-ს გავლენიდან გამოვიდეს და ამერიკული პროექტი თურქულად გადააქციოს. ამავე დროს, თურქეთის პოზიცია ირანს მაინცდამაინც არ ამშვიდებს, რადგან აწუხებს თურქეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე. ირანი ხედავს, რომ სამხრეთ კავკასიაში ამერიკის როლი მცირდება, რაც, თავის მხრივ, იწვევს თურქეთისა და რუსეთის როლის გაზრდას, რომლებიც შავი ზღვა-კავკასიის რეგიონიდან აშშ-ს გასადევნად ალიანსის შეკვრას ცდილობენ. ეს კი ირანისთვის არცთუ ისე სასიამოვნოა, განსაკუთრებით იმის გავითვალისწინებით, რომ ოფიციალური თეირანისა და მოსკოვის თანამშრომლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამავე დროს ირანს ისიც ესმის, რომ აშშ-სა და ევროპის წამყვანი ქვეყნების მცდელობა, შეზღუდონ თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ნაკლებ წარმატებულია.

თურქეთისა და სომხეთის ურთიერთობის დარეგულირებაში ირანს საკუთარი ინტერესები აქვს - კონკრეტულად კი ეს არის თურქეთისა და აზერბაიჯანის კავშირების და სომხეთის ამერიკასა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება. ირანი დაინტერესებულია ალტერნატიული კომუნიკაციების ფორმირებით, რომლებიც სუეცის არხის, შავი ზღვის სრუტისა და ერაყის ტერიტორიის შემოვლას უზრუნველყოფდა. ამ მიზნით ირანს სურს, შეიქმნას კომუნიკაციები, რომლებიც სომხეთსა და საქართველოზე ევროპის მიმართულებით გადის. ასეთი ინტერესები ირანს ცოტა ხნის წინათ გაუჩნდა. მას შემდეგ სანქციების შემოღების საფრთხე რეალურად შეიგრძნო. სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში ირანისთვის იდეალური სცენარი რეგიონიდან ამერიკისა და თურქეთის განდევნა და რუსეთის, ევროკავშირისა და თავად ირანის როლის გაძლიერებაა. ამ დროისთვის ირანი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობის რეგულირების ამერიკული გეგმის ჩასაშლელად თითქმის არაფერს აკეთებს. ამ პროექტში ამჟამად არსებული ვითარება ოფიციალურ თეირანს აკმაყოფილებს. ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება თურქულ-ამერიკული ურთიერთობის გაუარესებას გამოიწვევს, რაც ირანისთვის ხელსაყრელია.

ირანი სომხეთში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გეგმებს აქტიურად ახორციელებს, რაც აუცილებლობის შემთხვევაში ირანისთვის ახალი გეოეკონომიკური პროექტების რეალიზებას გულისხმობს.

ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ირანსა და რუსეთს ერთმანეთისადმი ნდობის პრობლემა აქვთ, რადგან რუსეთი მზად არის, ევროპასთან თავის ურთიერთობებს გადახედოს და ამერიკასთან უსაფრთხოების სფეროში ითანამშრომლოს. ამავე დროს, ირანმა ბირთვული პროგრამის საკითხზე რუსეთსაც ისეთივე პასუხი გასცა, როგორიც ევროპას. პარალელურად კი, ირანის წინააღმდეგ სანქციების ამუშავება არც რუსეთის ინტერესებში შედის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსკოვი ამ გეგმებში აქტიურად მონაწილეობს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ირანი რუსეთის გაღიზიანებით კმაყოფილია. ოფიციალურმა თეირანმა უკვე მოახდინა აშშ-ს გეგმების ჩავარდნის დემონსტრირება, რაც გეოპოლიტიკური "სამკუთხედის" რუსეთი-ირანი-თურქეთის ხარჯზე თავისი გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებას უკავშირდებოდა. ახლა კი ირანს იმედი აქვს, რომ აშშ-ს "თურქულ-სომხური" პროექტიც ანალოგიურად ჩავარდება.

# რევიუ

## უარი ეგვიპტეს!

### ნეფერტიტის ბიუსტი გერმანიაში რჩება



მსოფლიოს ცნობილი მუზეუმები ერთმანეთის კოლექციებს დარბაზებს უთმობენ და მათთან სხვადასხვა ქვეყანაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დროებით ექსპონირებას სიამოვნებით თანხმდებიან.

რა უღვიძებს საზოგადოებას მუზეუმებისადმი ინტერესს? უპირველესად პროექტები, რომელთა ფარგლებშიც მუზეუმები სხვა ქვეყნებში დაცულ კოლექციებს მასპინძლობენ და ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ექსპონატებს ეცნობიან. ასეთ დროს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობა მატულობს, მაგრამ საზოგადოების ინტერესი უკანა პლანზე ინაცვლებს, როდესაც საქმე უშულოდ კულტურულ მემკვიდრეობას, ან მის მდგომარეობას ეხება.

ამ ბოლო დროს რამდენიმე ქვეყანა აქტიურად ცდილობს სხვაგან დაცული მისი ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილი მაინც დაიბრუნოს და მოლაპარაკებებს აწარმოებს სახელმწიფოებთან, ასევე, კულტურულ კერებთან, სადაც ისინი ინახება. ამ ცოტა ხნის წინათ ეგვიპტემ შეძლო საფრანგეთისგან “გამოეხსნა" ექსპონატები, რომლებიც იქ უკანონოდ აღმოჩნდნენ - ლუვრში ფარაონების სამარხებიდან ამოღებული 3 ათასი წლის წინანდელი 5 ობელისკი ინახებოდა. საფრანგეთის მსგავსად, დათმობაზე არ წავიდა გერმანიის ხელისუფლება, რომელმაც ეგვიპტეს დედოფალ ნეფერტიტის ბიუსტის დაბრუნებაზე უარი უთხრა და მიზეზად რელიქვიის მდგომარეობა დაასახელა. ის ტრანსპორტირებას ვერ გაუძლებსო, განაცხადეს გერმანელებმა.

ეგვიპტემ უძველესი საგანძურის დაბრუნება პირველად 1930 წელს მოითხოვა, მაგრამ გერმანიის მაშინდელმა მთავრობამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა (ეგვიპტის სიძველეთა საქმეში), ზახი ჰავასმა აღნიშნა, რომ ეგვიპტელი დედოფლის ბიუსტი, რომელიც 3,5 ათასი წლისაა, 1913 წელს გერმანიაში უკანონოდ გაიტანეს. ჰავასი ირწმუნება, რომ გერმანელმა არქეოლოგმა ლიუდვიგ ბორჰარტმა გათხრებისას მონაპოვარის მნიშვნელობა არ გაახმაურა და ის თიხის ფენით შენიღბა. თუმცა, ფრიდერიკე ზეიფრიდი, გერმანიის დედაქალაქში მდებარე ახალი მუზეუმის ეგვიპტური კოლექციის კურატორი, დარწმუნებულია, რომ გერმანიის ხელისუფლების პოზიცია ერთმნიშვნელოვანია - პრუსიის იმპერიამ ბიუსტი კანონიერ საფუძველზე შეიძინა.

დედოფალ ნეფერტიტის ბევრი თავისი დროის ყველაზე ლამაზ ქალად მიიჩნევს. ის ძველი ეგვიპტის ფარაონის - ეხნატონის მეუღლე იყო. ეხნატონი ქვეყანას ძვ.წ.აღ-ის XIV საუკუნეში მართავდა. ეგვიპტელებმა მზის თაყვანისცემა სწორედ მისი მმართველობისას დაიწყეს.

ბიუსტი 1912 წლის დეკემბერს, ამარნაში ჩატარებული გათხრებისას აღმოაჩინეს, ხოლო 1913 წელს გერმანიაში ეგვიპტის ხელისუფლების თანხმობით გადაიგზავნა. ის დღეს ბერლინის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

თანამედროვე ეგვიპტის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ უძველესი საგანძური დაიბრუნოს. ამასთან, მოლაპარაკებებს აგრძელებს ბრიტანეთის მუზეუმთან იმისათვის, რომ ცნობილი როზეტის ქვა დროებით მაინც დაიბრუნოს და მუზეუმში გამოფინოს. როგორ დასრულდება ეგვიპტის ინიციატივა - თავი მოუყაროს სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულ მის კულტურულ მემკვიდრეობას - ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, ამგვარი სიახლეებისადმი თვალის მიდევნება გვმართებს იმისათვის, რომ გერმანიაში ეგვიპტის დედოფლის ბიუსტის სანახავად ჩასულებს ის სამშობლოში დაბრუნებული არ დაგვხვდეს.

## არქეოლოგიური მტკიცებულება

### მეცნიერებმა კლეოპატრას აკლდამის ნაწილი აღმოაჩინეს



ბერძენმა წყალქვეშა არქეოლოგებმა, რომლებიც გათხრებს ეგვიპტის ალექსანდრიის სანაპიროსთან აწარმოებდნენ, უზარმაზარი, 15 ტონიანი გრანიტის ზღურბლი აღმოაჩინეს. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს “ზღურბლი" კლეოპატრას აკლდამაში შესასვლელის ნაწილი იყო. ამის შესახებ ინფორმაციას The Guardian-ი ავრცელებს.

მეცნიერმა ჰარი ცალასმა (Harry Tzalas) განაცხადა: ზღურბლიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შენობას 7 მეტრიანი კარები უნდა ქონოდაო... ეს არგუმენტი აკლდამის სასარგებლოდ მეტყველებს: როგორც ჩანს, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შემდეგ კლეოპატრას სამარხში არავინ არ უნდა შესულიყო და შესაბამისად, მისი კარები მძიმე უნდა ყოფილიყო.

აღმოჩენილი ზღურბლი, თუ ის მართლაც ძვ.წ.აღ-ის I საუკუნის ეგვიპტელი დედოფლის მავზოლეუმის შესასვლელში იდო, მეცნიერებს საშუალებას მისცემს ნათელი კლეოპატრას შეყვარებულის, რომაელი სარდლის მარკ ანტონიუსის სიკვდილის ისტორიას მოჰფინოს. მას შემდეგ, რაც ეგვიპტე იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტოსმა დაიმორჩილა, კლეოპატრა თავის აკლდამაში მოსამსახურეებთან ერთად ჩაიკეტა და თვითმკვლელობისთვის ემზადებოდა. ანტონიუსმა გადაწყვიტა, რომ მისი საყვარელი გარდაიცვალა და ხმალს წამოეგო. მაშინ ქალებმა დაჭრილი საძვალეში შეიყვანეს იმისათვის, რომ ანტონიუსი კლეოპატრას გვერდით გარდაცვლილიყო.

აკლდამის ზღურბლის მონუმენტურობა ხაზს უსვამს იმას, რომ მოსამსახურეები კარებს საკუთარი ძალებით ვერ გააღებდნენ და ანტონიუსი აკლდამაში ბაწრებით ამიტომაც აიყვანეს. დედოფალმა კი თავი ანტონიუსის გარდაცვალებიდან 11 დღის შემდეგ მოიკლა.

აკლდამის შესასვლელის ნაწილი, რომელიც 8 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს, ჯერ ნაპირზე არ ამოუტანიათ. მეცნიერები პასუხს კითხვაზე, ეკუთვნის თუ არა ის კლეოპატრას საძვალეს, მისი შესწავლის შემდეგ უფრო ზუსტად გაგვცემენ.

### ყველაზე დიდი ნახატი მსოფლიოში



ლანდშტაფების მხატვრად აღიარებულმა, ამერიკელმა ჯიმ დენევანმა, ნევადაში, ბლეკროკის უდაბნოში, ყველაზე დიდი ხელოვნების ნიმუში შექმნა. მხატვარმა თავის სამ ასისტენტთან ერთად, ფრაქტალური ფორმის (გეომეტრიული ობიექტია, რომელიც შექმნილია განმეორებადი სტრუქტურით) დიდ წრეში ჩაწერილი სხვადასხვა ზომის წრეები შექმნა.

ყველაზე დიდი ფრაგმენტის გარშემოწერილობა, 14,5 კილომეტრს აჭარბებს, თავად ნახატის დანახვა კი 12 კილომეტრის სიმაღლიდანაა შესაძლებელი. ნახატში გამოყენებული ზოგიერთი ხაზის სიგანე, 8,5 მეტრია, სიღრმე კი ერთ მეტრამდეც აღწევს. მან დამხმარეებთან ერთად ნახატი არც მეტი არც ნაკლები 15 დღეში შექმნა.

დენევანი მის დამთავრებას ორ წლიწადში გეგმავდა, მაგრამ GPS ტექნოლოგიების დახმარებით, მან ეს ძალიან მოკლე დროში მოახერხა. მხატვრის სამომავლო გეგმებში მსგავსი ნახატების მარსზე შექმნაც შედის. "ვიმედოვნებ, რომ წარმატებით გავმართავ მოლაპარაკებებს NASA-სთან, რათა მათი ტექნოლოგიები მარსზე გასაფრენად გამოვიყენო და იქ პირველი ხელოვნების ნიმუში შევქმნა." - აღნიშნა მხატვარმა.

48 წლის შემოქმედმა მხატვრობა 17 წლის წინ დაიწყო და ამ ტიპის ექვსასამდე ნამუშევარი შექმნა. მან ერთ-ერთი უდიდესი ნამუშევარი გასულ წელს, იმავე უდაბნოში შექმნა, თუმცა ამ გადასახედიდან მისი ზომები მართლაც მინიმალურია. აღნიშნული ფიგურა 4,8 კილომეტრზე იყო გადაჭიმული.

### შეზღუდული ხმა(ური)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი კანონი მიიღეს, რომელიც სატელევიზიო რეკლამის ხმის შეზღუდვას აწესებს. კანონი ამერიკის ქვედა პალატის კონგრესმა ზეპირი ხმის მიცემის დროს მიიღო ამგვარი კანონის ინიციატორი "დემოკრატიული" პარტიის კონგრესმენი, - ანა ეში იყო. მისი თქმით, ამერიკელთა უმეტესობა, სარეკლამო რგოლის მსვლელობისას დიდ მოთმინებას იჩენს, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ ხმის იმ უეცარ ცვლილებას რაც რეკლამათა უმეტესობას სდევს თან. ეს კი ძალიან გამაღიზიანებელია.

კანონის მიხედვით აიკრძალება ის სარეკლამო რგოლი, სადაც "ძალიან ხმამაღალი ან გამჭოლი ხმაა." ასევე რგოლები, რომელთა ხმა აჭარბებს იმ პროგრამის ხმას, რომლის დროსაც ის გადაიცემა. სავარაუდოდ, ფედერალური სამსახური იზრუნებს იმაზე, რომ კანონი ძალაში მიმდინარე წელსვე შევიდეს. ამ მომენტისათვის, წესის თანახმად, სატელევიზიო ინდუსტრიას თავად შეუძლია განსაზღვროს რეკლამასთან დაკავშირებული გარემოებანი. ანა ეშის განცხადებით კი ამ სფეროში დამატებითი კონტროლი, 50 წელზე მეტია არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის ძალაში შესასვლელად ამერიკის უმაღლესი საბჭოს თანხმობაა საჭირო.

კომენტარები მთავარზე



## ქართული ტრადიცია

ლაშა ბუღაძე

მოდით, ამდენ ლაპარაკს ჯობია ერთხელაც ვთქვათ, რას *ვგულისხმობთ* ქართულ ტრადიციებში.

გავიხსენოთ, რაში ვართ ტრადიციულად ტრადიციულები და გადავწყვიტოთ, ღირს თუ არა ამ ტრადიციების გამო ბრძოლა... ან თუ ბრძოლა არა (სად გვაქვს ბრძოლის თავი!), *ნერვიულობა* მაინც.

მაშ ასე. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე პოსტულატს გავეცნოთ.

ქართული ტრადიცია ნომერი ერთი: ტრადიციების დაცვისთვის ბრძოლა... ოღონდ მხოლოდ მუშტების ქნევით და ზოგადი, მოსაწყენი ლაყბობით.

ქართული ტრადიცია ნომერი ორი: ახალი წლის აღნიშვნა შობამდე (ამ შესანიშნავ და თავისებურად უნიკალურ ტრადიციაზე შარშანაც ვწერდი, 25 დეკემბერს).

ქართული ტრადიცია ნომერი სამი: ახალი წლის ღამეს ე. რიაზანოვის საუკუნო უკვდავებით დაწყევლილი ფილმის, "ბედი ირონიზირებს, მსუბუქი იყოს თქვენთვის რუსული მიწა და ამ მიწის აბანოების ანაორთქლი" (ბოდიშს გიხდით სათაურის ოდნავ თავისუფალი თარგმანისათვის).

ქართული ტრადიცია ნომერი ოთხი: მეფეზე გაბუტვა და მის ჯინაზე (და საკუთარი თავის გადასარჩენად) ქვეყნის მტერთან მიახლება (იხ. ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული თხზულება: "ნოღაიდელოვის შთასვლა რიურიკთა ჯოჯოხეთს").

ქართული ტრადიცია ნომერი ხუთი: მოვლენებისთვის *სახელდაურქმევლობა*.

ქართული ტრადიცია ნომერი ექვსი: იმის შეყვარება, ვისიც *მართლა გეშინია*.

ქართული ტრადიცია ნომერი შვიდი: *არჩევანის არქონა*. ამჯერად, მაგალითად, ასეთი არჩევანი გვაქვს: ან ტრაგიკული ინფანტილურობა და მოუხეშავი პროგრესულობა (რაც გულისხმობს თბილისის დეცენტრალიზაციას, პარლამენტის აშენებას უფუნქციო და მკვდარ ქუთაისში, ცოცხალი ავტორის ფეხზე დაკიდებას და მისი - თუნდაც ესთეტიკურ-იდეოლოგიურად საეჭვო - *ნაწარმოების* განადგურებას), ან ფარისევლობა და რეგრესი (ანუ მკვდარი ქუთაისის ისევ *მკვდრად* დატოვება, ესთეტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით საეჭვო *ნაწარმოების* აღდგენა და იქვე ეკლესიის აგებაც საბჭოური რიხით). ხომ კარგია?

ქართული ტრადიცია ნომერი რვა: ეკლესიუროზით კეკლუცი. ძველი პათოსი (კომკავშირულ-საბჭოური: ლენინიზმი და ბრეჟნევი), ახალი ფორმები (მართლმადიდებლობა და პატრიარქი).

ქართული ტრადიცია ნომერი ცხრა: წარმართულობა.

ქართული ტრადიცია ნომერი ათი: *მამის ლოდინი*. მავანთა მამადქცევა.

ქართული ტრადიცია ნომერი თერთმეტი: ქურდობისკენ მიდრეკილება (მდაბალი და მაღალი - ელიტარული - ქურდბაცაცობა).

ქართული ტრადიცია ნომერი თორმეტი: ტრადიციების არცოდნა (არქონა).

ქართული ტრადიცია ნომერი ცამეტი: არატრადიციულობა.

გავაგრძელო?

# "გალიმებული" ჰიტლერი

## კვენტინ ტარანტინომ "უსახელო ნაბიჭვრების" პრიკველის გადაღება გადადო

რამდენიმე დღის წინ ჰოლივუდის უცხოენოვანი კინოჟურნალისტების გილდიამ "ოქროს გლობუსის" ნომინანტები დაასახელა. კვენტინ ტარანტინოს სახელი ორ ნომინაციაში იკითხება - იგი ჯილდოს მისაღებად საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო დრამატული ფილმის ნომინაციაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რისთვისაც საკმაოდ მძიმეწონიან კონკურენტებთან გაჯიბრება მოუწევს (თუნდაც ჯეიმს კამერონთან და მის "ავატართან"). ორიოდე დღის წინ კი ცნობილი გახდა, რომ ტარანტინომ "გლობუსზე" წარდგენილი "უსახელო ნაბიჭვრების" პრიკველის გადაღება გადაიფიქრა და ხელი სხვა პროექტის განხორციელებას მოკიდა.



პრიკველზე რეჟისორი ფილმის გამოსვლისთანავე ალაპარაკდა. მისი თქმით, მასში არა მხოლოდ პერსონაჟების "ნაბიჭვრობამდე" ისტორია იქნებოდა ნაჩვენები, არამედ იმაზეც მოგვითხრობდა, თუ როგორ ცხოვრობდა მეორე მსოფლიო ომამდე ყველაზე დიდი "ნაბიჭვარი" - ჰიტლერი. ამჟამად კი ყველაზე ექსცენტრიკული რეჟისორი მისი თქმით "გაცილებით ეპიკური და ჟანრობრივად სრულიად განსხვავებული" ფილმის გადაღებას აპირებს. როგორც ცნობილია, ტარანტინოს ახალი ფილმის სცენარის ნახევარიც მზად აქვს, დაახლოებით 40 გვერდიანი ტექსტი, რომლის კონკრეტული შინაარსიც ცხადია გასაიდუმლოებულია.

მართალია, "უსახელო ნაბიჭვრები", ისევე როგორც ბევრი კარგი ფილმი, ქართულ გაქირავებაში არ გამოსულა, მისი ნახვა ქართველმა კინომეკობრეებმა მაინც მოვახერხეთ. ისევე, როგორც მსოფლიო მაყურებლის ნაწილში, ტარანტინოს ბოლო ფილმი აქაც ბევრს ნაკლებად მოეწონა, რაც ალბათ უფრო იმითაა გამოწვეული, რომ ამ რეჟისორისგან ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ. სინამდვილეში კი ტარანტინომ ნამდვილად შეძლო მაქსიმუმის მიღწევა - ფილმი იმდენად კარგია, რომ ნებისმიერი კინომოყვარულის ვიდეოთეკაში ადგილი გარანტირებული აქვს.

ფილმის მიმართ განწყობა პირველივე სცენიდან იწყება, რომელიც სასოწარკვეთილებამდე დაძაბულია. ამ სცენის მთავარი გმირი უდავოდ "ებრაელებზე მონადირის" სახელით ცნობილი შტანდარტენფიურერი ჰანს ლანდაა, რომელიც შემდგომში მთელი ფილმის ცენტრალურ ფიგურად იქცევა. ლანდას ფრანგ ფერმერთან საუბრისას მაყურებელი ყოველი სიტყვის მერე რწმუნდება, რომ მისთვის "მონადირე" ტყუილად არ შეურქმევიათ. თანამოსაუბრეს თითქოს სრულიად განყენებულ თემებზე ესაუბრება, ჩვეულებრივ კითხვებს უსვამს, საქაღალდეში რაღაცეებს ინიშნავს, სინამდვილეში კი ნადირობს და სწორედ მაშინ, როდესაც გგონია, რომ ყველაფერმა ჩაიარა და ფაშისტი ოფიცერი სახეზე ღიმილით დაგემშვიდობება - ბომბი ფეთქდება! მართლაც რომ დიდებული სცენაა!

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმმა მსოფლიო კინოს კიდევ ერთი აქამდე უცნობი ვარსკვლავი, კრისტოფ ვალცი აჩუქა. ამ ავსტრიელმა მსახიობმა "ებრაელებზე მონადირეს" როლისთვის უკვე დაიმსახურა კანის ფესტივალის პრიზი, ახლა კი "ოქროს გლობუსზეცაა" წარდგენილი. თუ სადმე კინოსამართალი არსებობს, მან ჯილდო აუცილებლად უნდა მიიღოს, ისევე, როგორც "ოსკარზეც" უნდა წარადგინონ და იქაც უნდა გაიმარჯვოს. მისი მონაწილეობით ყველა სცენა დიდებულია, ყველგან ახერხებს ისეთი სახის შექმნას, როდესაც მაყურებელს ერთადერთი სურვილი უჩნდება, ყელში წვდეს ამ ნაძირალას და ნელ-ნელა და წამებით მიახრჩოს.

კრისტოფ ვალცმა ისიც შეძლო, რომ მაყურებლისთვის ფილმის მთავარი ვარსკვლავი - ბრედ პიტიც მიევიწყებინა. თუმცა არც ამ მსახიობს აკლია ის ოსტატობა და შარმი, რომ მეორე პლანის პერსონაჟად დარჩენას დათანხმდეს. პიტის ალდო რეინი მეტსახელით "აპაჩი" მთავარი "ნაბიჭვარია" - უნაბიჭვრესი ნაბიჭვართა შორის, თუმცა ცხადია დადებითი, რადგან მისი მთავარი სამიზნე ყველა ფაშისტი და ყველაზე დიდი ფაშისტი ჰიტლერია. უსახელო ნაბიჭვრები სწორედ "აპაჩის" ტომის წევრები არიან - მისავით დაუნდობლები, სასტიკები, შეუპოვრები და საშინლად მომხიბლავები.

ორიგინალში ფილმს Inglourious Basterds ჰქვია, რაც ისევ და ისევ ტარანტინოს უცნაური ახირებაა, რომელმაც არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ინგლისური გრამატიკის შეცვლაც კი განიზრახა, რადგან გრამატიკულად სწორი ფორმა Inglorious Bastards არის. სწორედ ასე ჰქვია ენცო კასტელარის 1977 წლის ფილმს, რომლის სათაურსაც ტარანტინო დაესესხა. "ნაბიჭვრების გადაღება" რეჟისორს ჯერ კიდევ 2001 წელს უნდოდა, ალდო რეინის პერსონაჟი მაიკლ მედსენს უნდა შეესრულებინა, ხოლო ბრიჯიტ ფონ ჰამერსმარკი ნასტასია კინსკის, თუმცა გათვალა, რომ მისი გადაღება გაცილებით დიდ დროს წაართმევდა, ამიტომ "მოკალი ბილის" შექმნაზე გადაერთო, შემდეგ "გრინდჰაუსის" დრო დადგა, ბოლოს კი როგორც იქნა მეორე მსფლიო ომისთვისაც მოიცალა, თან ისე მოიცალა, როგორც არავის და არასდროს - ამის დასტურად თუნდაც ჰიტლერის "გალიმებული" სახე გაიხსენეთ...

# ექიმი ჰაუსი ციფრული ხდება

"ნათლია", "ბეტმენი", "ვარსკვლავური ომები", "ნაიარევი სახე" - ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომელთა მიხედვით უკვე არა ერთი კომპიუტერული თამაშია გაკეთებული. როგორც ლიტერატურული პირველწყარო ყოველთვის ჯობნის მის მიხედვით გადაღებულ ფილმს, ისე ეს თამაშებიც ბევრად ჩამოუვარდება კინოპროტოტიპებს, თუმცა მათ მაინც აკეთებენ, რაც ისევ და ისევ კომერციული მიზნებით კეთდება. ალბათ სწორედ ასეთი გათვლა აქვს კომპანია Legacy Interactive-საც, რომელიც სულ მალე House M.D.-ს, ჩვენთვის "ექიმ ჰაუსის" სახელით ცნობილი სერიალის მიხედვით თამაშს გამოუშვებს.



ერთადერთი, რაც დასაზუსტებელი დარჩა, თამაშის გამოსვლის ზუსტი თარიღია - ეს სავარაუდოდ 2010 წლის თებერვალში მოხდება. ინტერნეტში უკვე გამოჩნდა თამაშის პირველი სკრინები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ დეველოპერმა კომპანიამ ყველა მოქმედი გმირის გამოსახულების გადმოკოპირების ლიცენზია შეიძინა. ამრიგად ექიმ ჰაუსის გვერდით ყველა იმ პერსონაჟს, იხილავთ, რომლების ცხოვრებასა და მუშაობასაც სერიალში ადევნებთ თვალს.

თამაში ქვესტების ამოხსნაზა დაფუძნებული, თუმცა მათი გაშიფრვა არც ისე ადვილი იქნება, რადგან მოთამაშეს ხშირად მოუწევს სამედიცინო ტერმინოლოგიების გამოყენება და ციფრულ ავადმყოფთან დაახლოებით ისეთივე მიდგომა, როგორც ამას ჰაუსი და კომპანია აკეთებს. თამაშში შენარჩუნებული იქნება სერიალის ხასიათი, ანუ ექიმი ჰაუსი ისევ ისეთი აუტანელი და ცინიკური იქნება. ასევე გამოყენებული იქნება ამ უცნაური ექიმის მიერ დიაგნოზის დასასმელად შემოღებული ყველა მეთოდი - პაციენტის დაკითხვით გამოტეხვიდან დაწყებული, მისი ბინის გაჩხრეკვით დამთავრებული. მოთამაშეს ოპერაციებისა და ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაც მოუწევს. ეს ყველაფერი კი ერთმანეთისგან სიუჟეტურად დამოუკიდებელ ხუთ მინითამაშში იქნება გაერთიანებული. .

"ექიმ ჰაუსის" ერთი გეიმვერსია უკვე არსებობს, თუმცა ის მხოლოდ მობილური ტელეფონებისთვისაა შექმნილი. ახალი თამაში კი პერსონალური კომპიუტერისთვისა და "ნინტენდოს" პორტატული DS-ისთვისაც გამოვა. ამასთან გრეგორი ჰაუსის ისტორია ერთადერთი სერიალი არაა, რომელიც კომპიუტერული თამაშის თემად იქცა. უკვე არსებობს თამაშები "გრეის ანატომია", "დექსტერი", CSI, "დაკარგულები" და სხვა. პარალელურად კი კომპანია Legacy Interactive ჩვენთვის შედარებით უცნობი სერიალების "მკვლელობისა" და "ეს მან დაწერას" სათამაშო ვერსიების გაკეთებასაც აპირებს.

უამრავი სატელევიზიო ჯილდოს მფლობელი სერიალი House M.D. ტელეარხ FOX-ის ეთერში 2004 წლის 16 ნოემბრიდან გამოჩნდა. ამჟამად ამავე არხზე მისი მეექვსე სეზონი გადის, ხოლო მისი ტრანსლირების ლიცენზია უამრავ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც აქვს შეძენილი.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი: სათაურში არსებული აბრევიატურა M.D. შეიძლება ითარგმნოს არა მხოლოდ როგორც მედიცინის დოქტორი (Medicin♣ Doctor), არამედ როგორც Mental disorder - ანუ ფსიქიკური დარღვევა. ექიმი ჰაუსი მოტოციკლ Honda CBR1000RR Repsol Replica-თი გადაადგილდება, ხოლო მისი საყვარელი სერიალებია "მარტოხელა გული" და "მთავარი ჰოსპიტალი". გასაუბრებაზე ჰაუსის როლის შემსრულებელ ჰიუ ლორის ეგონა, რომ მისი გმირი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი იქნებოდა, ხოლო სერიალის მთავარი გმირი უილსონი უნდა ყოფილიყო. მას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ თავს დამნაშავედ გრძნობს, რადგან ექიმის როლის შესრულებისთვის ბევრად მეტ ანაზღაურებას აძლევენ, ვიდრე მისი ექიმი მამა პრაქტიკის დროს იღებდა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება** ***გარემოს დაცვის ინსპექცია*** მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 აცხადებს ტენდერს გარემოს დაცვის ინსპექციის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექმომსახურების (სერვისი-სათადარიგო ნაწილები) სახელმწიფო შესყიდვისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი მომსახურების ადგილის მიხედვით დაყოფილია 10 ლოტად:

| ლოტი | მომსახურების ობიექტი | რაოდენობა | მომსახურების გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ტიოტა ლენდ კრუიზერი | 1 | ქ. თბილისი |
| | ფორდ რაინჯერი | 1 | |
| 2 | ვაზ 21214 | 18 | ქ. თბილისი |
| | უაზი | 1 | |
| | ოპელ ომეგა | 1 | |
| 3 | ვაზ 21214 | 9 | ქ. თელავი |
| 4 | მიცუბისი პაჯერო | 2 | ქ. თბილისი |
| | მიცუბისი ლ-200 | 19 | |
| 5 | ვაზ 21214 | 10 | ქ. ქუთაისი |
| 6 | ვაზ 21214 | 7 | ქ. ზუგდიდი |
| 7 | მიცუბისი ლ-200 | 7 | ქ. ქუთაისი |
| 8 | ვაზ 21214 | 7 | ქ. ბათუმი |
| 9 | მიცუბისი ლ-200 | 3 | ქ. ბათუმი |
| 10 | ვაზ 21214 | 6 | ქ. ახალციხე |
| | უაზი | 1 | |

*შენიშვნა: წლის განმავლობაში ინსპექციის უფროსის ბრძანების შესაბამისად შეიძლება მოხდეს რეგიონების მიხედვით ლოტებში მითითებული ავტომანქანების გადანაცვლება.*

3. მომსახურეობა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა 2010 წლის 25 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 25 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრის 11 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, ასევე შესაძლებლობა ექნებათ სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე.

5. სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:
ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302005500. აუცილებლად უნდა მიეთითოს – **გარემოს დაცვის ინსპექცია, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექმომსახურების (სერვისი, სათადარიგო ნაწილები) სახელმწიფო შესყიდვისთვის**.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) ერთ დახურულ კონვერტში 2010 წლის 15 იანვარს 12 საათიდან 13 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე. სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულ ანგარიშზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გადახდის დანიშნულებაში უნდა იყო მითითებული ზემოაღნიშნული ტენდერის დასახელება.

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (**საბანკო გარანტია)** პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი **სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით** და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი **(საბანკო გარანტია) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 %-ის ოდენობით**.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

***იურიდიული პირებისათვის:***

– ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
– ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია.
– ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იურიდიული პირი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

***ფიზიკური პირებისათვის:***

– გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა.
– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
– ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ფიზიკური პირი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

***როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:***

– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;
– სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
*შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. განცხადების მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმნტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.*

***მომსახურების გასაწევად სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) აყვანის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) წარმოდგენილი უნდა იყოს:***
*1. სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) ფიზიკური და/ან იურიდიული პირის შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩ ტარების შესახებ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად; ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილებისა და განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ სუბ-კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სუბ-კონტრაქტის (ქვე-კონტრაქტის) ფარგლებში.*
*2. სუბ-კონტრაქტორთან (ქვე-კონტრაქტორთან) გაფორმებული ხელშეკრულება ან/და წერილობითი აქტი და/ან ხელშეკრულება სადაც იქნება დათქმა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას სუბ-კონტარქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის. (პრეტენდენტმა გამარჯვების შემდგომ ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს სუბ-კონტრაქტები, რომელის შემდგომში შექმნის ერთ მთლიანობას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად).*

9. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-8 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

10. ტენდერში შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

11. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

12. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირისაგან: ეკა ძნელაძე, ტელ – (995 32) 72-72-75, მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6.

სატენდერო კომისია
25 დეკემბერი, 2009 წელი

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

„ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# სინანულიანი ჟორიკა



ზაზა ფაჩუაშვილი

ჟორიკა ორთოიძე ხშირად უყვიროდა ხოლმე თავის ცოლს: ქალო, აქ სად მომიყვანე, ბავშვებმა აქ რა უნდა ისწავლონო. მართალიც იყო ის კაცი. სოლოლაკში დაბადებულმა, დავაჟკაცებულმა და დაოჯახებულმა, გარეუბანში პატივისცემა ვეღარ დაიმსახურა. სოლოლაკელებისგან განსხვავებით, რომლებსაც ჟორიკა მოკლე შარვლით მორბენალი ახსოვთ, გარეუბნელებმა იგი ნაგვის მანქანის მძღოლად გაიცნეს, რაც მაშინდელი ქართულ საზოგადოებისთვის მასხარად აგდების შესანიშნავ საბაბს წარმოადგენდა. ჟორიკას რომ დღევანდელი კოლეგებივით სპეცფორმა ცმოდა და მერსედესის ნაგავმზიდზე ემუშავა, დიდპატარის მხრიდან სამწუხარო დამამცირებელი კილოს მოსმენა აღარ მოუწევდა. თუმცა, ეს სამარცხვინო მდგომარეობა მარტო დანგრეული და ბრეზენტმოფრიალე "ზილის" ბრალი არ ყოფილა. თავად ჟორიკაც ცოტა უცნაური კაცი გახლდათ. ლოჯი ნაგვიდან მოტანილი ჟანგიანი რკინებით ჰქონდა სავსე. რაც ბინაში აღარ დაეტია, პირველ სართულზე ცხოვრობდა და თავისი ფანჯრების ძირში დააწყო. მეზობლები ამბობდნენ, ამ ჩემისას ეს ჯართი უფრო უყვარს, ვიდრე ცოლშვილიო. ჰოდა, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ეკაიფებოდა. მისი სამი შვილიც ძალიან დათრგუნულები, დაბოლმილები გამოიყურებოდნენ და მხოლოდ ერთმანეთთან თამაშობდნენ. მოგვიანებით, გარდატეხის ასაკში მყოფმა მისმა გოგომ ფხა გამოიჩინა და ბირჟის ბიჭებს ერთი სიტყვაც აღარ შეარჩინა. თანაც მათ ძალიან ხმამაღალი ვულგარული კილოთი ეპასუხებოდა და ნერვიულობისგან სახე ისე ელრიჭებოდა, რომ მისი ავადმყოფური მდგომარეობა მთლიანად შიშვლდებოდა და შეძრწუნებისაგან ყველა შეშდებოდა. სამაგიეროდ ორმაგი დარტყმის ქვეშ ექცეოდნენ ჟორიკას ოჯახის მამაკაცი წევრები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მოცლილი ბიჭები ჟორიკას რკინის კართან რიგრიგობით მიდიოდნენ და ყვიროდნენ - "ჟორა პიდარასტ! ვიხაძი, პოდლი ტრუს!" - და კარის გაჩხაკუნებაზე იმალებოდნენ. მერე ჟორიკას ხმაზე - ე, ეს ვინ არიან, რას ყვირიან?1 ქალო, აქ სად მომიყვანეო - სიცილით იგუდებოდნენ.

ერთხელ ამის გამო ჟორიკამ უბნის რწმუნებული გამოიძახა და თავისი სადარბაზოს მეზობელს უჩივლა, მაგის ამხანაგებმა შემაგინესო. საქმე ის გახლდათ, რომ შექეიფიანებულმა სტუმრებმა, რომლებიც მასპინძელმა ჟორიკას ამბებით მაგრად აცინა, წასვლისას კიბეები ხმაურით ჩაიარეს და პირველ სართულზე ჟორიკას კართან ომახიანად შესძახეს, "ჟორა პიდარასტ! ვიხაძი, პოდლი ტრუს!"

არ გასულა ნახევარი საათი, როცა მოქეიფეების კარზე ზარი დაირეკა. მასპინძელმა კარი გააღო და ზღურბლზე ფორმაში გამოწყობილი მილიციონერი და მის ზურგს უკან ფეხის წვერებზე დამდგარი ჟორიკა დაინახა.

- ვა, ჟორიკ, რა ხდება, ტო! - წასკდა სიცილი მასპინძელს. ამ სახელის გაგონებაზე კი მილიციის "ფურაჟკით" ისედაც გახალისებული და ფეხზე წამომდგარი მოქეიფეები სულ მთლად გადაირივნენ და ახარხარდნენ.

- მოქალაქე ამბობს, რომ თქვენ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეთ, - თქვა მილიციელმა და ქუდი მოიხადა.

- ჩვენ, ჟორიკ? რა შეურაცხყოფა, ტო! - ჩაეკითხა მასპინძელი.

- არა, შენ არა, ვიღაცა იყო თქვენგან. კარებთან გაიარა და შემაგინა, - თქვა ჟორიკამ და კიბეზე დაეშვა.

- ეს გიჟია, ხო იცი? მე რა ვიცი, ვინ ჩაიარა, ვინ შეიგინა, - გაეცინა მასპინძელს და დაღლილი მილიციელი სუფრასთან შეიპატიჟა. უბნის ინსპექტორმა მიპატიჟება მიიღო და სუფრას მიუჯდა. წამსვე შეისვა შემოსწრებულის მჭევრმეტყველური სადღეგრძელო და პატივისცემით დამტკბარმა წესრიგის დამცველმა კინაღამ ჟორიკას დაუწყო გინება, ნაღდად ვერ არის ჭკუაზეო. ამრიგად, საცოდავ მენაგვეს საბჭოთა მილიციაც კი ვერ გამოადგა დამცველად.

ერთი შვება ჟორიკასთვის სოლოლაკში გავლა იყო, სადაც მას თავისი ტოლები ისევ ძველებური მხიარულებით ესალმებოდნენ:

- ჟორიკ, ვონცეს ცავატანემ!

- კარგად, თქვენ როგორა ხართ, ბიჭებო! - წელში იმართებოდა ჟორიკა და დავიწყებულ ღიმილსაც იბრუნებდა.

- კამაც. კამაც, რა! როგორ ვიქნებით, შენგან დავიწყებული. მაინც რა ნახე იმ ვაზისუბანში, რო აღარ გვკადრულობ. ძველი უბანი აღარ გახსოვს? - ეკრიჭებოდნენ მენარდე კაცები.

- ე! იქ, რა მინდოდა, სად წავედი? ჩემი ცოლის ბრალია, მაგის... - აიქნევდა ხელს ჟორიკა და ნაგვის მანქანისკენ მიტრიალდებოდა, მერე ისევ ბრუნდებოდა, რომ პასუხი გაეცა კითხვაზე - "რათა, რათა, რა იყო, ბიჭო, ა?"

- რაღა რა იყო, ყველა თავისთვის არი, ჩუჟოი ვარ, რა!

- ვა, ეგ, როგორ?... ჩვენთან მოდი, ძმაო! - ეტყოდნენ ბიჭები და ნარდს აგრძელებდნენ. ჟორიკა კი თავის მანქანას ქოქავდა და აქეთიქით იყურებოდა, სადმე რამე დაგდებული რკინა არ გამომეპაროსო.

დღე არ გავიდოდა ისე, რომ ჟორიკას თავისი დანგრეული "ზილით" სახლში არ შეევლო და ფანჯრების წინ ჟანგიანი რკინები არ დაეყარა. იქვე ბაღში მჯდარი დომინოს მოთამაშე კაცები აღარც კი ეკითხებოდნენ, რად გინდა ამდენი ჯართიო და ყოველ ჯერზე ერთმანეთს მოურიდებლად ანიშნებდნენ, ნაღდად გიჟია ეს უბედურიო. ჟორიკა თავჩაღუნული გაუვლიდა ხოლმე, გამარჯობას წაიბუტბუტებდა და მანქანაში ჯდებოდა. თუ ვინმე მაინც ვერ მოითმენდა და მეათასედ ჰკითხავდა, ბიჯო, რად გინდა ამდენი რკინა, გაივსო ეზო ამ ჯართითო, ჟორიკაც მეათასედ პასუხობდა, ლოჯი უნდა მოვაშენოო და მანქანას სწრაფად ქოქავდა.

გავიდა წლები და ჟორიკას ჯართი აბორიგენმა ვირთხებმა შემტევ პლაცდარმად გამოიყენეს. თავსაც ისე აფარებდნენ იმ რკინის ფარს, რომ შეუძლებელი გახდა მათთვის ქვის მორტყმა. კატებისა და ძაღლების უძლურებას ვინღა ჩივის, ვირთხების რისხვა სვანი მეზობელიც კი ვეღარაფერს ახერხებდა იმ რკინის მთის გადამკიდე. მდგომარეობას ძაბავდა ცნობილი აქსიომაც, რომ სადაც ვირთხაა, იქ გველიც აუცილებლად გაჩნდებოდა. მოუთმენლობის ფიალის ბოლო წვეთი კი ერთი ფრიად ჯანიანი ვირთხის თავხედური საქციელი იყო. ის კარგი ყაჩაღივით ხვდებოდა მობინადრეებს მეორე სართულის კიბეზე და მაღლა აღარ უშვებდა. გულშეღონებული ქალები სადარბაზოდან კივილით გამორბოდნენ, კაცები გინებით, ვირთხა კი ნიშნისმოგებით ჩადიოდა სარდაფში.

ამ სურათის მომსწრე თავადაც გახლავართ. მაშინ მეც იმ კორპუსში, ჟორიკას სადარბაზოში ვცხოვრობდი და ერთ საღამოს იმ თავხედ ვირთხასაც გადავეყარე. სადარბაზოში შევედი თუ არა, მეორე სართულზე დამხვდა. თავი მაღლა ასწია და მომაშტერდა. თავიდან უშიშრად მივუახლოვდი, ვიფიქრე გამეცლება-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, გაუნძრევლად მიყურებდა. საშიშ დისტანციაზე რომ მივუახლოვდი, ფეხი ავუქნიე და კინაღამ გული გამისკდა, გაქცევის ნაცვლად ჩემკენ გამოიწია. მაშინ გაძარცული ლიფტების ეპოქაში ვცხოვრობდით და ამიტომ იძულებული გავხდი, სადარბაზოდან გამოვსულიყავი. ვირთხა ნელ-ნელა დაეშვა პირველ სართულზე, ერთი შემომხედა დამცინავად და ტრიუმფალური სვლით გასწია სარდაფისკენ. თავმოყვარეობაშელახული იმ საღამოსვე ვესტუმრე სვან მეზობელს და ვირთხის განადგურების გეგმა გავაცანი. ის ვირთხა ორიოდ დღეში მეორე სართულის ბაქანზე მართლაც მოვაქციეთ ალყაში. სვანი ნიჩბით იყო შეიარაღებული, მე - ახალი ცოცხით და იატაკის ჯოხით. ჩავქოლეთ, მაგრამ მანამდე გვარიანი შიში კი გვაჭამა, როცა რიგრიგობით რამდენჯერმე მოგვახტა საკბენად. გაგვიმართლა, რომ ყოველთვის ზუსტად მივაგებეთ ცოცხი და ნიჩაბი.

ჟორიკასაც მაგრად გაუმართლა. იმ შემთხვევის შემდეგ გაწიწმატებულმა სვანმა მეზობლები აამხედრა და გადაწყდა, რომ ჟორიკას რკინები გაეტანათ და გადაეყარათ. საქმეს სატვირთოს შოვნაღა აკლდა, რომ იმ სადარბაზოს ცხოვრებაში მოულოდნელი ამბავი მოხდა. ერთ-ერთ პატივცემულ ოჯახს ახლადშეძენილი მოყვარე, სიდარბაისლით, კაცობითა და თანამდებობით ცნობილი სტუმარი ეწვია, რომელმაც სადარბაზოსთან ჟორიკა დაინახა და გახარებულმა შეჰყვირა.

- ჟორიკ, ვონცეს, ცავატანემ, ჟორიკ!

- ვა, "ნანულ", შენ როგორა ხარ?

- ნელა, ნელა, რა, ბრატ-ჯან. შენ აქა ხარ?

- ხო, რა, აქა ვცხოვრობ, აი, პირველ სართულზე.

- ვაა, რამდენი ხანი არ მინახიხარ, ბიჭო.

- ჰო, რა, ვეღარ გამოვდივარ, სამსახური, რამე, ხო იცი.

- სამსახური არ ვიცი მე, აღარ დაიკარგო, სირცხვილია, ტო.

ვოლგიდან გადმოსული სახელმწიფო მოხელისა და "ზილის" კაბინიდან გამომძვრალი მენაგვის მეგობრულ საუბარს გაოცებისგან გაშეშებული მეზობლები უსმენდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ. ჟორიკა სულ სხვა კაცად ქცეულიყო. თავაწეული იღიმებოდა, თავისუფლად ჟესტირებდა და თამამად საუბრობდა. "ნანულა" მისი სოლოლაკელი თანატოლი, ახალგაზრდობაში ვაჟკაცობითა და სამართლიანობით განთქმული ნოდარი გახლდათ, რომელიც ჟორიკას ბავშვობაშიც პატრონობდა და არავის აჩაგვრიებდა. ზედმეტსახელი კი პატარაობიდან შემორჩენოდა, როცა "ტრუსიკიანი" ბიჭები მის სახელს სწორად ვერ გამოთქვამდნენ და "ნანულას" ეძახდნენ. ჟორიკას მეზობლებმა პირი მაშინ დააღეს, როცა ნოდარმა მათ მიმართა, ბიჭებო, ამ ოქროს კაცს მიმიხედეთ, არავინ აწყენინოსო. რა ბრძანებაა, ბატონო ნოდარ, ჟორიკა ჩვენი ძმააო, თავი დაუკრეს კაცებმა. მას შემდეგ ჟორიკამ სულ მთლად აიწყვიტა, გამარჯობას ხომ თამამად ამბობდა და მოჰქონდა და მოჰქონდა ნაგავი სახლში. ნოდარის მოყვრებთან შეხვდრისას კი, თავის ძველუბნელს ხმამაღლა მოიკითხავდა ხოლმე, "ნანულა" როგორ არისო.

დაიშალა აბჭოთა კავშირი, დაინგრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და გაუქმდა ჟორიკას ნაგავტრესტი. მაგრამ ჟორიკას ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ "გრუზავიკი" აღარ ჰყავდა და ნაგავი სახლში ვეღარ მოჰქონდა. ცხადია, ლოჯიც არ აუშენებია. ასფალტის დაგებაზე ცოტა ხანი იმუშავა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჟორიკა გამხდარიყო, დამჭკნარიყო და წელშიც მოხრილიყო; ხოლო, როცა მოსკოვში საშოვარზე წასული ვაჟიშვილის მკვლელობის ამბავი შეიტყო - სულ მთლად დაპატარავებულიყო. ბიჭიც ვერ ჩამოსვენა იმ უბედურმა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა კორპუსებიდან ნაგვის გატანა დაიწყეს და ნაგავბრუნვა ახალ დონეზე აიყვანეს, იმიჯშეცვლილი ჟორიკა უბანში ისევ გამოჩნდა. დიდგუდიანი პატარა კაცი, ასე იტყოდით მის დანახვაზე. წვერმოშვებულ ჟორიკას ეცვა დიდი ზომის ძველი "ტელეგრეიკა", მოფლატული ჩექმები, გადაღუნული ნაქსოვი ქუდი, ეკეთა "ტრუსიკის" რეზინიანი სათვალე, ზურგზე მოგდებული ჰქონდა დიდი კაპრონის ტომარა და ხელში ეჭირა მსხვილი, მოკაუჭებული მავთული. დაძვრებოდა ნაგვის ბუნკერებში, აგროვებდა ნაირგვარ ტარას და აბარებდა კაპიკებში. ხშირად შემხვედრია იგი ბუნკერში მოფუსფუსე და გამოვლაპარაკებივარ კიდეც. არასოდეს წამოსცდენია პირადი წუხილი, რუსეთთან გაწყვეტილ ურთიერთობებზე ჩიოდა მხოლოდ. მაგრამ ეს სოფელი ხანგრძლივად ვინმეს გაახარებს? - ჯერ ნახმარი პლასტმასის ბოთლების ხელმეორედ გამოყენება აიკრძალა, შემდეგ კი სადარბაზო ბუნკერები დაილუქა და კორპუსებთან მოძრავი კონტეინერები დადგეს, რომელთაც ჩვენი ქალაქის მეეზოვეები ყოვედღე ცლიან. ჟორიკა ნაგვის ქექვას ვეღარ ასწრებს და სულ უფრო და უფრო უწყრება ამერიკას.

- რამდენი წელი არსებობს ამერიკა? - მკითხა ერთხელ.

- ორასი, რა.

- კარგი, "დვესტიპიისიატ" იყოს, მაგდენი ხნის მარტო "გეორგიევსკი ტრაქტატია", - მითხრა, სათვალის ზემოდან ამომხედა და წავიდა.

ნოდარის მოყვრები მის სადარბაზოში აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ ძალიან შორსაც არ გადასულან და რამდენჯერაც ჟორიკა მათ შეხვდებოდა, იმდენჯერ ხმამაღალი ღიმილით მოიკითხავდა, "ნანულა" როგორ არისო. ერთი სიხარული მისთვის ამ სახელისა და იმის გაგონება იყო, რომ "ნანულა" თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ბოლო მოკითხვამ მასაც თავზარი დასცა.

- გამარჯობა, ჟორიკ, როგორ ხარ?

- ვა, გაუმარჯოს! კარგად, კარგად. "ნანულა" როგორ არის?

- ეე, "ნანულა" აღარ არის, ჟორიკ, წავიდა ჩვენგან.

- სად წავიდა, "ზა რუბეჟომ"?

- ხო, რა, "ზა რუბეჟომ ნა ტომ სვეტე"... გარდაიცვალა.

- რას ამბობ, ბიჭო, ჩვენი "ნანულა"?... - ხმა ჩაუწყდა ჟორიკას და თავის გუდა-ნაბადიანა ბარდიურზე ჩამოჯდა. წასკდა ჩუმი ქვითინი, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული წყენა ახლა უნდა გამოიტიროსო. როდის, როდის ამოთქვა, რატო ვერ გავიგეო.

- როგორ წავიდა? - იკითხა ბოლოს.

- შაყირით წავიდა, შაყირით დაგვტოვა ამ ქვეყანაზე.

- ეგრე იცოდა. გული, არა?

- გული, ხო.

მას შემდეგ ჟორიკა კაი ხანი აღარ გამოჩენილა. ერთხელ ავტობუსში მისი და ჩემი ყოფილი მეზობელი შემხვდა, რომელსაც ჟორიკას ამბავიც გამოვკითხე.

- ჟორიკა მაგას და ჯანდაბა, კინაღამ გადაგვწვა, - დაიწყო მეზობელმა და ჟორიკას სარდაფში გაჩენილი ხანძრის ამბავი მიამბო, - რამდენიმე დღის წინ მაგის სარდაფში ხანძარი გაჩნდა. კვამლი იყო ისეთი, ბინებში ვეღარ ვჩერდებოდით. ალი უკვე გარეთ გამოდიოდა, როცა სახანძრო გამოვიძახეთ. დამიჯერებ, რომ სამი ბრიგადა მთელი დღე აქრობდა და ბოლომდე ვერ ჩააქრეს. თურმე, მთელი სარდაფი და თავისი ოთხოთახიანი ბინა ნაგვით გატენილი ტომრებით ჰქონია სავსე. ძონძები, ნაჭრები, ძველი ფეხსაცმელები და რა ვიცი, კიდევ რა არ გდებულა იქ. მაგის ბინაში ხომ არასოდეს არავინ ყოფილა. სარდაფში, ამდენი წელი რომ გატენილი ყოფილა ნაგვით, სპეციფიკური გაზი დაგროვებულა და აფეთქებულა. ალი კი ჩააქრეს, მაგრამ კვამლი ისევ ხრჩოლავდა. მეხანძრეებმა თქვეს, სანამ ეს ნაგავი არ გადაიყრება, არაფერი ეშველებაო. რკინებით ისე ყოფილა ყველაფერი ჩახერგილი, ოთახიდან ოთახში ვეღარ გადადიოდნენ. შევიკრიბეთ მეზობლები, დავიქირავეთ მანქანა და სამი დღე ვეზიდებოდით ჟორას ბინიდან ნაგავს. ძლივს გამოვლიეთ.

ამ ამბის მოყოლისას მეზობელი ქალბატონი ისე აღელდა, რომ ვეღარაფერი ვკითხე. დაზარალებული ოჯახის წევრების შესახებ არფერი ვიცოდი, სანამ ახლახან ჟორიკას არ შევხვდი.

- რაღა როგორა ვარ, გადამწვეს, "პაჟარი" გამიჩინეს, ჩემი ცოლი ეხლაც ცუდად არის, - მითხრა ჟორიკამ.

- როგორ გადაგწვეს?

- ჩემ სარდაფში ცეცხლი გააჩინეს. ვიცი, ვინც გააკეთა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. მანდ ჩემი ბინის შური აქვთ, ხო იცი. ძველი დრო რო იყოს, მე ვიცი "ნანულას" რასაც ვეტყოდი, - სინანულით თქვა ჟორიკამ.

ჟორიკას გუდაც აღარ ეკიდა. ისე იჯდა, ამ სიცივეში მობუზული, "პოპულის" უკან, ქვის საფეხურზე, წვერგაბურძგნული, უქუდოდ და უფილტრო ჩამქრალი სიგარეტით ხელში.

# სპორტი

## მშვიდობა შენდა!

გიგა გურასაშვილი

*წინა წლებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, როდესაც ქართველი ძიუდოისტები ამა თუ იმ ნომინაციაში, გამარჯვებული თუ არა, წარდგენილი მაინც იყვნენ. ევროპის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაშიც არაერთხელ გაუმარჯვებია საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს შოთა ხაბარელს. მაგრამ წლეულს ამ მხრივ ქართულმა ძიუდომ მოიკოჭლა - 2009 წლის საუკეთესო ძიუდოისტის, მწვრთნელის თუ ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის საუკეთესოთა შორის საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ დასახელებულა. არცთუ სასიამოვნო სურათია, მაგრამ არც უსამართლო.*



*ქართულ ძიუდოს სტუმარ-მასპინძლობა მშვიდობის ჯილდოთი დაუფასდა*

ფედერაციის შიგნით არეულობამ თუ ნაკრების ორად გახლეჩვამ ქართული ძიუდოს სკოლა აზარალა. ისიც აშკარაა, რომ ყველაფერმა ამან წლევანდელ შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა. მაგრამ მომხდარი უკვე ისტორიის საკუთრებაა და ახლა მასში ქექვა უაზრობაა. ასე რომ, ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტული კომისიის დიუსელდორფის კონგრესს დაგვიანებით გადავავლოთ თვალი და ვნახოთ, ვინ აღიარეს სხვადასხვა ნომინაციაში. დაგვიანებით კი იმიტომ, რომ ამ კონგრესის შედეგები ევროპის ძიუდოს კავშირმა სულ ახლახან დადო საკუთარ ვებგვერდზე.

ის, რომ ქართული ძიუდო არც ერთ ნომინაციაში ნომინანტადაც არ განუხილავთ, სულაც არ იყო მოულოდნელი. უფრო გასაკვირი ევროპის ძიუდოს კავშირისგან საქართველოს, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფედერაციებისთვის მშვიდობის ჯილდოს გადაცემა იყო (გაითვალისწინებულია რეგიონში არცთუ კეთილმეზობლური ურთიერთობების ფაქტორი - აზერბაიჯანი-სომხეთი, საქართველო-რუსეთი. ერევანმა ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა, მათ შორის აზერბაიჯანს, თბილისმა კი - მსოფლიო თას, მათ შორის რუსეთის ნაკრებს. აქაც და იქაც მეზობლებს შორის დაპირისპირება ტატამის ფარგლებს არ გასცდენია. - რედ.).

ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტულმა კომისიამ მთავარ ნომინაციაში - "კონტინენტის წლის ძიუდოისტი" გამარჯვებულებად ცნო რუსი ივან ნიფონტოვი, ხოლო ქალებში - ფრანგი მორგეინ რიბუ.

არადა, ნიფონტოვმა (81 კგ.) წლეულს საკუთარ წარმატებებს თბილისის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით დაუდო სათავე, მერე კი ოქროს მედალი რიო დე ჟანეიროს დიდ სლემზეც დაისაკუთრა. რუსმა ძიუდოისტმა მთავარ ტიტულებს წერტილი დაუსვა როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის მოპოვებით. ასე რომ, ნიფონტოვის ევროპის წლის საუკეთესო ძიუდოისტად აღიარება სამართლიან გადაწყვეტილებად უნდა ჩავთვალოთ.

ასეთი შედეგებით მორგეინ რიბუ (57 კგ.) რუს ძიუდოისტს ჩამოუვარდება, მაგრამ მისთვისაც დამსახურებული იყო ამგვარი აღიარება. ყოველივეზე გავლენა იქონია როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებამ. მანამდე კი კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მართალია, წლეულს ამა თუ იმ საერთაშორისო ასპარეზზე მასზე მეტი სარეიტინგო ქულა ასევე 57 კილოგრამში მოჭიდავე პორტუგალიელმა ტელმა მონტეირომ დააგროვა, მაგრამ როტერდამულმა ოქრომ ფრანგის სასიკეთოდ გადაწონა.

სპორტულმა კომისიამ არც ახალგაზრდები დაივიწყა, როდესაც ვაჟებში ჩეხი ლუკაშ კრპალეკი ცნო საუკეთესოდ, გოგონებში კი - უნგრელი ჰედვიგ კარაკაში. თუ კრპალეკმა სეზონი ევროპული ვერცხლით და მსოფლიოს ოქროთი დაასრულა, კარაკაში ორივეგან საუკეთესო იყო.

საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში, რომელიც შარშან ჩვენი ნაკრების ყოფილ მწვრთნელს შოთა ხაბარელს გადაეცა, წლეულს მის ღირსად რუსეთის ვაჟთა ნაკრების იტალიელი მწვრთნელი ეციო გამბა მიიჩნიეს, ქალთა ნაკრების მწვრთნელთაგან კი ეს ჯილდო სლოვენიელ ფაბიან მერიანს დარჩა.

სეზონის ყველაზე მაღალ დონეზე ორგანიზებული ტურნირის ნომინაციაში გაიმარჯვა ერევანმა - ამ ქალაქმა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატის უმასპინძლა.

P.S. ამასობაში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 2010 წლის კალენდარი გამოაქვეყნა. სეზონს 16 იანვარს სამხრეთკორეული მასტერსი გახსნის, ევროპულ ტატამზე ასპარეზობებს კი სათავეს დაუდებს თბილისისა და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირები (30-31 იანვარი). საქართველო ვაჟთა, ხოლო ბულგარეთი მსოფლიო თასს უმასპინძლებს.

## დენვერში "ქორები" მიწაზე დაუშვეს

NBA-ს რეუგულარული სეზონის მორიგ მატჩში "ატლანტა ჰოუქსი" დენვერს ეწვია და ადგილობრივ "ნაგეტსთან" დამარცხდა. შეხვედრა მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. "ნაგეტსმა" "ქორებს" პირველი მეოთხედი 10 ქულით მოუგო, შემდეგი ორი მეოთხედის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, დასკვნით თორმეტწუთეულში კი მასპინძლებმა კიდევ ათი ქულა მოუგეს ჯორჯიელებს. მატჩი დასრულდა ანგარიშით 124:104.

დენვერელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო ჯეი არ სმითი, რომელსაც თამაში ძირითად ხუთეულში არ დაუწყია. ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო შეხვედრაში და მატჩი 41 ქულით დაასრულა. სმითის შეჩერება ატლანტელთათვის პრობლემა აღმოჩნდა. "ნაგეტსის" სათადარიგომ მაიკ ვუდსონის გუნდი შორი მანძილიდან ტყორცნებით "დაბომბა". სმიტმა 10 სამქულიანი შეასრულა ზუსტად.

ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო "ქორების" ძირითადი ცენტრი ალ ჰორფორდი, რომლმაც მატჩი 18 ქულით და 11 მოხსნით დაასრულა. რაც შეეხება ზაზა ფაჩულას, მან მოედანზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა და თავის გუნდს 5 ქულა და 3 მოხსნა შეაწია.

ახლა "ქორები" საშობაო არდადეგებზე გადიან, რამდენიმე დღეს დაისვენებენ, მომდევნო მატჩს კი 26 დეკემბერს გამართავენ "ინდიანას" წინააღმდეგ.

სატურნირო თვალსაზრისით დენვერში განცდილ მარცხს ატლანტელთათვის ბევრი არაფერი გაუფუჭებია. ზაზა ფაჩულიას




*ზაზა ფაჩულია ატლანტელებს 13 წუთში 5 ქულით და 3 მოხსნით შეეწია*

გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში ისევ მეოთხე ადგილზეა და ორი გამარჯვებით ჩამორჩება "ორლანდოს", "ბოსტონსა" და "კლივლენდს", მეხუთე ადგილზე მყოფ "მაიამის" კი 6 გამარჯვებით უსწრებს. ასე რომ, უახლოეს პერიოდში ჯორჯიელებს უკანდახევა არ ემუქრებათ. მაიკ ვუდსონის შეგირდებისთვის ახლა მთავარი წინ წასული სამეულის დაწევაა.

მორიგი მატჩი გამართა ადრიატიკის ლიგაზე ვოვა ბოისას "ზადარმა". ამჯერად ხორვატული კლუბი საქართველოს ნაკრების წევრის ყოფილ გუნდს ლიუბლიანის "ოლიმპიას" ესტუმრა და 77:84 დამარცხდა.

ბოისამ ხორვატული გუნდის სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 28 წუთი გაატარა, შემდეგ კი მეხუთე პერსონალური ფოლი მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ვოვამ 3-დან 1 ორქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი კი ააცილა და 4 ქულას 3 მოხსნა და 1 პასი წაამატა. სლოვენიელები ქართველი კალათბურთელის წინააღმდეგ ექვსჯერ დაჯარიმდნენ.

8 მოგებითა და 5 მარცხით "ზადარი" ადრიატიკის ლიგაში მე-7 ადგილამდე დაქვეითდა. მომდევნო მატჩს კი მომავალი წლის 9 იანვარს სერბული "რადნიჩკის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

### ტონი "რომაში" გადავიდა

როგორც ჩანს, წერტილი დაესვა ლუკა ტონის სატრანსფერო საგას. იტალიელი ფორვარდი "რომაში" გააგრძელებს კარიერას.

ფეხბურთელსა და დედაქალაქურ კლუბს შორის მოლაპარაკებები გუშინ დასრულდა. 32 წლის ფორვარდს სურს იტალიაში ითამაშოს, რათა მარჩელო ლიპის შეახსენოს თავი და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის საშუალება მიეცეს. ტონის "რომას" ფეხბურთელის რანგში სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე წარადგენენ.

### სუარესმა არველაძეს გაუსწრო

"აიაქსის" ფორვარდმა ლუის სუარესმა, რომლის გადაბირებასაც ევროპული ფეხბურთის არაერთი გრანდი ლამობს, ჰოლანდიის თასის მატჩში, რომელიც ამსტერდამულმა კლუბმა 14:1 მოიგო, 6 გოლი გაიტანა და საერთო ჯამში "აიაქსის" შემადგენლობაში უკვე 80 გოლი აქვს გატანილი. ამ მაჩვენებლით სუარესი ამსტერდამული კლუბის ისტორიაში ბომბარდირთა დავაში მეოთხე ადგილზე გადავიდა და უკან ჩამოიტოვა შოთა არველაძე, რომელსაც "აიაქსის" შემადგენლობაში 75 გოლი აქვს გატანილი. ამსტერდამული კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი კი 100 გატანილი გოლით ფინელი იარი ლიტმანენია.

### პლატინიმ ფავორიტები დაასახელა

უეფას პრეზიდენტს მიშელ პლატინის მიაჩნია, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონტის მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია. პენტაკამპეონებს ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის ნაკრები გუნდები გაუწევენ კონკურენციას. პლატინის აზრით, ბრაზილიელთა მთავარი კოზირი უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან. მუნდიალის მონაწილე გუნდებიდან საუკეთესო მწვრთნელი ინგლისის ნაკრებს ჰყავს. "მიმაჩნია, რომ მუნდიალის მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია. პენტაკამპეონებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ესპანელები. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ გენიოსი კაპელო. მისი წყალობით ინგლისის ნაკრებს დიდი წარმატების მიღწევა შეუძლია", - აცხადებს პლატინი.

### მოურინიო წასვლას არ აპირებს

ბოლო ხანს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჟოზე მოურინიო "ინტერის" დატოვებას აპირებს. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ პორტუგალიელს იტალიურ მედიასთან ურთიერთობა გაუფუჭდა (თითქოს აქამდე მოურინიო და ჟურნალისტები შეხმატკბილებული ყოფილიყვნენ). თუმცა თავად მოურინიო "ნერაძურის" დატოვებას არ აპირებს. "როდესაც კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გავაფორმე, ვიცოდი, რომ სწორედ ამ დრომდე დავრჩებოდი "ინტერში" და ჩემთვის მას შემდეგ არაფერი შეცვლილა", - ამბობს მოურინიო.

### კრკიჩი კმაყოფილია

რამდენიმე დღის წინ ბრიტანულ მედიაში დაიწერა, რომ "ბარსელონას" ახალგაზრდა ფორვარდი ბოიან კრკიჩი, როემლიც კატალონიურ კლუბში არსებული უდიდესი კონკურენციის გამო ძირითადში ვერ ხვდება, კლუბს გამოიცვლის და სეზონის ბოლომდე "არსენალში" გადავა, თუმცა თავად კრკიჩი ამ ვარიანტს გამორიცხავს. "მე მსურს "ბარსელონაში" დარჩენა და მუშაობის გაგრძელება. ცხადია, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ სათამაშო დრო მქონდეს, რათა გავიზარდო და ჩემი ოსტატობა დავხვეწო. ჩემი ასაკისთვის საკმარის სათამაშო დროს მაძლევენ, თავის გამოჩენის შანსი მაქვს და ყოველთვის მომეცემა. პირადად მე ყველა ღონეს ვიხმარ, რომ კლუბში დავრჩე", - აცხადებს კრკიჩი.

### პენანტი "სარაგოსას" დატოვებს

ესპანური საფეხბურთო კლუბი "სარაგოსა" იანვრის სატრანსფერო პერიოდში ინგლისელი შემტევის ჯერმაინ პენანტის გასხვისებას შეეცდება. "სარაგოსამ" 26 წლის პენანტი თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა. "ჯერმაინმა იმედი გაგვიცრუა. ამაში ინგლისელის საქმისადმი მიდგომას ვგულისხმობ. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად იანვარში მისი გაშვებაც მოგვიწევს. მათ ნაცვლად ისეთი მოთამაშეები უნდა შევიძინოთ, რომლებიც "სარაგოსას" და საკუთარი საქმის ერთგულები იქნებიან და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯებიან", - აღნიშნა ესპანური კლუბის სპორტულმა დირექტორმა.

## აგუერო ყველაზე ძვირად ღირებული ახალგაზრდაა

ერთ-ერთმა უცხოურმა სააგენტომ ყველაზე ძვირად ღირებული ახალგაზრდების ათეული გამოაქვეყნა. გასაკვირი არ არის, რომ ამ სიაში პირველ ადგილზეა "ატლეტიკოს" არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო, რომელსაც ლონდონის "ჩელსი" 55 მილიონ გირვანქა სტერლინგად ყიდულობს, თუმცა, ამ სიაში აგუეროს სატრანსფერო ფასი მხოლოდ 45 მილიონი ევროა.

1.სერხიო აგუერო (ატლეტიკო, 21 წლის) - 45 მილიონი ევრო.

2.გონსალო იგუაინი (რეალი, 21 წლის) - 35 მილიონი ევრო.

3.ქარიმ ბენზემა (რეალი, 21 წლის) - 35 მილიონი ევრო.

4.მარიო ბალოტელი (ინტერი, 19 წლის) - 25 მილიონი ევრო.

5.ალეშანდრე პატო (მილანი, 20 წლის) - 25 მილიონი ევრო.

6.სტეფან იოვეტიჩი (ფიორენტინა, 20 წლის) - 20 მილიონი ევრო.

7.მირალემ სულეიმანი (აიაქსი, 20 წლის) - 17,5 მილიონი ევრო.

8.ბოიან კრკიჩი (ბარსელონა, 19 წლის) - 17 მილიონი ევრო.

9.კეირისონი (ბენფიკა, 20 წლის) - 15 მილიონი ევრო.

10.გილერმი (ცსკა, 21 წლის) - 15 მილიონი ევრო.

## "იუვენტუსს" სკოლარი გაახსენდა

იტალიური მედიის ინფორმაციით, ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა ჩირო ფერარას ადგილი შესაძლოა ბრაზილიელ ლუიშ ფელიპე სკოლარის შესთავაზონ. რამდენიმე დღის წინ "იუვეს" ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა რობერტო ბეტეგამ დაიკავა. სწორედ მისი იდეაა სკოლარის მიწვევა.

თუმცა, არსებობს ერთი სერიოზული პრობლემა. დაახლოებით ერთი კვირის წინ "იუვენტუსის" მესვეურები გუს ჰიდიკთან მართავდნენ მოლაპარაკებას და ჰოლანდიელი მხოლოდ იმიტომ ვერ მიიწვიეს, რომ მისთვის საჭირო ხელფასის გადახდის საშუალება არა აქვთ. სკოლარი, რომელიც ახლა უზბეკურ კლუბ "ბუდნიკორში" მუშაობს, მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია და გაცილებით მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე ჰიდინკს. ასე რომ, თუ "იუვემ" ჰიდინკის ფინანსური მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, საეჭვოა, ბრაზილიელთან შეძლოს შეთანხმება.

## პანდევმა "ლაციოსთან" ურთიერთობა გაწყვიტა

მაკედონიელმა ფორვარდმა გორან პანდევმა სასამართლოს დახმარებით შეძლო რომის "ლაციოსთან" არსებული კონტრაქტის გაწვეტა. ამიერიდან ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს.

"სასამართლომ ჩვენი სიმართლე დაამტკიცა. რომაულ კლუბთან კონტრაქტი გაუქმებულია. ამასთან, "ლაციოს" ჩემი კლიენტის სასარგებლოდ 160 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. გორანთან ჯერ არ მისაუბრია. ეს ამბავი მას ჯერ SMS-ით შევატყობინე. პანდევი დიდხანს ელოდა ამ გადაწყვეტილებას. წარმოუდგენელია, როგორი გახარებული იქნება", - განაცხადა მაკედონიელი ფეხბურთელის ადვოკატმა.

## ოპტიმისტი რონალდინიო

როგორც ჩანს, "მილანის" ბრაზილიელ ვარსკვლავ რონალდინიოს ტიტულების მოგება მოენატრა და მომავალ, 2010 წელს, ჩემპიონთა ლიგის მოგებას აპირებს. "ეს წელი ჩემთვისაც და კლუბისთვისაც პოზიტიურად მთავრდება. 2010 წელი კი ამაზე უკეთესი იქნება. დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევთ სერია ა-შიც და ჩემპიონთა ლიგაშიც. წესით, მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ცხადია, ვოცნებობ, რომ მუნდიალზე გავემგზავრო, მაგრამ მხოლოდ ოცნება ვერ მიშველის. ნაკრებში ადგილი რომ მოვიპოვო, თამაშით უნდა დავამტკიცო, რომ მუნდიალზე გამგზავრების ღირსი ვარ", - აცხადებს რონალდინიო.

## ინგლისური ექვსეული

"ჩელსის" მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის მიაჩნია, რომ ინგლისის ნაკრებს ჰყავს ექვსი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებ გუნდში შეძლებდნენ თამაშს.

"ვფიქრობ, ინგლისს ჰყავს უმაღლესი კლასის ექვსი ფეხბურთელი და აქედან სამი ჩემს გუნდში თამაშობს. ესენი არიან: ტერი, ლამპარდი და ეშლი კოული. რაც შეეხება დანარჩენ სამს, ესენი არიან რიო ფერდინანდი, რომელიც ტრავმის გამო სათანადო ფეხბურთს ვერ აჩვენებს, სტივენ ჯერარდი და უეინ რუნი. შესაძლოა ესპანეთს უფრო მეტი ასეთი ფეხბურთელი ჰყავდეს, მაგრამ ბრაზილიასა და იტალიას აშკარად ნაკლები ჰყავს", - აცხადებს ანჩელოტი.

# დეკადის ფეხბურთელი

დასასრულს მიუახლოვდა 2009 წელი. მთავრდება 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულიც და, წლის ფეხბურთელთან ერთად, დეკადის ფეხბურთელსაც ასახელებენ. მაგალითად, გამოცემა World Soccer-მა დეკადის ფეხბურთელად რონალდინიო დაასახელა, რამაც შესაძლოა კამათი გამოიწვიოს. ბრიტანულმა გაზეთმა "სანმა" კი პრემიერლიგაში მოთამაშეთა შორის გადაწყვიტა დეკადის ფეხბურთელის გამოვლენა. ბრიტანულმა ტაბლოიდმა არც ჟურნალისტები გამოკითხა და არც სპეციალისტები. უბრალოდ, სტატისტიკა მოიშველია და დაადგინა, რომ დეკადის ფეხბურთელი ლონდონის "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერი ფრენკ ლამპარდია.


სტატისტიკით ლამპარდი დეკადის ფეხბურთელია

31 წლის ნახევარმცველს ყველაზე მეტი მატჩი აქვს გამართული ბოლო ათ წელიწადში, იზეიმა ყველაზე მეტი გამარჯვება, მეორე ადგილზე გავიდა შედეგიანი გადაცემების მხრივ, გატანილი გოლების რაოდენობის მხრივ კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

ლამპარდს 346 მატჩი გაუმართავს, ხუთით მეტი, ვიდრე მერსისაიდელ ჯერიმი კარაგერს. აქედან 210-ში "ლემპსმა" გამარჯვება იზეიმა, გაკეთებული აქვს 76 შედეგიანი გადაცემა და გატანილი აქვს 100 გოლი.

2001 წელს "ჩელსიმ", რომელსაც იმხანად კლაუდიო რანიერი ხელმძღვანელობდა, ლამპარდი "ვესტ ჰემისგან" 11 მილიონ გირვანქად იყიდა. ფრენკი პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე სარფიან შენაძენად ითვლება.

გაზეთ "სანის" ჟურნალისტთან საუბრისას კლაუდიო რანიერიმ ლამპარდის შესახებ თქვა: "როდესაც გავიგე, რომ ლამპარდი დეკადის ფეხბურთელი გახდა, ძალიან გამიხარდა, რადგან ფრენკი უნიკალური ფეხბურთელია. ჩემი აზრით, "ოქროს ბურთი" მას ეკუთვნოდა. პირადად მე მას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე ლიონელ მესის და კრიშტიანუ რონალდუს. შესაძლოა, ეს ორი ფეხბურთელი უფრო ლამაზად თამაშობს, მაგრამ ლამპარდი გაცილებით სასარგებლოა მინდორზე. დეკადის ფეხბურთელის გამოვლენისას ჟურნალისტებისთვის ან მწვრთნელებისთვის რომ გეკითხათ აზრი, დარწმუნებული ვარ, ფრენკი ვერ გაიმარჯვებდა. კარგია, რომ სტატისტიკა მოიშველიეთ. სტატისტიკა რეალობას ასახავს. მიხარია, რომ ფრენკმა ეს ჯილდო მაინც მოიგო. ის განსაკუთრებული ფეხბურთელია".

გაზეთ "სანს" მცირე კომენტარი მისცა ფრენკის მამამ ფრენკ უფროსმაც: "ამ ხნის განმავლობაში მაღალ დონეზე თამაში მართლაც განსაკუთრებული რამ არის. მე მას ნახევარდაცვის ბობი მურს ვუწოდებდი".

# კაკა: "რაული სამაგალითოა"

მადრიდის "რეალის" გულშემატკივართა სასიხარულოდ, კაკა ტრავმას იშუშებს და მალე დაუბრუნდება მინდორს. "სამეფო კლუბის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მცირე ინტერვიუ მისცა ესპანურ "ას"-ს.

**- თქვენ "რეალის" ბოლო ოთხი მატჩი გამოტოვეთ. თავს როგორ გრძნობთ?**

- ფიზიოთერაპიის კურსს გავდივარ. სირბილი უკვე დავიწყე. დატვირთვებს თანდათან ვზრდი. ალბათ არდადეგებზე სან პაულოში ვარჯიშსაც დავიწყებ.

**- ესპანეთის ჩემპიონატთან ადაპტირების პროცესი როგორ მიდის?**

- მადრიდი ბრწყინვალე ქალაქია და რაღაცით სან პაულოს ჰგავს. ვსწავლობ ენას. ესპანურის შესწავლა არ მიჭირს, რადგან საკმაოდ ჰგავს პორტუგალიურს. რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო მხარეს, თავადაც ხედავთ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა.

**- თანაგუნდელებიდან ვისთან გაქვთ ყველაზე კარგი ურთიერთობა?**

- კრიშტიანუ რონალდუ, მე, პეპე და მარსელო ვმეგობრობთ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სხვებთან არ მაქვს კარგი ურთიერთობა. უბრალოდ, ეს სამი ადამიანი ჩემი ახლო მეგობარია.

**- დანარჩენების თემა გავაგრძელოთ. რას იტყვით რაულზე?**

- ყველაზე მშვიდი და მეოჯახე ადამიანია ჩვენს გუნდში. სულით ხორცამდე პროფესიონალი. ვარჯიშებზე ყოველთვის ყველაზე ადრე მოდის და, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძირითადში ვერ ხვდება, ვარჯიშზე მოტივაციას არ კარგავს.

**- თანაც, ის ამ კლუბის აღზრდილია.**

- კლუბის აღზრდილებზე აქცენტის გაკეთება აუცილებელია. მხოლოდ ასე შეიძლება გახდე მსოფლიოს უდიდესი კლუბი. "რეალი" უნდა ამაყობდეს თავისი აღზრდილი ფეხბურთელებით, ისეთებით, როგორიც რაულია. ის ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს.

**- "სარაგოსასთან" მატჩში "რეალმა" ექვსი გოლი გაიტანა და ამ სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა.**

- ახლა გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია. უკვე ვახერხებთ ერთდროულად კარგი თამაშის ჩვენებას და საჭირო რეზულტატის მიღწევას.

**- ჩემპიონთა ლიგის წილისყრაზეც გვითხარით. როგორ შეაფასებდით "ლიონს?**

- "ლიონი" ყოველთვის საშიში მეტოქეა. კარგად ორგანიზებული გუნდია და მისი დამარცხება ადვილი არ იქნება.

# ფერგიუსონმა გვარდიოლა მემკვიდრედ დაასახელა

ის სულ რაღაც 38 წლისაა (დამეთანხმებით, მწვრთნელისთვის ბავშვური ასაკია), სამწვრთნელო კარიერა კი სულ რაღაც ორი წელია, რაც დაიწყო და უკვე მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც საკლუბო დონეზე შესაძლებელია. ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის სამეფო თასი, ესპანეთის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ლაპარაკობს კატალონიურად და ამბობს, რომ ეს მისი მშობლიური ენაა. ცხადია, ხვდებით: საუბარია პეპ გვარდიოლაზე. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ "ბარსელონას" ხელმძღვანელი. გაუშვებდით სადმე ასეთ მწვრთნელს? რა თქმა უნდა, არა.

თუმცა, საფეხბურთო სამყარო იმითაც არის დამაინტრიგებელი, რომ ზოგჯერ ყველაზე წარმოუდგენელ თემებზეც კი საუბრობენ. საქმე ის არის, რომ გვარდიოლას "ბარსელონასთან" ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია. ამას წინათ ჟოან ლაპორტამ განაცხადა, პეპს ამ საკითხზე ვესაუბრე და მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვაო. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სულ მალე კატალონიურ გრანდში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ლაპორტას ვინმე შეცვლის.


გვარდიოლას ბრიტანეთში ელიან

ყოველივე ზემოთქმული საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბრიტანულ მედიაში აჟიოტაჟი ატეხილიყო. "მანჩესტერი" თუ "არსენალი" - აი, ის ორი კლუბი, რომლის მთავარ მწვრთნელობასაც უწინასწარმეტყველებენ გვარდიოლას. ბრიტანულ მედიას ამ თემაზე საუბრის საბაბი მისცეს თავად "არსენალისა" და "მანჩესტერის" მწვრთნელებმა, რომელთა პოზიციები საკუთარ გუნდებში ურყევია.

ამას წინათ არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მას თავის შემცვლელად პეპ გვარდიოლა ეგულება.

"ვინ უნდა იყოს "არსენალში" ჩემი შემცვლელი? საინტერესო კითხვაა. მართალია, გუნდიდან წასვლის შემდეგ კლუბის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებ, მაგრამ, თუ რჩევას მკითხავენ, ცხადია, არ დავამადლი. ვფიქრობ, ჩემს შემდეგ "არსენალში" პეპ გვარდიოლა უნდა მიოვიდეს", - თქვა ვენგერმა.

"არსენალის" ფრანგ გურუს არ ჩამორჩა "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც ჯერჯერობით თანამდებობის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ აცხადებს, რომ მისი ადგილი სწორედ გვარდიოლამ უნდა დაიკავოს.

ბრიტანულიი მედიის აზრით, ის ფაქტი, რომ გვარდიოლას კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, ბევრის მთქმელია. ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ პეპი კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შესაძლოა "ბარსელონაც" დატოვოს. თუმცა, ეს ბრიტანელი ჟურნალისტების აზრია. ისე კი, რომელი ჭკუათმყოფელი პრეზიდენტი გაუშვებს პეპ გვარდიოლას გუნდიდან.

# „გულნარა კავსაძის საქმე“

## (იმიტირებული სასამართლო პროცესი ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეზე)

**10 დეკემბერს,** ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დარბაზში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეზე

იმიტირებული სასამართლო პროცესის საჭიროება პირველ რიგში განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არასოდეს ჰქონია ადგილი ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტზე საქმის აღძვრისა და განხილვის პრეცედენტს.

შესაბამისად, იმიტირებული პროცესის მიზანი იყო ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოების ადეკვატური რეაგირებისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების საკითხის აქტუალიზება. საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტების, პირველ რიგში, სამართლის სპეციალისტებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ინფორმირებულობისა და მზაობის ხელშეწყობა ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის სათანადო აღქმისათვის და მათი შემდგომი გააქტიურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი გარემოს შექმნის საქმეში

. პროცესი ჩატარდა ასოციაცია დეას პროექტის "ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი" ფარგლებში ((დონორები - ევროკავშირი და გაეროს ბავშვთა ფონდი, პარტნიორები - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია, ასოცირებული წევრები - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.).

პროცესი მომზადდა "ასოციაცია დეას" პარტნიორი ორგანიზაციის - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, კერძოდ: კაზუსი შეადგინეს ევროკავშირის პროექტის" სახალხო დამცველის გაძლიერება" გუნდის ხელმძღვანელის მოადგილემ ბესარიონ ბოხაშვილმა, "საიას" წარმომადგენელმა, პროექტის " ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი" ექსპერტმა კახა კოჟორიძემ და სახალხო დამცველის აპარატთან არსებული შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა.

იმიტირებულ სასამართლოზე განსახილველი კაზუსის შედგენისას ავტორები ცდილობდნენ შეხებოდნენ შშმ პირთა უფლებების ყველაზე ტიპურ დარღვევებს სახელმწიფოსა და დამსაქმებელთა მხრიდან.

"გულნარა კავსაძის საქმეში" დაზარალებულ მხარედ წარმოდგენილი მოქალაქე - ***"გულნარა კავსაძე იყო 35 წლის, ეკონომისტი, მუშაობდა შპს ,ანდამატში". მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. 2008 წლის 3 დეკემბერს, როდესაც იგი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, კერძოდ, საჭირო დოკუმენტაცია მიჰქონდა საგადასახადო სამსახურში, გზად მოუვიდა ავარია და მძიმედ დაშავდა. ავარიის შედეგად მიღებული ტრავმების გამო ქალბატონი გულნარა ეტლით მოსარგებლე გახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა იგი განაგრძობდა მუშაობას შ.პ. ს. "ანდამატში", თუმცა მოკლე ხანში - ჯერ დააქვეითეს და რიგით ბუღალტრად გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ საერთოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. უსახსროდ დარჩენილი გულნარა კავსაძე, სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად და დაქირავებული მომვლელის შრომის ასანაზღაურებლად, იძულებული იყო გაეყიდა ბინა და ერთი ოთახი შეეძინა სარდაფში. თუმცა დარჩენილი თანხაც მალე ამოეწურა. ვერ მიიღო რა ვერანაირი დახმარება სახელმწიფო ორგანოებისგან, იძულებული გახდა დაქირავებული მომვლელი გაეშვა. ორი თვის თავზე გულნარა კავსაძე მედიკამენტების არქონისა და მოუვლელობის გამო გარდაიცვალა."***

კაზუსი, რომელიც განხილულ იქნა პროცესზე, არ იყო უტრირებული. იგი წარმოადგენდა კომპილაციას სამი დარღვევისა, რომლის შესახებ ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატში შევიდა 2008 წელს, ანუ ეს იყო ანარეკლი კონკრეტული შემთხვევებისა, როცა პირებს შეექმნათ პრობლემები გარემოს ხელმიუწვდომლობის, შრომის უფლებების დარღვევისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოქალაქის წინაშე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საკუთარი ვალდებულებების განუხორციელებლობის გამო, რასაც არცთუ იშვიათად ფატალურ შედეგებამდე მივყავართ.

იმიტირებულ პროცესს უძღვებოდნენ: მოსამართლის როლში - იურისტი ბესარიონ ბოხაშვილი, მსაჯულების როლში - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ჩხეიძე და პროექტის ექსპერტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი კახა კოჟორიძე, პროცესში მონაწილეობდნენ "საიაში" გაერთიანებული სტუდენტები.

სასამართლო პროცესმა და კაზუსზე მუშაობამ მონაწილეთა და დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ მსგავსი პროცესები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იურისტთა სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას და პროფესიონალური პასუხისმგებლობის გაზრდას შშმ პირთა უფლებების სასამართლო წესით დაცვის საქმეში.

როგორც იმიტირებული სასამართლო პროცესის ფასილიტატორმა და საქმის ავტორმა ბესარიონ ბოხაშვილმა განაცხადა, საქმის შედგენისას იგი კოლეგებთან ერთად სარგებლობდა იმ მოსაზრებითაც, რომ განხილვის მონაწილე სტუდენტებს შექმნოდათ აუცილებლობა შეესწავლათ, რაც შეიძლება, ვრცელი იურიდიული მასალა საერთაშორისო კანონმდებლობისა და ეროვნული ნორმატიული აქტების, აგრეთვე ზოგადად ადამიანის, შშმ პირის ევროკონვენციით დაცულ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ევროსასამართლოს პრეცენდენტული გადაწყვეტილებების სახით.

"ასოციაცია დეას" აღმასრულებელმა დირექტორმა, პროექტის დირექტორმა მადონა ხარებავამ აღნიშნა, რომ იმიტირებულმა სასამართლო პროცესმა გვიჩვენა, რომ მართალია, შშმ პირის უფლებებს, ერთი შეხედვით, უამრავი ნორმატიული აქტი იცავს, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონაღსრულების მექანიზმების კუთხით არსებული ხარვეზების გამო, ისინი ვერ ქმნიან გარანტიებს იმისა, რომ თეორიულად არსებული ეს უფლებები პრაქტიკულადაც იქნება დაცული და რეალიზებული.

იმიტირებული სასამართლო პროცესი იყო მხოლოდ ერთ -ერთი კომპონენტი პროექტისა, რომელიც მიმართულია ინვალიდობის ნიშნის დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრის, პრევენციისა და დისკრიმინაციის მიმართ საზოგადოების, სახელმწიფო სტრუქტურების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მგრძნობელობის ამაღლების ხელშეწყობაზე, ამ უკანასკნელთ ჰქონდათ შესაძლებლობა გაევლოთ პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგები თემაზე: "შშმ პირთა უფლებები და სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით," რომელიც თბილისსა და ზუგდიდში ჩატარდა.

პროცესს ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, სამართლის სპეციალისტები, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, სხვა დაინტერესებული პირები.

## განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩევლის (II კატეგორია) ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 950 ლარი).***კონკურსის პირობები:***კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

საკონკურსო-სატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.***საკვალიფიკაციო მოთხოვნები:***- უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;

- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.***საკონკურსო თემატიკა:***"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი;

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონი;

"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 3 დეკემბრის N218 დადგენილება;

"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 27 ნოემბრის N271 ბრძანება;

"სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მათზე დაქვემდებარებული უწყებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ორგანიზაციების და დაწესებულებების, რომელთა ფინანსირება ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის და ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის N1-3/77 ბრძანება;

"ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის პირველი აგვისტოს დებულება N3.**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საწყის ეტაპზე უნდა წარმოადგინონ ან გამოაგზავნონ მისამართზე** HRdep@justice.gov.ge **აქტუალური CV და სამოტივაციო წერილი. (სამოტივაციო წერილში დასაბუთებული უნდა იყოს კანდიდატის ცოდნის და გამოცდილების შესაბამისობა გამოცხადებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან).**

**კონკურსში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ის კანდიდატი, რომლის CV საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ შესაბამისად იქნება მიჩნეული დადგენილ მოთხოვნებთან.**

შერჩეულმა კანდიდატებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:1. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

2. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);

4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24.

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.კონკურსი ტარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა 2 ეტაპად: პირველი ეტაპი - უნარ-ჩვევები (ტესტირება) და მეორე ეტაპი - გასაუბრება.

კანდიდატი რომელიც წარმატებით გაივლის პირველ ეტაპს, გასაუბრებას გაივლის კომისიის წინაშე.ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24; ტელ.: 40-50-14, 40-50-87 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები).

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.justice.gov.ge** (იუსტიციის სამინისტრო), **www.csb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურში).

# კლინსმანს რვა ფავორიტი ჰყავს



*კლინსმანი სიურპრიზებს ელის*

იურგენ კლინსმანის სამწვრთნელო კარიერა შედარებით ხანმოკლე გამოდგა. 2006 წლის მუნდიალზე მან გერმანიის ნაკრებს ბრინჯაოს მედლები მოაგებინა, შემდეგ მიუნხენის "ბაიერნი" ჩაიბარა, მაგრამ გუნდი მალე დატოვა და ახლა ოჯახთან ერთად კალიფორნიაში ცხოვრობს. დაახლოებით სამი კვირის წინ კეიპტაუნში გამართულ წილისყრას "კლინსიმ" ტელევიზიით ადევნა თვალყური, რამდენიმე დღის წინ კი ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა გაამერიკელებული გერმანელის ინტერვიუ, რომელიც მთლიანად მომავალ მსოფილო ჩემპიონატს ეხება.

**- ალბათ თვალი ადევნეთ სამი კვირის წინ გამართულ კენჭისყრას. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- სამწუხაროდ, სამხრეთ აფრიკაში ჩასვლის საშუალება არ მქონდა და წილისყრას ტელევიზიით ვადევნე თვალყური. მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება აფრიკის კონტინენტზე ძალზე მნიშვნელოვანია. თავად კენჭისყრამ მაღალ დონეზე ჩაიარა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ტურნირის ორგანიზატორები კარგად არიან მომზადებულნი.

**- რას ელით მომავალი მუნდიალისგან?**

- ფანტასტიკურ ჩემპიონატს, რომელსაც წინა, 2006 წლის მუნდიალს ვერ შევადარებთ. მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე პირველად იმართება და ჩვენ ყველანი ახალი ისტორიის მომსწრენი ვხდებით.

**- ისევ წილისყრას დავუბრუნდეთ. მის შედეგებზე რას იტყოდით?**

- ახლა პროგნოზის გაკეთება არასწორად მიმაჩნია. საერთოდ, მთავარია გუნდები როგორ შეხვდებიან ზაფხულს, რა ფორმაში იქნებიან იმ დროისთვის. ტურნირის მსვლელობაზე გარკვეულწილად აფრიკული კლიმატიც იქონიებს გავლენას, მოკლედ, მე ბევრ სიურპრიზს ველი.

**- ფავორიტებს არ დაასახელებთ?**

- სულ მცირე, რვა გუნდს შეუძლია ტიტულის მოგება.

**- მაინც რომელ გუნდებს თვლით ფავორიტებად?**

- ვგულისხმობ განეთსილ გუნდებს. მათ დავუმატებდი კოტ დ'ივუარს, პორტუგალიას და ჩილეს.

**- რომელი ფეხბურთელი გაიბრწყინებს მუნდიალზე?**

- ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან ლიონელ მესი, კაკა, დიდიე დროგბა და კრიშტიანუ რონალდუ, შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა, თუმცა, თუ მათ გუნდის მხარდაჭერა არ ექნებათ, არაფერი გამოუვათ.

**- გერმანიის ჯგუფზე რას იტყვით?**

- ბევრს ვერაფერს. შეიძლებოდა უფრო რთულ ჯგუფში მოხვედრა. შესაძლო იყო უფრო იოლი ვარიანტიც. სერბეთთან თამაში საინტერესო იქნება. იგივეს თქმა შემიძლია ავსტრალიაზეც, მაგრამ ყველაზე დიდ ინტრიგას მაინც ჯგუფის აფრიკელ წარმომადგენელთან - განასთან დაპირისპირებაში ველით.

**- გერმანიის ნაკრებს რა შანსი აქვს?**

- ბუნდესნაკრები ყველა მუნდიალზე მხოლოდ მოსაგებად მიემგზავრება. ცხადია, ამისთვის ცოტა იღბალიც არის საჭირო, ვნახოთ, რა იქნება. ჩვენი ნაკრები მაღალი დონის ოსტატებით არის დაკომპლექტებული.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე კომენტატორის როლში იქნებით. შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- ვერაფერს გეტყვით, ჯერ არ ვიცი.

**- როდის ვიხილავთ იურგენ კლინსმანს მწვრთნელის როლში?**

- მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე სამწვრთნელო საქმეს არ დავუბრუნდები. მერე ვნახოთ.

ყოველ ოთხშაბათს
"24საათის" ახალი ჩანართი
"ავტოპანორამა"
ავტოინდუსტრიის სიახლეები,
ავტობაზარი, ავტოსპორტი,
ავტოწარმოების ისტორია
ყველაფერი ავტომობილის
შესახებ




GEONET
myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
სწრაფი და საიმედო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge

## განცხადება პირობიანი აუქციონის ჩატარების შესახებ სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემაზე

შ.პ.ს "ქუთაისის აეროპორტი" აცხადებს პირობიან აუქციონს:

I-ლოტი - მის დაქვემდებარებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემაზე კაფე-ბარის მოსაწყობად.

გაიცემა 40 მ/კვ ფართი, რომელიც მდებარეობს კოპიტნარის აროპორტის აეროვაგზლის შენობაში.

ქონება იჯარით გაიცემა 2 წლის ვადით.

საწყისი საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 1350 (ათასსამასორმოცდაათი) ლარს დ.ღ.გ-ს გარეშე.

გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი თვის შემდეგ პროპორციულად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. საიჯარო ქირის აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება არანაკლებ საწყის საიჯარო ქირას დამატებული ბიჯის ოდენობა.

აუქციონში მონაწილეობის წინასწარი შესატანი "ბე" — 50 ლარი.

სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 90 ლარი).

აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 10 ლარი.

II-ლოტი - მის დაქვემდებარებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემაზე ვალუტის პუნქტის მოსაწყობად.

გაიცემა 4 მ/კვ ფართი, რომელიც მდებარეობს კოპიტნარის აროპორტის აეროვაგზლის შენობის მოფრენის დარბაზში.

ქონება იჯარით გაიცემა 1 წლის ვადით.

საწყისი საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 220(ორასოცი) ლარს დ.ღ.გ-ს გარეშე.

გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი თვის შემდეგ პროპორციულად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. საიჯარო ქირის აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება არანაკლებ საწყის საიჯარო ქირას დამატებული ბიჯის ოდენობა.

აუქციონში მონაწილეობის წინასწარი შესატანი "ბე" — 20(ოცი) ლარი.

სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 20 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 10 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მიიღება პრესაში ამ საინფორმაციო ცნობის გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში 11 საათიდან 2010 წლის (რიცხვი, თვე, 16საათამდე). მისამართზე: ქ. ქუთაისი. რუსთაველის გამზირი N85.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის (რიცხვი,თვე) ქ. ქუთაისში შ.პ.ს. "ქუთაისის აეროპორტი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში 17 საათზე. მისამართი: რუსთაველის გამზირი N85.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა აუქციონის "რეგისტრატორს" უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას, თანხმობას, რომ იჯარით აღებულ ქონებას გამოიყენებს მხოლოდ დანიშნულებით და იმ პირობით, როგორც ამ ცაინფორმაციო ცნობაშია მითითებული.

—— "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

—— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს. (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

—— სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს დამოწმებულს ნოტარიუსით და განაცხადის შემოტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან. (იურიდიული პირის შემთხვევაში).

—— ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობის ასლს თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

"ბე"-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: N2433607

საიდ/კოდი: 212671973. მფო: 220101605. ს.ს "ვი თი ბი" ჯორჯია ბანკის ქუთაისის ფილიალი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი. შ. რუსთაველის გამზირი N85.

ტელ: 8(231) 4-25-68. 8(231) 1-45-28 მობ: 899 51 47 04. 894 84 02 02

ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპი
GEORGIAN-TURKISH JOINT COMPANY BLACK SEA GROUP
B. S. GROUP

თბილისი
21/12/2009

განაცხადი საზღვაო კონტეინერის შესყიდვაზე 24 საათში

თურქულ-ქართულ კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს საზღვაო კონტეინერის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გვსურს შევისყიდოთ ახალი ან მეორადი კარგ მდგომარეობაში მყოფი საზღვაო კონტეინერი

20 ტონიანი – 1 ცალი;
40 ტონიანი – 4 ცალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"-ს შესყიდვების მენჯერს მათე ოქროპირიძეს (877) 990 304 ან ზაზა ცხადაძეს (877) 504002 ან ჯემალ შერვაშიძეს (877) 990110.

გმადლობთ

## განცხადება საწვიმარი ლაბადებისა და შესყიდვაზე

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ატარებს ფასთა გამოკითხვას საწვიმარი ლაბადებისა და საწვიმარი კოსტუმების შესყიდვაზე.

| № | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ. | ზომა | ფერი | მახასიათებლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საწვიმარი ლაბადა | ცალი | 50 | XXL | მწვანე | ორმაგი, RVC „პრემიუმ" კლასი ბამბის და პოლიესტიროლის სარჩულით, წყალგაუმტარი, მინიმუმ 0,32 მმ სისქის |
| | | | 106 | XXXL | | |
| 2 | საწვიმარი კოსტუმი | ცალი | 5 | XL | მწვანე | პოლიამიდი RVC „პრემიუმ" კლასი წყალგაუმტარი, მინიმუმ 0,18 მმ სისქის |
| | | | 112 | XXL | | |
| | | | 125 | XXXL | | |

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2 მე–4 სართული ოთახი #419 ან ვებ გვერდზე www.gse.com.ge.
ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877232355.
განცხადება ძალაშია 2009 წლის 28 დეკემბრამდე
ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

## (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული "პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის" ფარგლებში **1. სოფლის ექიმებისათვის მენეჯმენტის სასწავლო კურსის ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის მომსახურების შესყიდვის მიზნით,** 2009 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულება გაფორმდა "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან", **2. ქ. ზუგდიდში სუპერვიზირებით სამედიცინო პერსონალის გადამზადების უზრუნველყოფისათვის საოჯახო მედიცინაში მომსახურების შესყიდვის მიზნით,** 2009 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულება გაფორმდა შპს "ქუთაისის N1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრთან", **3. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად და ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადების უზრუნველყოფისათვის** 2009 წლის 22 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში, ლოტი N5 და ლოტი N6-ზე გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულება გაფორმდა სს "რუსთავის N2 სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრთან", **4. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად და ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადების უზრუნველყოფისათვის** 2009 წლის 20 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულება გაფორმდა ლოტი N1-ზე - შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრთან", ლოტი N2-ზე - სს "ვერე 21"-ის საოჯახო მედიცინის სასწავლო-კლინიკური ცენტრთან, ლოტი N3 და ლოტი N4-ზე - შპს "საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებასთან", ლოტი N5 და ლოტი N6-ზე - შპს "ქუთაისის N1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრთან".

საქმე №2/1010-09

განჩინება
საქართველოს სახელით

პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

3 დეკემბერი 2009 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე – თამარ ჩიხლაძე

სხდომის მდივანი – შორენა კონჯარია

მოსარჩელე – სს ბანკი "რესპუბლიკა"
მოპასუხე – ლაშა თვალაბეიშვილი, რევაზ თვალაბეიშვილი
დავის საგანი – საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა, თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

სასამართლომ განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გამოარკვია:

სასამართლო განმარტავს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე სს ბანკი "რესპუბლიკას" სარჩელისა გამო რევაზ თვალაბეიშვილისა და ლაშა თვალაბეიშვილის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სს ბანკი "რესპუბლიკა"-სა და ლაშა თვალაბეიშვილს შორის 2008 წლის 22 ივლისს გაფორმდა "კრედიტებისა და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ" ხელშეკრულება, 2008 წლის 29 ივლისს გაფორმდა №73791 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ბანკმა მსესხებელზე გასცა კრედიტი 6 300 ევროს ოდენობით, 84 თვის ვადით – 2015 წლის 29 ივლისამდე, მსესხებელი ვალდებული იყო გადაეხადა საპროცენტო სარგებელი წლიური 20% ოდენობით. 2008 წლის 16 ივნისს მხარეებს შორის, ასევე გაფორმდა საკრედიტო ბარათის გახსნის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკმა მსესხებელზე გასცა საკრედიტო ბარათი, რომლის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 2 700 ლარის ოდენობით – 2010 წლის 16 ივნისამდე, მსესხებელი ვალდებული იყო გადაეხადა საპროცენტო სარგებელი წლიური 26 პროცენტის ოდენობით სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში გახარჯული თანხისათვის და წლიური 32 პროცენტის ოდენობით ბანკებსა და ბანკომატებში განაღდებული თანხებისთვის. გენერალური ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით 2006 წლის 24 ივლისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკით დაიტვირთა რევაზ თვალ ბეიშვილის კუთვნილი ქონება მდებარე სოფ. ლისში ნაფეტვრების ტერიტორია, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა მცხეთა, კოდი 72, სექტორი ლისი, კოდი 16, კვარტალი 11, ნაკვეთი 365, ფართობი 600,00 კვმ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელე ითხოვს: შეწყდეს 2008 წლის 22 ივნისის "კრედიტების და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ" გენერალური ხელშეკრულება, 29.07.08 №73791 საკრედიტო ხელშეკრულება და 16 ივნისის საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება; მოპასუხე ლაშა თვალაბეიშვილს დაეკისროს 7 137,74 ევროს და 3 192,74 ლარის გადახდა; მოხდეს იპოთეკის საგნის რეალიზაცია

სარჩელს თან ერთვის: სახელმწიფო ბაჟის ქვითარი; 2008 წლის 22 ივლისის გენერალური ხელშეკრულება კრედიტების, ოვერდრაფტებისა და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ; საკრედიტო ხელშეკრულება; საბარათე ხელშეკრულება; იპოთეკის ხელშეკრულება; სესხის დაფარვის გრაფიკები; გაფრთხილების წერილები; ცნობა დავალიანების შესახებ; მემორიალური ორდერი; ამონაწერი სასესხო ანგარიშიდან;

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მოპასუხე რევაზ თვალაბეიშვილს სარჩელი და თანდართული მასალები უნდა ჩაბარდეს და ასევე სასამართლოს სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარჩელი და თანდართული მასალები მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე რევაზ თვალაბეიშვილს სარჩელი და თანდართული მასალები, ვერ ბარდება რეგისტრაციის მიხედვით მის მისამართზე – ქ. თბილისი, იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №7. შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარება მოპასუხისათვის მოხდეს უწყების საჯაროდ გავრცელების გზით, გაზეთში „24 საათი" მისი პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ №2/1010-09 საქმეზე, სს ბანკი "რესპუბლიკა"-ს სარჩელისა გამო მოპასუხეების ლაშა თვალაბეიშვილისა და რევაზ თვალაბეიშვილის მიმართ, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე, სარჩელის შინაარსის შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით ეცნობოს მოპასუხე რევაზ თვალაბეიშვილს;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს მიღებიდან 14 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;
მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;
ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;
თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;
მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;
რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;
არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;
მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.
პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.
მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.
სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.
მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.
პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$ მუხლის შესაბამისად მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი", ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს მოსარჩელე სს ბანკი „რესპუბლიკა"-ს;

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე თ. [signature] თამარ ჩიხლაძე

## ჩასწორება განცხადებაში

## ტენდერის ჩატარების შესახებ

2009 წლის 22 დეკემბერს ქ. რუთავის ა.ი.პ. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ ბავშვთა კვებით მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში (გაზეთი "24 საათი" №279. 2009 წლის 22 დეკემბერი) მე-3 ლოტში

**ნაცვლად: ზეთი - 726 კგ. უნდა იყოს ზეთი - 7026 კგ.**

*სატენდერო კომისია*

## განცხადება

### ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 18 ნოემბერს (გაზეთი "24 საათი" N253) გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ეხებოდა საბავშვო ბაღების შეკეთების სამუშაოების შესყიდვას N1 და N2 ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ზუგომშენი".

*სატენერო კომისია*

საქმე №2/533-09

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

*სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ*

21 ოქტომბერი, 2009 წელი ქ. ბათუმი

## *ბათუმის საქალაქო სასამართლოს*

## *სამოქალაქო საქმეთა კოლეგია*

მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე

მოსარჩელე - სს ბანკი „რესპუბლიკა"

მოპასუხეები - ი/მ „მერაბ ქარცივაძე", ხათუნა შერვაშიძე, ნანული შერვაშიძე, გული შერვაშიძე

სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

*გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:*

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე სს ბანკი „რესპუბლიკა"-ს სარჩელისა გამო მოპასუხეების ი/მ „მერაბ ქარცივაძის", ხათუნა შერვაშიძის, ნანული შერვაშიძის და გული შერვაშიძის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების, თანხის დაკისრების, იპოთეკის და გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე.

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სს ბანკი „რესპუბლიკა"-ს ბათუმის ფილიალის და ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს შორის 2006 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება კრედიტების, ოვერდრაფტების და საბანკო ოპერაციების გაცემის შესახებ". აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა კრედიტის ზღვრული ოდენობა მაქსიმუმ 50 000 აშშ დოლარით ან მისი ექვივალენტი კონვერტირებადი ვალუტით, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებაში 2008 წლის 10 ოქტომბერს შესული ცვლილებით კრედიტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა მაქსიმუმ 70 000 აშშ დოლარით. ამავე ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფას წარმოადგენს გული შერვაშიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა ნაგებობები 116.5 კვმ მდებარე: ხელვაჩაური, სოფელი შავლიძეები; ნანული შერვაშიძის კუთვნილი 2 ოთახიანი ბინა მდებარე, ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №22, ბინა 41; ხათუნა შერვაშიძის ფინანსური თავდებობა, რომლის მიხედვითაც თავდებობის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 70 000 აშშ დოლარით.

გარდა ამისა გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე 2006 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №2864, რომლის საფუძველზე მსესხებელზე გაიცა კრედიტი 50 000 აშშ დოლარი, 36 თვის ვადით, 2010 წლის 10 აგვისტომდე. სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად, ხოლო აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების

BANK REPUBLIC
შემოს. № 1/2219
25 11 2009

1

უზრუნველყოფას წარმოადგენს იპოთეკის ხელშეკრულება №BO917 (ნანული შერვაშიძის კუთვნილი 2 ოთახიანი ბინა მდებარე, ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №22, ბინა 41); იპოთეკის ხელშეკრულება №BO917 (გული შერვაშიძის კუთვნილი 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთი); გირავნობის ხელშეკრულება №2864; ხათუნა შერვაშიძის თავდებობის ხელშეკრულება. ასევე 2008 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №78673, რომლის საფუძველზე გაიცა კრედიტი 13 000 აშშ დოლარი 12 თვის ვადით, 2009 წლის 01 ოქტომბრამდე, ხოლო სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად. საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ მსესხებლის მიერ არაერთხელ დარღვეული იქნა კრედიტის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკი. ბანკ რესპუბლიკას პრობლემური სესხების დეპარტამენტის 2009 წლის 23 ივნისის ცნობის თანახმად, ი/მ „მერაბ ქარცივაძი"-ს საკრედიტო დავალიანება №2864 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენს 31026,51 აშშ დოლარს, ხოლო №78673 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენს 13 655 დოლარს, ჯამში 44 681,87 აშშ დოლარს. კრედიტის დაფარვის თაობაზე გაფრთხილდნენ როგორც მსესხებელი, ასევე თავდებიც და ქონების მესაკუთრეებიც, რასაც შედეგი არ მოყოლია.

მოსარჩელე მოითხოვს შეწყვეტილად აღიარებული იქნას სს ბანკ „რესპუბლიკას" და ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს შორის 2007 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული გენ. ხელშეკრულება, 2006 წლის 10 აგვისტოს №2864 საკრედიტო ხელშეკრულება, 2008 წლის 10 ოქტომბრის №78673 საკრედიტო ხელშეკრულება; მოპასუხეებს ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს და ხათუნა შერვაშიძეს სოლიდარულად დაეკისროთ №2864 საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე 31 026.51 აშშ დოლარი და №78673 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 13 655 აშშ დოლარი, სულ 44 681,87 აშშ დოლარი. ასევე მოხდეს მსესხებლის და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრეების უძრავ-მოძრავი ქონების და იპოთეკის საგნის რეალიზაცია. კერძოდ, ნანული შერვაშიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №22, ბინა 41. მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №05.05.09.011, ზონა ქ. ბათუმი, კოდი 05, სექტორი V, კოდი 05, კვარტლის №09, ნაკვეთის №011, ფართობი კვმ 500 (დაუზუსტებელი) უფლება საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო, უძრავი ქონების საერთო 4193 კვმ-ის ფართის ბინის 1/78 ნაწილის, რაც შეადგენს 53.7 კვმ-ს; გული შერვაშიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ხელვაჩაური, სოფელი შავლიძეები, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №22/06/03/023. სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური, კოდი 22, სექტორი შარაბიძეები, კოდი 06, კვარტლის №03, ნაკვეთის №023, ფართობი 1 000 კვმ. უფლება საკუთრება, ნაკვეთის №023, ნაკვეთის ფუნქცია სასოფლო. მოსარჩელე ასევე მოითხოვს, რომ მოპასუხეებს ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს და ხათუნა შერვაშიძეს სოლიდარულად დაეკისროთ სს ბანკი „რესპუბლიკა"ს მიერ გადახდილი სახ. ბაჟი 2 214.69 ლარი და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი 2 948.99 ლარი, სულ 5 163.68 ლარი.

მოპასუხეებს ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს და ნანული შერვაშიძეს სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ, ვინაიდან მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ მისამართზე (ი/მ „მერაბ ქარცივაძე" – ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №21, ნანული შერვაშიძე – ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №22, ბინა 41 ) ვერ მოიძებნა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეების ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს და ნანული შერვაშიძის ადგილსამყოფელი უცნობია და მათთვის სასამართლო უწყების ჩაბარება

2

სხვაგვარად ვერ ხერხდება, შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (მოცემულ შემთხვევაში სარჩელისა და თანდართული მასალების) საჯაროდ გავრცელების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გზავნილის შინაარსი ადრესატებს ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. სსკ-ის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ა" და „ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს წერილობითი პასუხის სასამართლოში წარმოდგენისათვის უნდა მიეცეს 07 დღე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

*დ ა ა დ გ ი ნ ა:*

1. მოპასუხეებს ი/მ „მერაბ ქარცივაძე"-ს და ნანული შერვაშიძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი ზუბალაშვილის ქ№30) სს ბანკი „რესპუბლიკა"-ს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვროს 07 დღის ვადა;
2. განემარტოს მოპასუხეებს, რომ სარჩელისა და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.
3. განემარტოს მოპასუხეებს ი/მ „მერაბ ქარცივაძეს"და ნანული შერვაშიძეს, რომ მათ მიერ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.
4. **საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების ასლი შესასრულებლად გადაეცეს მოსარჩელეს, რომელმაც მისი გამოქვეყნება უნდა უზრუნველყოს მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებით, რომელიც გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მასვე დაევალოს გაზეთის ერთი ეგზემპლარის წარმოდგენა სასამართლოში.**
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე** ხელმოწერილია **ხათუნა ბოლქვაძე**

ასლი დედანთან სწორია
მოსამართლის თანაშემწე მზექალა აბუსელიძე

3

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲐᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐᲖᲔ

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ატარებს ფასთა გამოკითხვას ცეცხლმაქრების შესყიდვაზე ( ОП-5 ტიპის 18 ცალი, ОП-10 ტიპის 3 ცალი და სტენდი 2 ცალი).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა N2 მე-4 სართული ოთახი N419 ან ვებ გვერდზე www.gse.com.ge.

ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877232355.

განცხადება ძალაშია 2009 წლის 25 დეკემბრამდე

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

### *გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა*

*ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ*

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 26 ნოემბრის (გაზეთი "24 საათის" N258) გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ეხებოდა ქალაქ ლანჩხუთში კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვას N1 ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა ი.მ. "კონსტანტინე რამიშვილი", ხოლო N2 ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "წარაქვი".

სატენერო კომისია

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი აცხადებს საერთაშორისო ტენდერს უნიფორმისა და საძილე ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, <u>**მიუთითეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი**</u> და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**1. შესყიდვის ობიექტი - მიწოდების ადგილი და ვადები.**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ | მიწოდების ვადა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 კვ | 2 კვ | 3 კვ | 4 კვ |
| 1 | საველე ფორმა ზაფხულის (ხალათი, შარვალი, კეპი - ციფრული კომუფლირებული) | კომპ | 4950 | 0 | **1950** - 01.04.10 - 30.06.10 | **1500** - 01.07.10 - 30.09.10 | **1500** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 2 | საველე ფორმა ზაფხულის (ხალათი, შარვალი, კეპი - დაფოთლილი კომუფლირებული) | კომპ | 4250 | **1000** - 1.03.10 - 31.03.10 | **1250** - 01.04.10 - 30.04.10 | **2000** - 01.07.10 - 30.09.10 | 0 |
| 3 | სპეც ფორმა ზაფხულის(ხალათი, შარვალი, კეპი - ლურჯი ფერის) | კომპ | 2000 | 0 | **2000** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 4 | მაისური (ციფრული კომუფლირებული) | ცალი | 14400 | 0 | **4400** - 01.04.10 - 30.06.10 | **5000** - 01.07.10 - 30.09.10 | **5000** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 5 | მაისური (დაფოთლილი კომუფლირებული) | ცალი | 7310 | **2000** -01.03.10 - 31.03.10 | **3310** - 01.04.10 - 30.04.10 | **2000** - 01.07.10 - 30.09.10 | 0 |
| 6 | მაისური (შავი ფერის) | ცალი | 7000 | 0 | 7000 - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 7 | ქურთუკი და შარვალი მოსახსნელი მათბუნებლით (ციფრული კომუფლაჟი) | კომპ | 500 | 0 | 0 | 0 | **500** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 8 | ქურთუკი და შარვალი მოსახსნელი მათბუნებლით (დაფოთლილი კომუფლაჟი) | კომპ | 700 | 0 | 0 | 0 | **700** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 9 | ქუდი თბილი (ნაქსოვი) | ცალი | 4600 | 0 | 0 | 0 | **4600** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 10 | პულოვერი ყელიანი | ცალი | 4200 | 0 | 0 | 0 | **4200** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 11 | ხელთათმანი შალის (ნაქსოვი) | წყვ | 6200 | 0 | 0 | 0 | **6200** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 12 | ნიღაბი საზაფხულო | ცალი | 7300 | 0 | **7300** -01.05.10 - 30.05.10 | 0 | 0 |
| 13 | ქამარი შარვლის | ცალი | 5000 | 0 | 0 | **2500** - 01.07.10 - 30.09.10 | **2500** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 14 | ტრუსი | ცალი | 6750 | 0 | **1750** - 01.04.10 - 30.06.10 | **3000** - 01.07.10 - 30.09.10 | **2000** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 15 | საცვალი ზამთრის | კომპლ | 5600 | 0 | 0 | 0 | **5600** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 16 | წინდა ბამბის | წყვ | 17200 | 0 | **17200** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 17 | წინდა შალის | წყვ | 13800 | 0 | 0 | 0 | **13800** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 18 | ცხვირსახოცი | ცალი | 14800 | 0 | **14800** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 19 | ჩუსტი საყაზარმე | წყვ | 600 | 0 | **600** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 20 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი ზამთრის | წყვ | 3800 | 0 | 0 | **3800** - 01.09.10 - 30.09.10 | 0 |
| 21 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი ზაფხულის | წყვ | 5900 | 0 | **5900** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 22 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი (საგაზაფხულო საშემოდგომო) | წყვ | 4100 | 0 | **2100** - 01.04.10 - 30.04.10 | **2000** - 01.07.10 - 30.07.10 | 0 |
| 23 | ფურნიტურა | კომპლ | 8000 | 0 | **4000** - 01.04.10 - 30.06.10 | **2000** - 01.07.10 - 30.09.10 | **2000** - 01.10.10 - 15.10.10 |

საძილე მოწყობილობა

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ | 1 კვ | 2 კვ | 3 კვ | 4 კვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | საძილე ტომრის ქვეშსაგები | ცალი | 500 | 0 | 0 | **500** - 01.07.10 - 30.09.10 | 0 |
| 25 | ლეიბი | ცალი | 2000 | 0 | **1000** - 01.04.10 - 30.06.10 | **1000** - 01.07.10 - 30.09.10 | 0 |
| 26 | პირსახოცი ვაფლის | ცალი | 11050 | 0 | 0 | **5525** - 01.07.10 - 30.09.10 | **5525** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 27 | თეთრეულის კომპლექტი | კომპ | 2600 | 0 | **1300** - 01.04.10 - 30.06.10 | **1300** - 01.07.10 - 30.09.10 | 0 |

სპორტული სამოსელი

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ | 1 კვ | 2 კვ | 3 კვ | 4 კვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | სპორტული ტანსაცმელი (ზედა, ქვედა, მაისური, შორტი, ქუდი) | კომ | 1400 | 0 | **1400** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 29 | ფეხსაცმელი სპორტული | წყვ | 2450 | 0 | **2450** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |

გარე დაცვის უნიფორმა

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ | 1 კვ | 2 კვ | 3 კვ | 4 კვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30 | ქუდი თბილი | ცალი | 550 | 0 | 0 | 0 | **550** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 31 | ბერეტი | ცალი | 550 | 0 | **550** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 32 | შარვალი | ცალი | 1550 | 0 | **1550** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 33 | პერანგი მოკლე მკლავით | ცალი | 2100 | 0 | **2100** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 34 | პერანგი გრძელი მკლავით | ცალი | 1100 | 0 | 0 | **1100** - 01.09.10 - 30.09.10 | 0 |
| 35 | მაისური | ცალი | 1650 | 0 | **1650** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 36 | პულოვერი | ცალი | 550 | 0 | 0 | 0 | **550** - 01.10.10 - 15.10.10 |
| 37 | ხელთათმანი | წყვ | 550 | 0 | 0 | 0 | **550** - 01.10.10 - 15.10.10 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | ქამარი შარვლის | ცალი | 1100 | 0 | **1100** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |
| 39 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყვ | 550 | 0 | 550 - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 40 | ფურნიტურა | კომპლ | 550 | 0 | **550** - 01.04.10 - 30.04.10 | 0 | 0 |

სპეციალური სამოსელი

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზ. | რაოდ | 1 კვ | 2 კვ | 3 კვ | 4 კვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 41 | სამედიცინო სამოსელი | კომპ | 150 | 0 | **150** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 42 | მზარეულის სამოსელი | კომპ | 200 | 0 | **200** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 43 | წინსაფარი | ცალი | 200 | 0 | **200** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |
| 44 | სამუშაო ხალათი | ცალი | 200 | 0 | **200** - 01.04.10 - 30.06.10 | 0 | 0 |

- **მიწოდების ადგილი -- ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5**

**2.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის **25 დეკემბრიდან 2010 წლის 18 იანვრის 11.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატანდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
**3.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **18 იანვრის 11.00 საათიდან 12.00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202.
**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
**4.1 იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა _ საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
ბ) ცნობა _ საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
გ) ცნობა _ სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
**4.2 ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა _ საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
ბ) ცნობა _ საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
გ) ცნობა _ სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
**5.** წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
**6.** პრეტენდენტები ვერ გივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
**8.** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
**9.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
**10. დაფინანსების წყარო _ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი**
**11.** გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 3%-იანი საგარანტიო მექანიზმი.
**12.** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.**
**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა გოგილავა ტელ.: 41-21-48; 899 21-49-59; ხვიჩა ღამბაშიძე - 877 26-90-50

**სატენდერო კომისია** ____________1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## განცხადება

სსიპ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილება: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი / განყოფილების ხელმძღვანელი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული); მეცნიერი თანამშრომელი (3 საშტატო ერთეული).

კერძო სამართლის განყოფილება: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი / განყოფილების ხელმძღვანელი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული); მეცნიერი თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის განყოფილება: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი / განყოფილების ხელმძღვანელი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (3 საშტატო ერთეული); მეცნიერი თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული);

სამართლის თეორიისა და ისტორიის განყოფილება: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი / განყოფილების ხელმძღვანელი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული); მეცნიერი თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული).

საბუთების მიღება იწარმოებს ინსტიტუტის კანცელარიაში, 2009 წლის 25 დეკემბრიდან 2010 წლის 25 იანვრამდე, მისამართზე: 0105 თბილისი, ქიქოძის ქ. N 3. დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ტელ.: 983245, e-mail: administration@isl.ge

## სატენდერო განცხადება

**European Union** **United Nations Development Programme**

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**
***Ref: FOSTER – EC Infrastructure Rehabilitation #00063905/15***

**სპორტული და საბავშვო მოედნების მშენებლობა**
**ქარელში, შიდა ქართლი**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილ, დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2010 წლის 22 იანვრის 17:00 სთ-მდე მისამართზე: თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

წინა-სატენდერო საინფორმაციო შეხვედრა შედგება 2010 წლის 15 იანვარს 13:00 საათზე შემდეგ მისამართზე:
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4, გაეროს განვითარების პროგრამა UNDP

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბ-ნ ლევან ელბაქიძეს ტელ: 8270-7-95-70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების შესაბამისად, 2010 წლის 11 იანვარს დღის 12:00 საათზე, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა №16-ში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობა) ატარებს აუქციონს , რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

| | მესაკუთრის დასახელება | ქონების დასახელება და აღწერა | ზომის ერთეული | ერთეულის საწყისი ფასი (ლარი) | საერთო საწყისი ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს ,, გარდაბნის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (ს/ნ 226517980) ქ.გარდაბანი, ბოტანიკის დასახლება | მმზ-554, სახ. №AHA-834 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1000 | 1000 | 50 |
| | | მმზ-554, სახ. №ALE-748 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1000 | 1000 | 50 |
| | | მმზ-4502, სახ. №EAE-813 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 750 | 750 | 50 |
| | | მმზ-4502, სახ. №EEZ-882 გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 500 | 500 | 30 |
| | | მმზ-4502, სახ. №EEA-980 გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 750 | 750 | 50 |
| | | გაზ-53ც, სახ. №ALE-726 გამოშვების წელი 1987 | 1 ცალი | 500 | 500 | 30 |
| | | ზილ-4331, სახ. №AHA-861 გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 250 | 250 | 10 |
| | | ზილ-441510, №69-48 გამოშვების წელი 1990 | 1 ცალი | 250 | 250 | 10 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-876 გამოშვების წელი 1984 | 1 ცალი | 600 | 600 | 30 |
| | | კამაზი-5320 სახ. №ALE-998 გამოშვების წელი 1985 | 1 ცალი | 750 | 750 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-881 გამოშვების წელი 1986 | 1 ცალი | 1000 | 1000 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-985 გამოშვების წელი 1986 | 1 ცალი | 750 | 750 | 50 |
| | | კამაზი-5312 სახ. №EEZ-054 გამოშვების წელი 1986 | 1 ცალი | 550 | 550 | 30 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-112 გამოშვების წელი 1986 | 1 ცალი | 450 | 450 | 20 |
| | | კამაზი-5511 სახ. №EEZ-361 გამოშვების წელი 1987 | 1 ცალი | 1450 | 1450 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EAJ-986 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1250 | 1250 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-680 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1000 | 1000 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №NOD-864 გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1500 | 1500 | 50 |
| | | კამაზი-5320 სახ. №EEZ-022 გამოშვების წელი 1985 | 1 ცალი | 750 | 750 | 50 |
| | | კამაზი-53212 სახ. №EEU-986 გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 700 | 700 | 50 |
| | | მაზ-64229 სახ. №ALE-061 გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 1500 | 1500 | 50 |
| | | ვაზ-2121 სახ. №EAJ-282 გამოშვების წელი 1987 | 1 ცალი | 350 | 350 | 20 |
| 2 | კოოპერატივი ,,ბოლნისის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივი“ (ს/ნ 225357805) ქ.ბოლნისი, მ.კოსტავას №18 | დახლი მაცივარი | 4 ცალი | 50 | 200 | 10 |
| | | დახლი (ვიტრინა) | 6 ცალი | 50 | 300 | 20 |
| | | კამერა მაცივარი (ხის) | 3 ცალი | 450 | 1350 | 50 |
| | | კარადა მაცივარი (2კარებიანი) | 6 ცალი | 30 | 180 | 10 |
| | | სამაცივრო კომპრესორი | 1 ცალი | 75 | 75 | 5 |
| | | წვრილი საკედლე ბლოკის ყალიბი | 1 ცალი | 85 | 85 | 5 |
| | | სასწორი სამაგიდო (ციფრებიანი) | 22 ცალი | 15 | 330 | 20 |
| 3 | ს/ს ,,მარსი“ (ს/ნ 230027903). ზესტაფონი, დაბა შოროპანი | ქანქარებიანი წისქვილი | 1 ცალი | 85000 | 85000 | 2000 |
| 4 | სსს ,, ბზვანი“ (ს/ნ 229654166), ვანის რაიონი, სოფ. ბზვანი | თვითმცლელი ავტომობილი “მმზ-45021”, გამოშვებული 1984 წელს, ძრავის №605708, შასი №2289538 | 1 ცალი | 2500 | 2500 | 100 |
| | | შესაწამლი აპარატი “OH-1200” | 1 ცალი | 75 | 75 | 5 |
| | | ავტომობილი “ზილ – 157” სახ. №ГРБ 46-50, გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1750 | 1750 | 50 |
| | | ავტომობილი “საზ – 3507” სახ. №ГАГ 87-90, გამოშვების წელი 1987 | 1 ცალი | 60 | 60 | 3 |
